918 N61

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

61 სხდომა.

3617

პარასკევი, ნოემბრის 15, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ხიბაძე.**

მდივნობს საქართველოს პარლამენტის მდივანი **დავით ინანიშვილი.**

პრეზიდიუმში არიან პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **იესე ბარათაშვილი** და მდივნის ამხანაგი **ილია აბაკელია.**

კრება იწყება ნაშუადღევის 12 საათსა და 25 წუთზე.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. გთხოვთ მოისმინოთ დღიური წესრიგი.

მდივანი. (კითხულობს) **სოც.-რევოლ. ფრაქციის განცხადება.**

1. აგრარულ კომისიაში ნაცვლად კ. ჯავრიშვილისა და მუშათა კომისიაში ვ. ბარბაქაძის მაგივრად იგზავნება მიხეილ ჭანიშვილი.

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ი. ვარაზაშვილის მაგიერ და სამანდატო კომისიაში ნაცვლად **ი.** ჩერქეზიშვილისა—ილია თევზაძე.

3. ადგილობრივ მმართველობის, თვითმართველობის და საკონსტიტუციო კომისიებში ნაცვლად ივ. ჩერქეზიშვილისა—მარიამ ჩხეიძის ასული.

4. განათლების კომისიაში ნაცვლად მ. ფარუაშვილისა ნ. ჩიგოგიძე.

მდივანი (კითხულობს) ამით გვაქვს პატივი ვაუწყოთ პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ პარლამენტის წევრად ნაცვლად ივ. ჩერქეზიშვილისა კანდიდატთა სიიდან დაინიშნა მარიამ ჩხეიძის ასული.

სოც.-რევ. ფრაქციის თავმჯდომარე იოსებ გომეჩია.

მდივანი კითხულობ აგრეთვე ივ. ჩერქეზიშვილის თხოვნას პარლამენტის წევრობიდან გადადგომის შესახებ.

კომისიებში გადასაცემი კანონ-პროექტი.

მდივანი (კითხულობს) 1. მიწათ-მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებისთვის ადგილების შესყიდვის ნებართვის შესახებ.

გადაეცეს აგრარულ და იურიდიულ კომისიას.

დღიური წესრიგი.

მდივანი (კითხულობს) 1. საბოლოო ტექსტი საადგილ-მამულო რეფორმისათვის სტატისტიკის შედგენის კანონისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხსენებელია პარლამენტის წევრი შალვა ამირეჯიბი.

2. კანონ-პროექტი გადასახადების აკრეფისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი პეტრე ქავთარაძე.

3. კანონ-პროექტი გადასახადთა ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი პეტრე ქავთარაძე.

4. კანონ-პროექტი საქციზო უწყების ორგანიზაციის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **პეტრე ქავთარაძე.**

5. კანონ-პროექტი გურიის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლისათვის ერთ დროულ დახმარების შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **ნოე ცინცაძე.**

6. კანონ-პროექტი 200 მილიონ მანეთის ბონის ხელ-ახლად გამოცემის.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **ნოე ცინცაძე.**

7. **შეკითხვა** დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა მთავრობისა და სახელმწიფო კონტროლიორისადმი 30 მილ. მანეთის სალიკვიდაციო ფონდის შესახებ.

8. **შეკითხვა** პარლამენტის წევრთა ნ. თარხანოვისა და ლეონ თუმანოვისა იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი სასამართლოს განუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა ბუდუ მდივანისა და სხვ. სატუსაღოში უბრალმდებლოდ მწყვდევის შესახებ.

9. **შეკითხვა** პარლამენტის წევრის დავითხანიანის შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებისადმი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

პარლამენტი უკვლელად ამტკიცებს დღიურ წესრიგს.

თავმჯდომარე. დღევანდელ წეს-რიგში, მე-6-ე მუხლი გახლავთ შეტანილი, რომელიც გუშინ არ იყო. ამას ძალიან მოითხოვს მთავრობა და ამიტომ ჩვენ ეს მუხლი შევიტანეთ დღევანდელ წეს-რიგში. როდესაც გადავალთ ამ მუხლის შესახებ მსჯელობაზე, შეიძლება სხვა და სხვა ფრაქციებმა სხვა და სხვა აზრი გამოსთქვან. ჩვენ კი საჭიროდ დავინახეთ ეს მუხლი შეგვეტანა, რადგანაც მთავრობა ძალიან მოითხოვდა ამას, და ძალიან საჭიროდაც მიგვნია.

სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს შ. ამირეჯიბს.

საბოლოო ტექსტი საადგილ-მამულო რეფორმის სტატისტიკის შედგენის კანონისა.

შალვა ამირეჯიბი. ბატონებო. მე გთხოვთ მომცეთ ნება, რომ პირდაპირის ტექსტი წაგიკითხო მხოლოდ, რომელიც სარედაქციო კომისიამ შეიმუშავა (აჩვენებს პარლამენტს ტექსტს). ეს გახლავთ ძველი ტექსტი, მიღებული პარლამენტის მიერ. აქედან დაინახავთ, თუ რამდენი ცვლილება არის შეტანილი. ყოველად შეუძლებელია შედარებითი კითხვა, რადგან თითქმის ყველა სიტყვა არის გამოცვლილი; მაგრამ ჩვენ ეს ცვლილება მოვახდინეთ მიწათ-მოქმედების მინისტრის თანაშემწის თანდასწრებით, ამატომ დედა აზრი დაცული არის. ეს გახლავთ საბოლო ტექსტი საადგილ-მამულო რეფორმისათვის სტატისტიკის შედგენის კანონისა. ჯერ წაგიკითხავ ხარჯთ-აღრიცხვას (კითხულობს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯთ-აღრიცხვა სტატისტიკის შედგენისა საადგილ-მამულო რეფორმისათვის.

1. 1917 წლის საადგილ-მამულო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალის შემუშავება:

ა) ტფილისის გუბერნიაში აღწერა უნდა მოხდეს ხელახლად; ითვლება 180,000 კომლი, რომლის ასწერადაც და მასალის შესამუშავებლად საჭიროა:

ბარათების დალაგებისათვის (ნაანგარიშევია, რომ ერთი კაცი დღეში დაალაგებს 1000 ბარათს) . . . . . $\frac{180.000}{1.000}$ = 180 კაცი დღეში.

გასინჯვის ნიშნის დასმისათვის (ნაანგარიშევია, რომ ერთი კაცი დღეში გასინჯვის ნიშანს დაასვამს 150 ბარათს) . . . . . $\frac{180.000}{150}$ = 1200

დათვლისათვის (დღეში კაცი დაითვლის 120 ბარათს) . . . . . $\frac{180.000}{120}$ = 1500

სულ 180+1200+1500=2.880 კაცი

დღეში და ამათთვის გასამრჯელო . . . $\frac{2.880 \times 400}{30}$=38400 მან.

ბ) რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში თუ ხელახლად დათვლა დასჭირდება მხოლოდ ნახევარ მასალას, საჭიროა 100.000 კომლისათვის: ბარათების დალაგებისათვის ზევით მოყვანილი ანგარიშით 190 კაცი დღეში, გასინჯვა ნიშნის დასმისათვის ნახევრისა 633, დათვლისათვის 792; სულ 190+633+792=1615 კაცი დღეში და ამათთვის გასამრჯელოთ . 21.520 მან.

სულ მთელი ტერიტორიისათვის წინასწარი ჯამი აღწერისა . . . . . 59.920 მან.

2. მიწად-მოქმედების სამინისტროში დამუშავებულ სახარჯო და სხვა ამ გვარი დოკუმენტალური ცნობის შედარება 1917 წლის აღწერილობის მასალებთან; 600 სოფლის საზოგადოებაში . . . . . $\frac{600}{10}$ = 60 კაცი დღეში.

და მათი გასამრჯელო . . . . . 800 მან.

3. 1917 წლის აღწერის მასალების ძირითადი გამოანგარიშების მომზადებისათვის საჭიროა . . . . . $\frac{370.000}{60}$ კონლ.=6.167 კაცი დღეში

და მათი გასამრჯელო . . . . . 82.200 მან.

4. მიწის ფონდის აღრიცხვა: ტაბულების შედგენა კერძო მფლობელობისა ცალკ-ცალკე სასოფლო საზოგადოებისთვის 1917 წლის აღწერისა და სამინისტროს სხვა მასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით, თუ ვიგულებთ, რომ კერძო მფლობელთა რიცხვი 100.000-ა.

ა) შედგენა მფლობელობის მაშველი ბარათებისა დოკუმენტალური ცნობების მიხედვით იმ ადგილებში, სადაც მფლობელობის ტაბულებს საფუძვლად დაედება დოკუმენტალური მასალა, თუ ვიგულებთ, რომ ასეთი მფლობელობის რიცხვი იქნება ნახევარი . . — 50.000 / 20 = 25.000 კაცი დღეში.

და მათი გასამრჯელო . . . . . 33.320 მან.

ბ) თვით ტაბულების შედგენა მიწის მფლობელობისთვის . . . . . — 100.000 / 40 = 2.500 კაცი დღეში.

და მათი გასამრჯელო . . . . . 33.320 მან.

სულ მიწის ფონდის გამოსაანგარიშებლად . . . . . 66.640 მან.

5. განსაზღვრა ნორმებისა მიწის ფონდის განაწილებისათვის. თუ ვიგულებთ, რომ საჭირო იქნება გამორჩევით დამუშავება მასალისა ყველა ოჯახობის 50 პროცენტისათვის — 185.000 / 150 = 1.233 კაცი დღეში.

და მათი გასამრჯელო . . . . . 16.440 მან.

6. შედგენა ტაბულებისა ოჯახობათა და მოსახლეობათა რაოდენობისა, რისთვისაც საჭიროა . . . . . — 370.000 / 150 = 2.466 კაცი დღეში

და მათი გასამრჯელო . . . . . 32.880 მან.

7. მთემათიკური მუშაობა პროცენტების გამოსაანგარიშებლად დასარიგებელ მიწის ნორმის მისაღებად საჭიროა 250 კაცი 1 დღეს, და გასამრჯელოდ . . . . . 3.320 მან.

სულ საანგარიშო მუშაობისათვის . . . . 262.200 მან.

შ ტ ა ტ ი.

ამ სტატისტიკური მუშაობის ორგანიზაციისა და მის დამთავრებისა ექვსი თვის განმავლობაში . . . . . თვეში.

1 გამგე	900
1 სტატისტიკოსი	750
1 ინსტრუქტორი	650
1 კონტროლიორი	550
ჯამი .	78400

შენიშვნა: თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1 კონტროლიორის ხელმძღვანელობით მუშაობს 6 მოანგარიშე, 1 ინსტრუქტორი ხელმძღვანელობს 6 კონტროლიორს, ხოლო 150 მოანგარიშეს 2 სტატისტიკოსი და ერთი გამგე, მაშინ განვითარებულ ზრომისათვის საჭირო იქნება—მოანგარიშეთა გასამრჯელოს ჯამის 30%, რაც შეადგენს . . . . . 78.400 მან.

სულ მთლად პერსონალის გასამრჯელო . . . . . 341.600 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკანცელარიო ხარჯი.

5% პერსონალისათვის საჭირო ხარჯისა	17.000 მან.
სათადარიგო თანხა 10%	34.000 მან.
ს ულ . .	391.600 მან.

თვით კანონი ამ სახით შესცვალა სარედაქციო კომისიამ, (კითხულობს) გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში სამას ოთხმოცდა თერმეტი ათას ექვსასი (391,600) მანეთი სტატისტიკის მოსაწყობად საადგილ მამულო რეფორმისათვის თანახმად ამ კანონთან დართული ხარჯთა-აღრიცხვისა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? მიღებულია.

ეხლა ფინანსთა მინისტრი თხოულობს პარლამენტის წინაშე, რომ ეს საკითხი ბონების გამოცემის შესახებ პირველად იქნეს განხილული.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრი გიორგი ჟურული. ფინანსთა სამინისტროს თხოვნ , რომლითაც ეხლა მივმართე მე პატივცემულ თავმჯდომარეს და მივმართავ პარლამენტს მდგომარეობს იმაში, რომ ფრიად საჭირო არის ამ ახალ ემისიის უფლების სასწრაფოდ გადაწყვეტა.

თუ ვინიცობაა არ შეიძლება, რომ ეს საკითხი პირველად იქნეს განხილული მესამე ან მეოთხე კითხვად მაინც იყოს დასმული. ყოველ შემთხვევაში ეს გვკმაყოფილებს, რადგანაც ჩვენი მთავრობის სურვილია, რომ უთუოდ დღესვე იყვეს გადაწყვეტილი ეს საკითხი.

მაშასადამე, თუ პირველ რიგში არ იქმნა მესამეთ, ან მეოთხედ მაინც იქნეს. ერთი სიტყვით, ოღონდ კი დღიურ წესრიგში შეიტანეთ, რომ თქვენ დასტური დასდოთ.

საბუთიან თხოვნისა გახლავთ შემდეგი: ჩვენი უფლება წარსულ ემისიისა უკვე გათავებულია. აგერ ორი დღეა, რაც ჩვენს ხაზინას აღარ აქვს ამ მხრივ მეშოსავალი და ხარჯები კი ყოველ დღე არის. ასე რომ ყოველად შეუძლებელია დაბრკოლება და ამ საქმის დაგვიანება ერთი დღითაც კი.

მეორე გარემოება, რომელიც გვიაძლებს ვთხოვოთ ამ საკითხის დღესვე გარჩევა გახლავთ ის, რომ ადერბეიჯანის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს კანონიერი უფლება ამ საგანზე ხელშეკრულობა შეჰკრას, მას ეს უფლება დაეკარგება ხვალიდან, რადგანაც იქ პარლამენტი გაჩნდება. მაშასადამე ეს საქმე უნდა დაუბრუნდეს, მოეხსენოს საპარლამენტო კომისიას და რასაკვირველია, საქმე დიდად გაჭიანურდება. ამიტომ თითონ ადერბეიჯანის წარმომადგენელი გვიკარნახებს, რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა ეს საჩქარო საკითხი დღესვე დაისვას და **მთავრობას** აქვს ამის სრული უფლება. აქამდის პარლამენტი ადერბეიჯანში არ არსებობდა და მთავრობას ჰქონდა კანონიერი უფლება ამ მხრივ. ამიტომ სწორედ ამ უფლების ძალით, რომელიც ჰქონდა ადერბეიჯანის წარმომადგენელს უკვე მოვახდინეთ ერთხელ და ორჯელ ამ წესით ემისიის გამოცემა.

მაშასადამე, რომ ეს ძველი წესი არ დაირღვეს და ჩვენ იძულებულნი არ გავხდეთ დავბრკოლდეთ იმ პარლამენტარულ წესს, რომელიც ხვალინდელ დღიდან დაიბადება ადერბეიჯანში,—ეს არის მეორე საბუთი, რომელიც ჩვენ გვაიძულებს მივმართოთ თხოვნით პარლამენტს, რომ ეს საკითხი დღეს უთუოდ იქნეს განხილული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე ასე, რომ თქვენ მოითხოვთ, რომ ეს საკითხი დღეს უკვე თუ ოდ იქნეს განხილული? (ყურული: დიახ! დღეს, უსათუოდ!)

შემდეგი საკითხი გადასახადების აკრების შესახებ. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს პეტრე ქავთარაძეს.

კანონ-პროექტი გადასახადთა აკრებისა.

პეტრე ქავთარაძე. კანონ-პროექტი გადასახადთა აკრების შესახებ წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ. ამ მხრივ, ამ კანონ-პროექტში არსებობს ფინანსთა სამინისტროს განმარტება (თავმჯდომარე: გთხოვთ ხმა მაღლათ) განმარტების თანახმად კანონ-პროექტი გამოწვეულია რესპუბლიკის ხაზინის საერთო მდგომარეობით, თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენში გადასახადი თითქმის სრულიად არ იკრიბება. და არც არის ისეთი აპარატი, რომელიც მხოლოდ და მარტო ამ გადასახადის აკრებისთვის ზრუნავდეს. მილიცია, რომელსაც მომქმედ კანონის ძალით მინდობილი აქვს გადასახადის აკრება, ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ არის სათანადოდ მოწყობილი, მეორედ და უმთავრესად, იმიტომ, რომ არ არის შექმნილი ასეთი ორგანო, ისეთი აპარატი, რომელსაც მხოლოდ აკრების საქმე ჰკონდეს მინდობილი და რაკი მილიციას მრავალი სხვა ვალდებულება აქვს დაკისრებული და მისი მოვალეობა ფრიად გაფრცელებული არის, ამიტომ გადასახადის აკრების საქმეს ვერ ასწრებს მილიცია და ვერ ანდომებს იმდენ დროს ტ ენერგიას, რომელსაც საქმის ინტერესი მოითხოვს.

ერთად-ერთი ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლიან გაუძღვეს სხვა და სხვა გადასახადის აკრების საქმეს, არის გადასახადის აკრების ინსპექცია. მაგრამ ამ ინსპექციის უმთავრესად ევალება გადასახადის გაწერა და თვალყურის დევნა, თუ როგორ შემოდის გადასახადი და არა თვით გადასახადის აკრება.

აი, სწორედ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონ პროექტის მიზანი ის არის, რომ შეიქმნას გარკვეული ურთიერთობა, გადასახადთა ინსპექციის და მილიციას შორის, რომ მილიცია გადასახადის აკრების საქმეში სრულიად ემორჩილებოდეს გადასახადთა ინსპექციას. რასაკვირველია, საუკეთესო მდგომარეობა, საფინანსო. ეჩუენების აზრით, ის იქნებოდა, რომ შექმნილიყო სრულიად გაცალკეებული აპარატი, რომ ეს გადასახადის ამკრებლები უსათუოდ იქნენ გადასახადის ამკრებს ინსპექციას სრულ განკარგულებაში. მაგრამ, რადგანაც ჯერ ჯერობით ეს მოუხერხებელია სამინისტრო ანნაირ კომპრომისულ კანონ პროექტში ხედავს ხსნას. გადასახადის ამკრები მილიცია და ინსპექცია რჩებიან ცალ-ცალკე დაწესებულებად მხოლოდ მათ შორის მყარდება ურთიერთობა. გადასახადის აკრების დროს საგანგებო ხარჯთ-ამკრები მილიციას ეკუთვნის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს საერთო მილიციას ზომქმედი კანონებით. გადასახადთა ინსპექციას უმთავრესად მინიჭებული აქვთ საკანტროლო ფუნქციები. ამ რიგად თითონ აკრების საქმე და თვით გადასახადები ინსპექციას არ ეკისრება. მაგრამ მან უნდა იცოდეს, როგორ ხდება აკრება გადასახადებისა. და სათანადო შემთხვევებში, რასაკვირველია, მან ზომები უნდა მიიღოს მილიციის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. გადასახადთა ინსპექციას, ამასთანავე ენიჭება უფლება რევიზიის გაწევისა, თუ მილიციის მოქმედება უკანონო იყო.

გადასახადთა აკრება საგანგებო მილიციით ხდება მხოლოდ დიდი ქალაქებში, როგორც ტფილისში, ქუთაისში, ფოთში და სოხუმში. აქ ამ ქალაქებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციის მოვალეობა იქნება მხოლოდ გადასახადის აკრების საქმე. ეს მილიცია გამოყოფილი იქნება საერთო მილიციისაგან ისე, რომ ამ მილიციის არ ექნება სხვა ვალდებულება, თუმცა გადასახადის ამკრები მილიცია, საერთო წესით სარგებლობს იმავე უფლებით, როგორც საერთო მილიცია.

ბაზრებში და დანარჩენ დაბა სოფლებში გადასახადის ამკრები საგანგებო მილიცია არ არსებობს. ეს მოვალეობა დაკისრებული ექნება საერთო მილიციას, რომელიც, რასაკ�r ველია, დაეკვემდებარება გადასახადის ამკრებ ინსპექციას და მის კანტროლს.

ეხლა თუ ნებას მომცემთ წაკითხავ თვით კანონ-პროექტს.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა კანონ-პროექტის შესახებ? პარლამენტის წევრი ლომთათიძე.

ალ. ლომთათიძე. (ს.-დ.) მოქალაქენო! ერთი საკითხი არის აქ, რომელზედაც მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო. საქმე ისაა, რომ ეი ამ შემოტანილ კანონ-პროექტით, არსებითად, პრინციპიალურად არაფერი არ იცვლება. კანონ-პროექტს აქვს აქეს მხოლოდ ერთი ტეხნიკური ხასიათი. ეს ერთ გვარ ტეხნიკურ მოსაზრებაზე არის აღმოცენებული. საჭიროა გამოსვლა ამ მდგომარეობიდან, რომელიც შექმნილა დღეკანდელ ჩვენ რესპუბლიკის სინამდვილეში გადასახადის აკრების შესახებ. საფინანსო უწყების სურვილი აქეს, რომ რაც შეიძლება ჩქარა და ზედ მიწევნით მოკრიბოს დანარჩენი გადასახადი. ამისთვის, ერთგვარი წმინდა ტეხნიკური შესწორება შეაქვთ არსებულ წესებში, ჩვენ ეს ასე გვესმის.

ეს მეგონა, ერომ მომხსენებელი გვეტყოდა, რა შეიცვალა იმასთან შედარებით, რაც იყო დღეკანდლამდის, რამ გამოიწვია ეს ახალი კანონ-პროექტი, რაა მიზეზი, რომ ახალი ნორმები უნდა მივიღოთ, რომლებიც შესცვლიან არსებითად არსებულ კანონებს. მაგრამ ეს მომხსენებელმა ჩვენ არ გვითხრა. აშკარაა, რომ აქ ლაპარაკი არის მხოლოდ ტეხნიკურ საკითხზე გადასახადის აკრების პროცესის განხორციელებაზე. ვინაიდან, რამდენადაც ჩვენ ვიცით ქალაქებში და სოფლებშიაც ძველის-ძველად დაწესებულ კანონების მიხედვით, გადასახადის აკრება ეკისრებოდა ძველ პოლიციას, ამისთვის განსაკუთრებული რაზმი არ იყო გამოყოფილი. განსაკუთრებულ ჯარს ეკალებოდა ამ საქმის გაძღოლა და შესრულება, არამდე ძველად ეს ადმინისტრაციას ევალებოდა. ამ კანონ-პროექტის მიხედვით კი ამ საქმისთვის განსაკუთრებული რაზმი უნდა გამოიყოს. მაგრამ, თუ აქ წესების შეცვლაზე არის ლაპარაკი, რა საჭიროა, რომ ეს საკანონმდებლო გზით გავაკეთოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უწყებას, უწყების მეთაურებს სრული უფლება ჰქონდათ და აქვთ ეს გაატარონ ცხოვრებაში მართველობის გზით. და ამიტომ ჩვენ წინადადება შეიტანეს ეს კანონ-პროექტი დაბრუნდეს საფინანსო კომისიაში, იმ მიზნით, რომ ჩვენი აზრით ეს შეადგენს სათანადო უწყების სრულ კომპეტენციას და უწყების მეთაურებს, შეუძლიან, რომ ყველაფერი, რაც არის აქ ჩამოთვლილ ინსპექციის განმარტების საშუალებით შეიძლება მოგვაგონონ თითონ მართველობითი წესით. მით უფრო, მოქალაქენო, რომ ამ ლაპარაკი არის მილიციაზე, ქალაქის მილიციაზე, რომელიც როგორც ვიცით ჩვენ, სასესიონი ექვემდებარება ადგილობრივ თვითმართველობას, მაშასადამე, აქ ერთგვარი შეთანხმებაა და წინასწარ მოლაპარაკება და ფუნქციების გამიჯვნა არის საჭირო. რაც შეეხება, პროვინციაში მოქმედ მილიციას, ის ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ორივენი ფინანსთა და ვაჭრობის უწყებაში ერთი და შინაგან მინისტრის უწყებაში, მეორე. ადგილობრივი თვითმართველობა, ქალაქის და ერობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვვითმმართველობათა სახით, უნდა შეუთანხმდნენ ერთმანეთს ამ საკითხში ცალ-ცალ-ში ეიმუშავონ წმინდა ტეხნიკური, პრაქტიკული წესები ცხოვრებაში გასატარებლად და საჭირო პრაქტიკული ზომების და წესების შესამუშავებლად.

ჩვენი აზრი ასეთია, და ვიმეორებ, რომ ჩვენ წინადადება შემოვიტანეთ ეს კანონ-პროექტი დაუბრუნდეს ისევ კომისიას ამნაირი დასაბუთებით.

თავმჯდომარე. მამასადამე, არსებით მსჯელობას თავს ვანებებთ, და გა-დავდიეართ იმ წინადადების განხილვაზე რომელიც შემოიტანა ბ. ლომთათიძემ, რომ კანონ პროექტი დაუბრუნდეს კომისიას იმ მოსაზრებით, რომელიც იმან გამოსთქვა აქ. როდესაც იმას გადასწყეტთ: უარყოფთ, თუ არა ამ წინა-დადებას,—მაშინ შეიძლება ვიმსჯელოთ არსებითად თვით კანონ პროექტის შესახებ. (მამართავს ფინანსთა მინისტრს) თქვენ ამ კანონ პროექტის შესახებ გნებავთ ილაპარაკოთ? (ფინანსთა მინისტრი) დიახ!

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრი გიორგი ყურული. ჩემის აზრით ამ მოხსენების საფინანსო და საბიუჯეტო კომისიაში დაბრუნება არ არის სასურველი, რადგანაც ეს, ერთ მხრივ, დაადგენენს ამ კანონ პროექტის ცხოვრებაში გატარებას, და, მეორე მხრივ, არსებითად არაფერს შესძენს ამ კანონ-პროექტს თუ იგი დაუბრუნდება კომისიას.

რადგანაც აქ არ შეიძლება ლაპარაკი, იმაზე, რომ მხოლოდ ინსპექციასთან შეთანხმების ძალით, შეიძლება იმ წესების შემოღება, რომელსაც ეხება კანონ-პროექტი. მომხსენებელსაც მოგახსენოთ, რომ ზოგიერთი მხარეები ამ კანონ პროექტისა არ შეიძლება განახორციელოს ინსპექციამ ძველ კანონების ძალით. (ლომთათიძე: რისები, მაგალითად?). მაგალითად, ძველი კანონი არ აძლევს უფლებას გადასახადის ინსპექციას, რომ მან რევიზია მოახდინოს იმ დაწესებულებაში, სადაც ხდება ხარჯის აკრეფა. ძველი კანონი, როგორც მოგახსენეთ, ისე იყო შედგენილი, რომ საფინანსო უწყება და მეტადრე ეს ინ-სპექცია სრულიად მოკლებული იყო იმ გვარ მოქმედებას და საშუალებას. ეს იყო ერთგვარი სისტემა, რომლითაც საზოგადოებრივ ელემენტებს, რომელთაც ყოველ შემთხვევაში ეკუთნის ინსპექცია, არავითარი ზედ გავლენა, არ ჰქონდათ იმ მომენტზე, როდესაც ხარჯი აკრეფებოდა.

ჩვენი მთავრობა, იმ აზრს ადგია, რომ უნდა დაუახლოვოთ ეს ორი მომენტი: ერთის მხრივ, ხარჯის აკრეფა და მეორე ხმრივ, სწორედ დახმარება ინსპექციისა. ეს არის ახალი მოტივი, რომელიც შეგვაქვს. საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, რომ მეცნიერებაში მიღებული არის, ის, რომ ხარჯის აკრეფა უნდა გადაეცეს სავსებით საფინანსო უწყებას. მაგრამ, თითქმის არ არის სახელმწიფო, სადაც ეს განხორციელებულიყოს, რადგანაც ეს დიდ ხარჯს იწვევს. ჩვენ, რადგანაც ამ ხარჯის გვეშინოდა, ამ კანონ-პროექტში შევიტანეთ კერძოთ ასეთი ცვლილება. ხოლო საზოგადო ელემენტები შეგვყავს იმ მომენტში, როდესაც ხდება იმ გადასახადის აკრეფა. აი ეს არის ახალი მოტივი, რომელზედაც ჩვენ გვინდოდა თქვენი დასტური მიგეცეო ამ საქმეში, და ვგონებ, რომ კომისიაში გადაცემა არ არის საჭირო.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი ლომთათიძე.

ალ. ლომთათიძე ცოტაოდენი განმარტება, თუ შეიძლება, მოქალაქენო.

მე ის წინადადება რადი შემოვიტანეთ, რომ საფინანსო კომისიის კანონ-პროექტი კვლავ დაუბრუნდეს პარლამენტს, არამედ მე ვიცხადებდი, რომ ჩემის აზრით, სათანადო უწყებას შეუძლია თავის უფლების ფარგლებში, მმართველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით გზით გაატაროს ცხოვრებაში ის, რის გატარებაც განუზრახავს პარლამენტის წესით. ჩემი აზრი ასეთი არის.

კანონმდებლობის წესით, ჩემის აზრით მხოლოდ მაშინ უნდა მუშავდებოდეს კანონი, როდესაც ძველ კანონში რაიმე იცვლება, ან და სრულიად არ არსებობს ამ საგანზე არავითარი კანონი. პარლამენტმა მაშინ უნდა დაადგინოს, ოთ ეს დარი ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა ახალ ნორმებზე ჩამოყალიბდეს.

დიახ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არაფერი არ იცვლება ძველ კანონში არსებითად. მილიცია,—ძველი პოლიცია რჩება, საჭიროა მხოლოდ განსაკუთრებული რაზმის გამოყოფა ამ საქმისთვის და მის ცხოვრებაში გასატარებლად.

აი ეს იყო ჩვენი მოსაზრება. იმიტომ მოგახსენეთ, რომ დაუბრუნდეს კანონ-პროექტი კომისიას და მან შეიძლება სათანადო უწყებასთან შეთანხმებით მმართველობის გზით გაატაროს ის ცხოვრებაში.

ეს მოხდება ფინანსთა მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ადგილობრივ თვითმართველობის, ქალაქთა და ერობათა ორგანიზაციების შეთანხმებით.

აი, ასეთია ჩვენი წინადადება და არ მოვითხოვთ, რომ კანონ-პროექტი კომისიიდან კვლავ უკან დაუბრუნდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე. ფინანსთა მინისტრი.

ფინანსთა მინისტრი გიორგი ყურული. მე ჩემ თავს ნებას მივცემ ხაზი გავუსვა მხოლოდ ერთ გარემოებას, რომლის შესახებ შეიძლება თქვენ გაკვრით მოგახსენეთ და იმიტომ თქვენი ყურადღება ვერ მივაქციე სწორედ ამ მომენტს.

ძველ კანონის ძალით ინსპექციას არა აქვს ნება რევიზია მოახდინოს იმ დაწესებულებაში, სადაც ხდება ხარჯის აკრეფა. ინსპექტორი რომ მისულიყო, სარევიზიოდ მილიციისთან, ან წინანდელ პოლიციასთან—შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთაური ეტყოდა: „ამის ნება თქვენ არ გაქვთ". ამ უფლებას მოკლებული იყო წინასწარ განზრახული აზრით (ლომთათიძე: ეს არის ცვლილება?). ეს არის ცვლილება. ჩვენ კი გვინდა, რომ ეს უფლება მივცეთ გადასახადის ამკრეფ ინსპექციას. აი, ეს გარემოება გვაიძულებს შეგაწუხოთ თქვენ, რომ ინსპექციას მიენიჭოს ეს უფლება არა მმართველობის გზით, არამედ ჩვენ გვინდა, რომ თქვენის დასტურით იყოს შეტანილი ეს ცვლილება, თქვენის დასტურით მიენიჭოს ინსპექცია ეს უფლება.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი ნინიძე.

კირილე ნინიძე (ს.-დ.). მე მგონია, რომ არ არის საჭირო ამ ცვლილების მიღება, რადგანაც ჩვენ ეხლა გვყავს სახელმწიფო კონტროლიორი, რომელიც იმუშავებს დებულებას კონტროლის შესახებ, და ეს პარლამენტში იქნება მიღებული. ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა კონტროლი იქნება ცალკე მოწყობილი (ივანიცკი: რუსეთშიაც იყო სახელმწიფო კონტროლიორი). რა ბრძანეთ? (ივანიცკი: რუსეთშიაც იყო სახელმწიფო კონტროლიორი). რუსეთში იყო და ეხლა ჩვენშიაც იქნება.

თავმჯდომარე. ვის ნებასს სიტყვა? არავის. კამათი შეწყვეტილი არის. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს:

პეტრე ქავთარაძე. ამ კანონ-პროექტში, ბატონებო, მარტო სატეხნიკო საკითხი არ არის, როგორც ბატონი ლომთათიძე ბრძანებს. აქ უფლებრივი საკითხიც არის. რევიზიის უფლება მიენიჭება გადასახადთა ამკრეფ ინსპექციასს, წარმოლის უფლება მას აქამდე არ ჰქონდა. ეს უფლება ეხლა მას ენიჭება ამ კანონ-პროექტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება სახელმწიფო კონტროლიორზე მითითებას,—ეს სრულიად უადგილო მომაზრეა, ამიტომ, რომ სახელმწიფო კონტროლიორის ფუნქცია ერთი ზოგადი ხასიათის არის და სრულიათ არ შეადგენს მის ფუნქციას დამარება ელმოუჩინოს გადასახადის აკრეფაში გადასახადის ინსპექციას. ასე რომ, რა გინდ იდეალურადაც არ უნდა იყოს მოწყობილი ჩვენი სახელმწიფო კონტროლი, მაინც გადასახადის აკრეფის საქმე სრულიათ არ გაადვილებდა, როგორც ეს ბატონ ნინიძეს ჰგონია.

ამ რიგად სახელმწიფო კონტროლიორის და მის მოღვაწეობის აქ მოტანა, სრულიად უადგილო იყო.

აქ კანონ პროექტში არის ნათქვამი, რომ უფლება რევიზის მოხდენისა ენიჭება გადასახადის ინსპექციას, ოასაც მოქმედ კანონით იგი მოკლებული იყო.

აქ სთქვეს, რომ მარტო ამისთვის, მარტო ამ უფლებისთვის არა ღირს კანონ პროექტის მიღებაო. ეს არ არის ჭკუასთან ახლო, იმიტომ რომ ამ უფლების მინიჭება ხელს შეუწყობს ინსპექციას, რომ რევიზია მოაწყოს, რაც გადადვილებს გადასახადის საქმის მოწყობას. ვიმეორებ, მარტო ეს ერთი უფლებაც ხომ იყოს, მარტო, ამისთვისაც ღირს ამ კანონ პროექტის მიღება. მაგრამ, მარტო ეს არ არის.

არსებულ კანონ პროექტში, ძველ კანონ პროექტში, მილიციის და გადასახადის ინსპექციის სორის ურთი ერთობა არ იყო გამორკვეული. და როდესაც ეს ურთიერობა არ იყო გარკვეული, თითეული მათგანის მოვალეობაც არ იყო წინად აღნიშნული და გარკვეული. ეს კანონ პროექტი კი არკვევს ამ ურთიერთობას გადასახადის ინსპექციის და მილიციის შორის.

ამ მხრივ, ერთგვარი მტკიცე საფუძველი ედება გადასახადის აკრეფის საქმეს.

ასე რომ ვიმეორებ, საფინანსო უწყების აზრით, ეს კანონ-პროექტი უნდა იყოს განხილული პარლამენტის მიერ, რომ გადასახადის აკრეფის საქმე ცოტად მაინც წინ წავაგდოთ, და ცარიელი ხაზინის მდგომარეობა გადასახადის აკრეფით გავაუმჯობესოთ.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი ამ წინადადებას.

ა. ლომთათიძე. (ადგილიდან) მე წინადადებას ვხსნი.

თავმჯდომარე. გადავდგეთ მუხლობრივ განხილვაზე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს).

კანონ-პროექტი გადასახადების აკრეფისა.

1. აკრეფა სახელმწიფო, საერობო, ქალაქისა და სხვა უდავო წესით მოსათხოვარ გადასახადებისა, აგრეთვე შესრულება გადასახადებით გამოწვეულ სათანადო პირთა და დაწესებულებათა მინდობილობისა, ჩაბარება გადასახადის ფურცლებისა, ყოველნაირი უწყებებისა, შეკითხვებისა და გამახსენებელ ბარათებისა, დაევალოს:

ა) ტფილისში, ქუთაისში, სოხუმში და ფოთში მილიციის რაიონის კომისრის თანამემწისაგან, უფროს და უნტროს მილიციონერებისაგან შედგენილ საგანგებო ხარჯთამკრეფ მილიციას, რომლის საერთო მილიციიდან გამოყოფა საგადასახადო უბნების რიცხვის მიხედვით შეადგენს ქალაქის მილიციის უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსის კომპეტენციას შეთანხმებით გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამართველოს უფროსთან.

ბ) დანარჩენ ქალაქებში და ქალაქ გარეშე ადგილებში კი ქალაქის, მაზრის და სოფლის საერთო მილიციას.

შენიშვნა: გამორკვევა საგანგებო მილიციის რიცხვისა და შემადგენლობისა და სხვ. ხელმეორ (ა. მუხ. I) ქალაქებში და მისი განაწილება საგადასახადო რაონთა შორის ეკისრება ფინანსთა მინისტრს შეთანხმებით შინაგან საქმეთა მინისტრთან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 2. გადასახადების აკრეფის დროს საგანგებო მილიცია სარგებლობს ყველა იმ უფლებებით, რომელიც ამ მხრივ მინიჭებული აქვს საერთო მილიციას ბომჭვილი კანონებით.

თავმჯდომარე. ვის ჰ.ურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). 3. საგანგებო მილიციის საერთო ხელმძღვანელობა და მისი მოქმედების თვალყურის დევნა ეკისრება: სახელმწიფო და საერობო გადასახადების მხრივ—გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამართველოს უფროსს და გადასახადთა ინსპექტორებს, ქალაქისა კი—სათანადო ქალაქის გამგეობას.

თავმჯდომარე ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). 4. გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამართველო და ხაზინები, როცა კი გაუგზავნიან კუთვნილებისამებრ საგანგებო ან საერთო მილიციას ცნობებს დარჩენილ გადასახადებზე დაუყოვნებლივ ატყობინებენ გადასახადთა ინსპექტორებს დროს ასეთი ცნობების გაგზავნისას. გადასახადთა ინსპექტორები თვალ-ყურს ადევნებს მილიციას, რამდენად სწრაფად და კანონიერად ასრულებს იგი თავის მოვალეობას, უთითებს მას იმ ზომებზე, რომელსაც უნდა მიმართოს მან გადასახადების აკრეფის დროს და იმ მამულ-ქონებაზედ, რომლიდანაც აღებული უნდა იქნეს გადასახადები.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 5. თუ დარჩენილი გადასადი არ იქნა აკრეფილი ქალაქებში ორი თვის და ქალაქ გარეშე ადგილებში ექვსი თვის განმავლობაში დღიდან დარჩენილ გადასახადებზე მილიციაში ცნობებისა, ამის შესახებ მილიცია მოხსენებას ურდგენს გადასასადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 6. გადასახადთა და სახელწიფო ხაზინის სამართველო მიიღებს რა მილიციის მოხსენებას აუკრეფელ დარჩენილ გადასახადებზე, გამოაქვს დადგენილება იმ მამულ-ქონების საჯაროდ გაყიდვისა, რომელზედაც დარჩენილია გადასახადი. საჯარო გაყიდვა ხდება იმ წესით, რომელიც შემოღებულია სახაზინო საქმეების უდავოდ გადასახადების დებულებაში. (Положеніе о взысканіи по безспорнымъ дѣламъ казны) იმ განსხვავებით, რომ გუბერნიის სამართველოს მოვალეობას ასრულებს გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამართველო და პოლიციის მოვალეობას კი კუთვნილებისამებრ საგანგებო და საერთო მილიცია.

თავმჯდომარე ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 7. გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართველო და ხაზინები დაუგზავნიან რა მილიციას გადასახადთა ფურცლებს, დაუყონებლივ აცნობებენ გადასახადების ინსპექტორებს დროს ასეთი ფურცლების დაგზავნისას. უჯანსაღლელები თვალყურს ადევნებენ, რამდენად სისწორით და თავის დროზე ასრულებს მილიცია ჰალატისა და ხაზინების მინდობილობათ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 8. მაზრის, ოლქის კომისრები ვალდებულნი არიან ყოველ თვიურად აცნობონ გადასახადთა ინსპექტორებს, თუ რა იძულებითი ზომები იქნა მათ მიერ მიღებული დარჩენილი გადასახადების ასაკრეფად. ამასთანავე კომისრები ვალდებულნი არიან დაწერილებით განუმარტონ გადასახადთა ინსპექტორებს ის შემთხვევები, როცა მილიციისაგან სისრულეში არ იქნა მოყვანილი ინსპექტორებისაგან ნაჩვენები ზომები დარჩენილ გადასახადების ასაკრეფად.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 9. სოფლის საზოგადოების ყველა განაჩენები შესახებ გადასახადების მოსახლეთა შორის განაწილებისა, სოფლის კომისარებმა უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად გადასახადთა ინსპექტორებს. თუ ინსპექტორი არ იცნობს განაჩენს სწორად შედგენილს, ან დაინახავს, რომ ზოგიერთ მოსახლეებზე ზედმეტი გადასახადია გაწერილი, ასეთს განაჩენს იგი უბრუნებს საზოგადოებას, მის მიერ ნაჩვენებ შესწორების შესატანად ან და სრულიად ახალ განაჩენის გამოსატანად.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 10. გადასახადთა ინსპექტორებს უფლება ეძლევათ რევიზია გაუკეთონ საგადასახადო მილიციის მოქმედებას და მის მიერ საქმის წარმოებას, აგრეთვე მაზრის, რაიონის და სოფლის კომისარიატებში საგადასახადო საქმის წარმოებას.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 11. გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამართველოს უფროსისა და საგუბერნიო კომისარის შორის გადასახადების აკრებით გამოწვეული უთანხმოება გადადის ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების გადასაწყვეტად უკანასკნელთა ურთიერთ შეთანხმებით.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 12. ფინანსთა მინისტრს უფლება ეძლევა ეს კანონმდებლობა განმარტოს ცალკე ინსტრუქციით.

თავმჯდომარე. კერძოდ კანონ პროექტს უყრი კენჭს. ამ რიგად კანონ-პროექტი მიღებული არის და გადაეცემა კომიისას. შემდეგი კანონ-პროექტი. პარლამენტის წევრი ქავთარაძე.

კანონ-პროექტი გადასახადთა ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ.

პ. ქავთარაძე. ეს გახლავთ მერე კანონ-პროექტი საფინანსო სამინისტროსი გადასახადთა ინსპექციის შტატების გამრავლებისა და მის მოხელეთა ჯამაგირის მომატების შესახებ. გადასახადთა ინსპექციის შტატების გამრავლება გამოწვეული არის იმით, რომ არსებითი შტატები ვერ აკმაყოფილებს გადასახადის აკრების საქმით გამოწვეულ საჭიროებას. წარმოდგენილ კანონ-პროექტით უკმდება გადასახადთა ინსპექტორის უფროსი თანაშემწის თანამდებობა, ამის გარდა, არსდება ექვსი ახალი თანამდებობა გადასახადთა ინსპექტორისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის სამი ტფილისში, ერთი ქუთაისში, ერთი ფოთში და ერთიც ბორჩალოს მაზრაში. ამასთანავე არსდება თორმეტი ახალი თანამდებობა გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწისა. თერთმეტი მათგანი ტფილისში და ერთიც ტფილისის მაზრაში. თქვენ, ალბად, მოგეხსენებათ, რომ ყოფილ ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ. მარტის სამის დადგენილებით გადასახადთა ინსპექციის მოხელეებს ეძლეოდათ სიძვირით გამოწვეული დამატებითი ჯამაგირი. ამ კანონ-პროექტის ძალით ეს გაუქმებულია. გაუქმებულია აგრეთვე საწყერების გაცემა და დახმარების აღმოჩენა. ამის ნაცვლად ქალაქის ინსპექტორს ეძლევა საგზაო ხარჯად 800 მანეთი წლიურად. მის თანაშემწეს 600, ხოლო მაზრის ინსპექტორს 2,100 მან. და მის თანაშემწეს 1,200 მან. ამასთან გადასახადთა ინსპექტორებს ეძლევათ საკანცელარიო ხარჯებისათვის წლიურად თვითეულს 900 მ. კანცელარიის მინის დასაქირავებლად, მის გასათბობად და გასანათლებლად 3 ათასი მანეთი. ესევე თანხა ეძლევა ტფილისის მაზრის ინსპექტორებს. ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, სოხუმის ოლქის და ქუთაისის მაზრის ინსპექტორებს ეძლევათ ამავე ხარჯებისთვის 1,200 მ. ამასვე ღებულობენ დანარჩენ ქალაქების და მაზრების ინსპექტორები იმ განსხვავებით, რომ მათ ამ თანხიდანვე უნდა დაიქირავონ შიკრიკები. მე აღარ შევჩერდები მოხელეთა ჯამაგირის მოტატების საჭიროებაზე. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ეს საერთო პირობებით არის ნაკარნახევი.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა კანონ-პროექტის შესახებ? ვინ არის მომხრე, რომ გავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? გთხოვთ წაიკითხოთ.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს)

კანონ-პროექტი გადასახადთა ინსპექციის შტატების გამრავლების და მის მოხელეთა ჯამაგირის მომატების შესახებ.

1. გადასახადთა ინსპექციის შესახებ არსებული კანონდებულების და მისი შტატის შესაცვლელად და დასამატებლად დაწესებულ იქმნეს:

1. გადასახადთა ინსპექტორების უფროსის თანაშემწეთა თანამდებობა გაუქმებულ იქმნეს. სახელწოდება გადასახადთა ინსპექტორების უფროს თანაშემწეთა მოისპოს და დაწესდეს სახელწოდება გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). 2. გადასახადთა ინსპექტორების და მათი თანაშემწეების ჯამაგირი, აგრეთვე შემადგენლობა მათი კანცელარიებისა და ჯამაგირი კანცელარიის მოხელეთა დამტკიცებულ იქმნეს ამასთანავე დართულ შტატების თანახმად.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). 3. ყოფილი ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ., 3 მარტის დადგენილება, რომლის ძალით გადასახადთა ინსპექციის მოხელეთ ეძლევათ სიძვირით გამოწვეული დამატებითი ჯამაგირი, გაუქმებულ იქნეს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). 4. საგანგებო კრედიტი, რომელიც 1914

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ., 3 ივლისის კანონის მე-9 მუხლის ძალით ყოველ წლივ იხსნება გადასახადთა ინსპექტორების, მათი თანაშემწეების და საქმის მწარმოებელთა საჩუქრების მისაცემად და დახმარების აღმოსაჩენად, დახურულ იქმნას.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). 5. გადასახადთა ინსპექტორებს და მათ თანაშემწეებს, გარდა თანამდებობასთან დაკავშირებულ ჯამაგირისა, მიეცეთ წლიურად: ქალაქის ინსპექტორს—800 მანეთი და მის თანაშემწეს 600 მან., მაზრის ინსპექტორს კი 2100 მან. და მის თანაშემწეს—1200 მან. სამსახურით გამოწვეულ საგზაო ხარჯად ანგარიშის წარმოუდგენლად.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). 6 გადასახადთა ინსპექტორს საკანცელარიო ხარჯებისათვის მიეცეს წლიურად 900 მანეთი ანგარიშის წარმოუდგენლად.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). 7. ტფილისის და ტფილისის მაზრის გადასახადთა ინსპექტორებს კანცელარიების ბინის დასაქირავებლად, მის გასათბობად და გასანათებლად მიეცეთ წლიურად თვითეულს 3.000 მან., ქუთაისის, ფოთის, სოხუმის, სოხუმის ოლქის და ქუთაისის მაზრის ინსპექტორებს—1200 მან. თვითეულს ანგარიშის წარმოდგენით; დანარჩენ ქალაქების და მაზრების ინსპექტორებს აღნიშნული საქიროებისთვის და აგრეთვე კურიერების დასაქირავებლად—1200 მან. თვითეულს ანგარიშის წარმოუდგენლად.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). II. დაარსდეს ექვსი ახალი თანამდებობა გადასახადთა ინსპექტორებისა მათ შორის სამი ტფილისში, ერთი ქუთაისში, ერთი ფოთში და ერთიც შორაპნის მაზრაში და თორმეტი ახალი თანამდებობა გადასახადთა ინსპექტორების თანაშემწისა, მათგან თერთმეტი ტფილისში და ერთიც ტფილისის მაზრაში. თანამდებობა ქუთაისის გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწისა გაუქმებულ იქმნას.

თავმჯდომარე: ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). III. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან თანახმად ამ კანონთან დართულ შტატებისა ამა 1913 წ. პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე 446.000 მანეთი.

არსებული კრედიტი გადასახადთა ინსპექციის შესანახად დახურულ იქნეს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ დამატება ამ კანონ-პროექტის, —ჯამაგირების რაოდენობა.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს). **შტატი გადასახადთა ინსპექციისა და ხარჯთ-აღრიცხვა.**

1. გადასახადთა ინსპექტორები:

ა) ქ. ტფილისისა და ტფილისის მაზრისა 15. ჯამაგირი წლიურად ერთს 10.200 მ. ჯამაგირი წლიურად ყველს 153.000 მ. ყველს სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 51.000 მ.

ბ) ქ. ქუთაისისა, ფოთისა, სოხუმის ოლქისა და ქუთაისის მაზრისა 8. ჯამაგირი წლიურად ერთს 9.600 მ. ჯამაგირი წლიურად ყველას 76.800 მან. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე.

გ) ყველა დანარჩენი მაზრის და ზაქათალის ოლქისა 16. ჯამაგირი წლიურად ერთს 9.000 მ. ჯამაგირი წლიურად ყველს 144.000 მ. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 48.000 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თანაშემწენი გადასახადთა ინსპექტორებისა:

ა) ქ. ტფილისსა და ტფილისის მაზრისა 14. ჯამაგირი წლიურად ერთს 7.200 მ. ჯამაგირი წლის დამლევამდე ყველას 100.800 მ. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 33,600 მ.

ბ) დანარჩენი მაზრებისა 4. ჯამაგირი წლიურად ერთს 6.600 მ. ჯამაგირი წლიურად ყველას 26.400 მ. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდევამდე 8.800 მ.

სულ ჯამაგირი წლიურად ყველას 501.000 მ. ყველას სექტემბრის პირველიდა წლის დამლევამდე 167.000 მანეთი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეორე დამატება კანცელარიის შტატები.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს). გადასახადთა ინსპექტორების [კანცელარიების შტატი.

ქ. ტფილისში საქმის მწარმოებელი 1. ჯამაგირი წლიურად ერთს 6900 მ. რეგისტრატორები 4. ჯამაგირი წლიურად ერთს 4800 მ. შიკრიკი 1. ჯამაგირი წლიურად ერთს 3600 მან., წლური ხარჯი ერთი რაიონის კანცელარიისა 29700 მ. არსებობს 14 საგადასახადო რაიონი. წლიური ხარჯი ყველა გადასახადთა რაიონების კანცელარიისა 415800 მ. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 138600 მ.

ტფილისის მაზრაში საქმის მწარმოებელი 1. ჯამაგირი წლიურად ერთს 6900 მ. რეგისტრატორები 3. ჯამაგირი წლიურად ერთს 4800 მ. შიკრიკი 1. ჯამაგირი წლიურად 3600 მ. წლიური ხარჯი ერთი რაიონის კანცელარიისა 24900 მ. არსებობს 1 საგადასახადო რაიონი. წლიური ხარჯი ყველა გადასახადთა რაიონების კანცელარიისა 24900 მ. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 8300 მ.

ქ. ფოთში ქუთაისში და სოხუმში საქმის მწარმოებელი 1. ჯამაგირი წლიურად ერთს 6300 მან. რეგისტრატორები 3. ჯამაგირი წლიურად ერთს 4500 მ. შიკრიკი 1. ჯამაგირი წლიურად ერთს 3300 მ. წლიური ხარჯი ერთი რაიონის კანცელარიისა 23100 მ. არსებობს 5 საგადასახადო რაიონი. წლიური ხარჯი ყველა გადასახადთა რაიონების კანცელარიისა 115500 მ. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 38500 მ.

ქუთაისის მაზრასა და სოხუმის ოლქში საქმის მწარმოებელი 1. ჯამაგირი წლიურად ერთს 6300 მან. რეგისტრატორები 2. ჯამაგირი წლიურად ერთს 4500 მ. შიკრიკი 1. ჯამაგირი წლიურად ერთს 3300 მან. წლიური ხარჯი ერთი რაიონის კანცელარიისა 18600 მან. არსებობს 3 საგადასახადო რაიონი. წლიური ხარჯი ყველა გადასახადთა რაიონების კანცელარიისა 55800 მან. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 18600 მან.

დანარჩენი მაზრებისა და ზაქათალის ოლქში საქმის მწარმოებელი 1 ჯამაგირი წლიურად ერთს 5700 მან. რეგისტრატორები 2. ჯამაგირი წლიურად ერთს 4200 მ. წლიური ხარჯი ერთი რაიონის კანცელარიისა 14100 მან. არსებობს 16 საგადასახადო რაიონი. წლიური ხარჯი ყველა გადასახადთა რაიონების კანცელარიისა 225600 მან. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 75200 მან.

სულ წლიური ხარჯი ყველა გადასახადთა რაიონების კანცელარიისა 836600 მან. ყველას სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 279200 მან

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. საერთოდ კანონ-პროექტის წინააღმდეგ ვინ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. შემდეგი კანონ-პროექტი მომხსენებელია პეტრე ქავთარაძე.

კანონ-პროექტი სააქციზო უწყების ორგანიზაციის შესახებ.

პ. ქავთარაძე. კანონ პროექტი სააქციზო უწყების ორგანიზაციების შესახებ. რასაკვირველია, რადგანაც შემცირდა ტერიტორია ამიერ-კავკასიისა სააქციზო სამართველოს სათანადოდ შემცირება უნდა მომხდარიყო; მართლაც მოხდა ამ სამართველოს რეორგანიზაცია და ამიტომ არის წარმოდგენილი ეს კანონ პროექტი სააქციზო უწყების ორგანიზაციების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა კანონ-პროექტის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგ კანონ პროექტის მუხლობრივ განხილვისა? გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) კანონ-პროექტი სააქციზო უწყების ორგანიზაციისა საქართველოს ტერიტორიაზე.

1. ამიერ-კავკასიის სააქციზო სამართველო და მისი ოლქი: I, II, VI და VIII 1918 წლის პირველ მარიანამბისთვიდან უქმდებიან და ყველა ამ დაწესებულებათა მოხელეები რჩებიან შტატ გარეშე. ამასთანავე უქმდებიან თანამდებობანი: რეგიზორებისა, სამოსამართლო ნაწილის მოხელესი, ტეხნიკისა, საოლქო ზედამხედველისა, მისი თანაშემწეებისა, უფროს და უმცროს კონტროლიორებისა გარდა თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის და აქციზის მეთვალყურეებისა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 2. ის მოხელენი, რომელნიც არ იქნებიან ხელახლად დანიშნულნი ახლად დაარსებულ სააქციზო სამართველოში რაიმე ადგილზე, თანახმად 5 ივლისის 1918 წ. გამოცემულ კანონისა, მიიღებენ სალიკვიდაციო დახმარებას.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) **შენიშვნა** 1. ბათუმის სააქციზო ოლქი, თანახმად 20 ივლისის კანონისა ითვლება გაუქმებულად 1918 წ. პირველ ივლისიდან. ამავე რიცხვიდან პირველ ივლისიდან ითვლებიან დათხოვნილად აღნიშნულ ოლქის მოხელენი, რომელთაც ამასთანავე ესპობათ უფლება სალიკვიდაციო დახმარების მიღებაზე.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ შენიშვნის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) **შენიშვნა** 2: ის მოხელენი, რომელნიც 1918 წ. წლის 26 მაისამდე დროებით სამუშაოთ იყვნენ მოწვეულნი ყოფილ ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ოლქებიდან საქართველოს ტერიტორიის მოყოლილ ფარგლებში მიიღებენ სალიკვიდაციო დახმარებას.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 3. სააქციზო სამართველო არსდება ქალ. ტფილისში. ეს სამართველო განაგებს საქართველოში აქციზის ყოველნაირ დარგის საქმეს შემდეგი შემადგენლობით: სამართველოს უფროსი, მისი თანაშემწენი, მდივანი და ბუღჰალტერი თანაშემწეებით, რეგისორატორები და მბეჭდავ მანქანაზე მომუშავენი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 4. როგორც ქალაქებში, აგრეთვე მაზრებში ადგილობრივ საკაციზო საქმეებს განაგებენ ინსპექტორები თავისი უფროს და უმცროს თანაშემწეებით და კონტროლიორებით.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) **შენიშვნა:** კონტროლიორები ინიშნებიან მხოლოდ თამბაქოს ქარხნების ზედამხედველად.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პ. ქავთარაძე. (კითხულობს) 5. სამართველოს უფროსი საქართველოში განაგებს, სათანადო კანონების მიხედვით აწესრიგებს და ხელმძღვანელობს საკაციზო გადასახადების საქმის წარმოებას, იცავს ხაზინის ინტერესს, იღებს კანონიერ ზომებს შემოსავლის გასაღიდებლად და არის ამასთანავე პასუხისმგებელი აქციზის საქმის აღორძინება განვითარებაში.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 6. თანაშემწენი უფროსისა ასრულებენ ყველა იმ საქმეებს, რასაც ავალებს მათ უფროსი: ახდენენ რევიზიას მოხელეთა მოქმედების შესახებ, განაგებენ კანცელარიას და ასრულებენ უფროსის მოვალეობას, როდესაც ეკანასკნელი, რამე მიზეზის გამო, არ იმყოფება თავის ადგილზე.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 7. ინსპექტორებს ევალებათ მიიღონ ყოველნაირი კანონიერი ღონისძიება, რომ საკაციზო გადასახადების საქმე მათდამი რწმუნებულ საზღვრებში სრულდებოდეს მტკიცედ და წესიერად. ამასთანავე ეგინი უწევენ საჭირო ხელმძღვანელობას თავიანთ თანაშემწეებს და თამბაქოს ქარხნის კონტროლიორებს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 8. საკაციზო სამართველოს უფროსი ინიშნება მთავრობისაგან, თანახმად ფინანსთა მინისტრის წარდგენისა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 9. სამართველოს უფროსის თანაშემწეებს, ინსპექტორებს და მათ თანაშემწეებს ნიშნავს ფინანსთა მინისტრი საკაციზო სამართველოს უფროსის წარდგენით, დანარჩენ მოხელეთ ნიშნავს სამართველოს უფროსი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 10. რიცხვი ამ კანონ-პროექტში აღნიშნულ მოხელეთა და რაოდენობა მათი ჯამაგირებისა აღნიშნულია ამასთანავე დართულ შტატებში.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) 11. ყველა საქმეები და ქონება ამიერ-კავკასიის საკაციზო სამართველოსი და აგრეთვე I, II და VI ოლქებისა გადადის საქართველოს რესპუბლიკის საკაციზო სამართველოს ხელში, მასვე გადაეცემა საქმეები იმ ვალებრობა-მოვალეობათა შესახებ, რომლებიც სწარმოებენ ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის საზღვრებში.

თავმჯდომარე. ეინ არის წინააღმდეგი? მიღებული.

პეტრე ქავთარაძე. (კითხულობს) 12. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან საკაციზო უწყებისათვის თანახმად ამ კანონთან დართული შტატებისა 1918 წ. აგვისტოს პირველიდან წლის დამლევამდე სამს ოცდა ცხრაშეტი ათასი რვაასორმოცდა ხუთი (339845) მანეთი შემდეგი დანაწილებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ჯამაგირებისათვის 319,745 მან., 2. ბინისათვის 2,100, 3. საკანცელარიო და სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის 1,000 მან. და 4. პროვინციელ ინსპექტორათათვის საკანცელარიო და სხვა ხარჯებისათვის 8,000 მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი მეთორმეტე მუხლისა? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შტატები.

პეტრე ქავთარაძე (კითხულობს) **საკანცელარიო სამმართველის შტატი.** სამმართველოს უფროსი 1. წლიური ჯამაგირი 12000 მ. საგზაო ხარჯი 2400 მ. 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 6000 მ.

ზანი თანაშემწე 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 10200 მ. საგზაო ხარჯი თვითეულს 2400 მ. ყველას წლიურად 25200 მ. ყველას პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე 10500 მ.

ბუხჰალტერი 1. წლიური ჯამაგირი 8700 მ. 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 8625 მ.

მისი თანაშემწე 3. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7200 მ. ყველას წლიურად 21600 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 9000 მ.

მდივანი 1. წლიური ჯამაგირი 8400 მ. 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 3500 მ.

მისი თანაშემწე 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7200 მ. ყველას წლიურად 14400 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 6000 მ.

საქმის მწარმოებელი I რიგისა 4. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6000 მ. ყველას წლიურად 24000 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 10000 მანეთი.

საქმის მწარმოებელი II რიგისა 4. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5400 მ ყველას წლიურად 21600 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 9000 მ.

რეგისტრატორი 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5400 მ. ყველას წლიურად 10800 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 4500 მ.

მანქანით გადამწერი 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. ყველას წლიურად 9600 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 4000 მ.

შიკრიკი 3. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. ყველას წლიურად 10800 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 4500 მ.

ინსპექტორი.

ქ. ტფილისში 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 9600 მ. საგზაო ხარჯი თვითეულს 800 მ. ყველას წლიურად 20800 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 8670 მ.

მაზრებში და სხვა ქალაქებში I რიგისა 7. წლიური ჯამაგირი თვითეულს 9600 მ. საგზაო ხარჯი თვითეულს 1500 მ. ყველას წლიურად 77700 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 32375 მ.

II რიგისა 7. წლიური ჯამაგირი თვითეულს 9000 მ. საგზაო ხარჯი თვითეულს 1500 მ. ყველას წლიურად 73500 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 30500 მ.

ინსპექტორის თანაშემწე ქ. ტფილისში 12. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6600 მ. საგზაო ხარჯი თვითეულს 600 მ. ყველას წლიურად 86400 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 3600 მ.

მაზრებში 25. წლიური ჯამაგირი თვითეულს 660 მ. საგზაო ხარჯი თვითეულს 960 მ. ყველას წლიურად 189000 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 78750 მ.

უმცროსი თანაშემწე 20. წლიური ჯამაგირი თვითეულს 600 მ. საგზაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯი თვითეულს 960 მ. ყველას წლიურად 139200 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 23200 მ.

თამბაკოს ქარხნების კონტროლიორი 15. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6000 მ. ყველას წლიურად 90000 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 37500 მ.

სოხუმის ინსპექტორის საქმის მწარმოებელი 1. წლიური ჯამაგირი 4800 მ. 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 2000 მ.

სულ ყველას წლიურად 850900 მ. ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე 319745 მ.

დამატებანი.

1. აქციზის სამმართველოს ბინის ქირა 2100 მ.

2. საკანცელარიო, გათბობა, განათება და სხვა სამეურნეო ხარჯი 10000 მანეთი.

3. ქ. ქ. ქუთაისში, ფოთში, ზესტაფონში, სიღნაღში, თელავში და გორში, ექვს ინსპექტორს უნდა მიეცეს წლიურ საკანცელარიო ხარჯად 2000 მ თვითეულს. სოხუმში 1000 მ. და დანარჩენს ცხრას 600 მან. თვითეულს. ხოლო წლის დამლევამდე 8000 მან.

სულ 339845 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ შტატებისა? მიღებულია. კენჭს ყური საერთოდ კანონ-პროექტს. მიღებულია და გადაეცემა კომისიას.

შემდეგი კანონ პროექტი. მომხსენებელია ციცაძე.

კანონ-პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის ერთდროულ დახმარების შესახებ.

ნიკ ციცაძე (სოც.-დემ.) კანონ-პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებისთვის ერთ დროული დახმარების შესახებ. განათლების სამინისტროში ოზურგეთის მაზრის ზოგიერთ საზოგადოებისაგან ამ სამოსწავლო წლის დასაწყისში შემოვიდა შუადგომლობა უმაღლეს დაწყების სკოლების შესახებ; ამ საზოგადოებათან ერთათ ახალი უმაღლეს დასაწყისი სკოლებიც თხოულობენ, რომ ამ სკოლების შენახვა ხაზინამ მიიღოს თავის თავზე. განათლების სამინისტრო და მერე განათლების კომისიამ განიხილა ეს შუადგომლობა, და სენო მხოლოთ ისეთ საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელნიც წარმოადგენენ ისეთ სასწავლებლებს, რომლებსაც ამ მაზრაში უკავია ერთნაირი ცენტრალური ადგილი, სხვათაშორის, ჩოხატაურის საზოგადოების უმაღლეს დაწყებითი სკოლა. რაც შეეხება სხვა უმაღლეს დაწყებით სკოლებს, და იმათ რიცხვი გურიაში არის 22. იმათ შესახებ—კომისიას ჰქონდა სპეციალური მსჯელობა და დადგენილება, რომ ზოგი ერთ მათგანს მიეცეს ერთდროული დახმარება. დახმარება უნდა მიეცეს თანახმათ იმ კანონ-პროექტისა უმაღლეს დაწყებითი სკოლების შესახებ. ამათში ლიხაურის უმაღლეს დაწყებით სკოლა მეტად დაზიანდა ოსმალების შემოსვლის დროს. შენობას რემონტი ესაჭიროება, ოსმალებმა აგრეთვე სხვა და სხვა ხელსაწყო ნივთი დაკარგეს, დაამსხვრიეს. ამ მხრივ, ესაჭიროება ერთდროული დახმარება, აგრეთვე სხვა საზოგადოების უმაღლეს დაწყების სკოლებსაც და მათაც უნდა აღმოუჩინოთ დახმარება. კანონ-პროექტის თანახმათ თვითეულს 3000 მანეთი უნდა მიეცეს და მაშასადამე, საერთოდ ამ ოთხ უმაღლეს დაწყებით სკოლებს უნდა მიეცეს საერთოთ 12000 მან. თანახმად ამ კანონ-პროექტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი, რომ მუხლზე ერიკ განვიხილოთ კანონ-პროექტი? გთხოვთ წაიკითხოთ 1 მუხლი.

ნოე ცინცაძე (კითხულობს). 1. მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროული დახმარება ლიხაურის, აცანის, ამაღლების და ბახვის უმაღლეს-დაწყებით სასწავლებელთ, თითოს სამი ათასი მანეთი, სულ თორმეტი ათასი (12000) მანეთი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? მუხლი მიღებულია. კენჭს უყრი საერთოდ კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

კანონ-პროექტი 200 მილიონის ბონის ახლად გამოცემის შესახებ.

თავმჯდომარე. ეხლა ჩვენ შეუდგებით იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც წარმოდგენილი არის ფინანსთა უწყების მიერ ბონების შესახებ ბრძანებულებელი არის პარლამენტის წევრი ცინცაძე.

ნოე ცინცაძე. (ს. დ.) მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ თანახმად თქვენის დადგენილებისა, თქვენ მიანიჭეთ ერთნაირი საემისიო უფლება ჩვენ მთავრობას, თანახმათ იმ ხელშეკრულობისა, რომელიც იყო დადებული ერთის მხრივ სომხების, მეორეს მხრივ ადერბეიჯანის მთავრობასთან. ეხლა ეს საემისიო უფლება, რომელიც თქვენ მანიჭეთ თქვენის დადგენილებით, უკვე ამოიწურა. მაშასადამე, ჩვენ წინაშე ეხლა დაისვა საკითხი ისევ ამ ბონების შესახებ. მთავრობამ ამ შემთხვევაში, უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯები და მიიღო ზომები ამის შესახებ, რომ მოსხდარიყო ხელახლათ შეთანხმება ამ რესპუბლიკებთან. შეთანხმება უკვე მოხდა ადერბეიჯანის მთავრობასთან და თანახმად ამ შეთანხმებისა ადერბეიჯანის მთავრობამ და საქართველოს მთავრობამ უნდა გამოსცენ 160 მილ. მანეთის ბონები. მხოლოდ, როცა საფინანსო კომისიამ განიხილა ეს ხელშეკრულება, მან დაინახა საჭიროდ, რომ გამოცემული იქმნეს არა 160 მილ. მანეთის ბონები, არამედ 200 მილ. მანეთისა. მაშასადამე ის კანონ-პროექტი, რომელიც არის აქ წარმოდგენილი, შეიცავს აი ამ ემისსიის უფლების გაგრძელებას. ასე რომ გამოცემულ უნდა იქნეს 200 მილ. მანეთის ბონები. თუმცა მართალია, ხელშეკრულება დადებულია 160 მილ. მანეთზე, მაგრამ კანონ-პროექტში აროს 200 მილ. მან. მომავალში შესაძლებელი იქნება, რომ შეთანხმება მოხდეს ამ დამატებითი 40 მილ. მანეთზედაც აზერბეიჯანის მთავრობასთან, და მაშინ, თუ შეთანხმება მოხდა, ამ კანონ-პროექტის თანახმათ შესაძლებელი იქნება ამ 200 მან. მილ. ბონების გამოცემისა.

ეს წინასწარი ხელშეკრულობა, რომელიც დადებულია აზერბეიჯანის მთავრობასთან განსხვავდება ცოტა რამით იმ ხელშეკრულობისაგან, რომელიც დადებული იყო წინად, ერთის მხრივ, ადერბეიჯანის და, მეორეს მხრივ, სომხების მთავრობებთან. განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: ნება მიბოძეთ წაკითხო ის მუხლები, რომელიც ამ განსხვავებას შეეხება. ერთი მუხლი, მუხლი მე-4 ამბობს: (კითხულობს).

მაშასადამე თანახმად ამ ხელშეკრულობისა, ჩვენ 25 ნოემბერს უნდა მივცეთ ადერბეიჯანის მთავრობას ის, რაც მათ ეკუთვნის, თანახმათ 6 სექტემბრის ხელშეკრულობისა. საქმე იმაშია, რომ სავსებით მათი საემისსიო უფლება ამ შემთხვევაში არ ამოწურულა და 25 ნოემბერს ჩვენ სავსებით უნდა დავაკმაყოფილოთ ადერბეიჯანი. თუ არ დავაკმაყოფილეთ, მაშინ 25 ნოემბერის შემდეგ, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ბონები გამოვცეთ დროებით, სანამ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკმაყოფილებთ მხოლოდ მათ მოთხოვნილებას, ე. ი. აზერბეიჯანის მთავრობას. ეს არის ერთი მუხლი. ამ მუხლის შესახებ ჩვენ მივიღეთ განმარტება ფინანსთა სამინისტროსი, რომ შესაძლებელი იქნება ეხლანდელ პირობებში ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მეორე მუხლი, რომელიც შეიცავს ამ მოთხოვნილებას სახელდობრ მე-7-ე მუხლი მდგომარეობს შემდეგში: (კითხულობს)

მაშასადამე, ეხლა, ეს საემისსიო უფლება, რომელიც მიენიჭა მთავრობას, თუ თქვენ მიიღებთ ამ კანონ პროექტს, როცა ეს უფლება ამოიწურება, მაშინ არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება გამოსცეს ახალი ბონები თუ ახლად არ გაიმეორეთ ეს ხელშეკრულება.

აი ეს მუხლი და ამის მსგავსი მუხლი იყო წინანდელ ხელშეკრულობაში. ხელშეკრულობა ჩვენმა მთავრობამ წინადწინ. დასდო მხოლოდ ადერბეიჯანის მთავრობასთან. სომხების მთავრობასთან ჯერჯერობით არ არის დადებული ასეთი ხელშეკრულება. სამაგიეროდ წინად ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ პირველად სომხების მთავრობასთან და შემდეგ აზერბეიჯანის მთავრობასთან იქნა დადებული სპეციალური ხელშეკრულება.

6 სექტემბრის ხელშეკრულებით ჩვენ განვახორციელეთ ის დადგენილება, რომელიც მიიღო ჩვენმა პარლამენტმა.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში, განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ პირველი ხელშეკრულება დავდეთ ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობასთან, მომავალში თუ არარატის რესპუბლიკა მოინურვებს მაშინ განსაკუთრებულ ხელშეკრულობის თანახმად, რომელიც დადებულ იქნება ამ რესპუბლიკასთან, ჩვენ შეგვეძლება იმათაც მივცეთ ბონების ნაწილი, როგორც ეს იყო წარსულში.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? არავის. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

ნ. ცინცაძე. (კითხულობს. პირველი მუხლი) 1. საქართველოს პარლამენტი უფლებას აძლევს მთავრობას გამოსცეს კიდევ ამერ-კავკასიის კომისარიატის ბონები გარდა უკვე გამოცემულ 580 მილიონისა, ადერბეიჯანის ასი მილიონი მანეთი უნდა შეთანხმებით ორასი მილიონი ბონი, რომლისაგან ასი მილიონი მანეთი უნდა მიეცეს ადერბეიჯანის მთავრობას და ასი მილიონი მანეთი დარჩეს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში. პასუხისმგებლობა ამ ორასი მილიონი მანეთი ბონისა ერდება ორსავე რესპუბლიკას, საქართველოს და ადერბეიჯანს თანახმად განსაკუთრებულ ხელშეკრულებისა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს გრ. ეგოშვილს.

გრიგოლ ეგოშვილი (დ. ნ. დ.) ბატონებო! ეს საკითხი ისე ჰგავს რომ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მომხრეებს არ სურთ, ვითომც წინდაწინ დაახურდავონ, თუ შეიძლება აკეთებენ ითქვას, ფსიქოლოგიურად და მორალურად ქართველი ბონების სახელი, ან ტ ოიდეა. ამერი-კავკასიის ბონების მომხრენი ამბობდნენ, რადგანაც დღევანდელ ჩვენ შინაურ ცხოვრებაში თუ იმდენად ბატონობენ გარეშე პირობები, რომ რაც უნდა წინ გასწიოთ შინაური ორგანობები, მაინც გარეშე პირობები უარჰყოფენ ნორმალურ ცხოვრებას და აძლევენ მას, რადგანაც ეს ქართული ბონაკა ისევე არა პოპულარული ყოველ შემთხვევაში, არა ისეთი, რომელიც უდრის ნამდვილ ვალიუტას,—ოქროს რომ თავი დავი დავანებოთ, ჩვეულებრივ კრედიტის ბილეთებს,—აი ამიტომ ჩვენ ისევე განვაგრძოთ ძველი ამერ-კავკასიის ბონების ბეჭდვა. ქართული ბონების გამოცემა გადავდოთ იმ დრომდის, სანამ საერთაშორისო და საერთო საშინაო პირობები ისე არ მოეწყობა, რომ ქართულ ბონას ნამდვილი მანეთის, ან და სხვა ფულის ერთეულის ბნიშვნელობა ექნება. ჯერ ნუ დავახურდავებთ, ნუ გავუფუჭებთ სახელს ამ ქართულ ბონისას"-ო.

ამის გარდა არც ერთი მოსაზრება, რომელიც დასაჯერელი ყოფილიყო ფინანსთა კომისიაში, არავის არ წამთუყენებია.

ფინანსთა კომისიაში არავინ არ უარ ჰყოფდა იმას, რომ არა ნორმალური არის, როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფო ასეთი ფულით იწყობს თავის საქმეს, ისეთი ფულით, რომელიც არ არის სახელმწიფოებრივი, არამედ არის სახელმწიფოს გარეშე რაღაცა ფორმისა, ისიც ისეთი ფორმისა, რომელიც არის ნაშთი უკვე დანგრეული სახელმწიფოსი. ის პოლიტიკური ფაქტი, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ფულად აქვს დანგრეულ, არა არსებულ ამერ-კავკასიის რესპუბლიკის ბონები, არა თუ რესპუბლიკის—ამერ-კავკასიის კომისარიატისა, ე. ი. იმ დროისა, როდესაც ამერ-კავკასიის მთავრობა იყო ასე თუ ისე რწმუნებული და კონტრაგენტი ძველი რუსეთის მთავრობისა, ეს ფაქტი, საერთაშორისო პოლიტიკის მიხედვით, არა თუ საშინაო პოლიტიკის მიხედვით, ნაციონალისტებისათვისაც მიუღებელია და უარსაყოფი.

ეს ერთი-პოლიტიკური მოსაზრება.

მეორე—ეკონომური.

სახელმწიფოსთვის ისეთი ჭაღალდის ფულის გამოცემა, რომლის ნაწილი ავტომატიურად ეძლევა მეზობელ სახელმწიფოს, ისეთ სახელმწიფოს, რომელთანაც არ არის მუდმივ გარკვეული ეკონომიური კავშირი, ძალიან სახიფათოა, იმიტომ რომ, თუ მივიღეთ მხედველობაში იმის, რომ შედარებით. არც ისეთი დიდია ფინანსიური ტრადიცია საქართველოში, უნდა გვეშინოდეს, რომ მეზობელ სახელმწიფოს მთავრობას, რომ თავი დავანებოთ მეზობელ ერებს ან დემოკრატიას უსათუოდ შეძლება ექნება საპერიების დროს ამ საერთო ფულის ნაწილის გამოცემაში გაეელენა იქონიოს ჩვენ ცხოვრებაზე. მაგალითად, შესაძლებელი არის, რომ სწორედ იმ ფულით, რომელსაც უნაწილებთ მეზობელ სახელმწიფოს.—მან თავისი სახელმწიფო კი არ ცხოვრობს, არამედ აქვე შეიასყიდოს რეალური საქონელი და გაიტანოს. ამის გარდა, რასაკვირველია, ვერავინ ვერ უარჰყოფდა და ვერც უარ ჰყოს იმ ფაქტს, რომ რადგანაც გამოურკვეველია საერთაშორისო მდგომარეობა მეზობელ სახელმწიფოებისა და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა კი უფრო გამორკვეულია პირდაპირ ერთ გვარი წაგება არის საერთაშორისო პოლიტიკის მიხედვით, როდესაც ჩვენი ფინანსიური სისტემა აშენებულია იმ მხარესთან შეთანხმებაზე, რომლის არსებობა ჯერ არავის უცნია და თუ ვიანგარიშებთ მათ საერთაშორისო მდგომარეობას, შეიძლება გაცილებით უფრო სათუო იყოს, ბევრად უფრო სათუო, ვიდრე ჩვენი დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული სახელმწიფოს საქმე. და რომ ეს ასე არის, ჩვენ ვიცით. ჩვენ ვიცოდეთ, რომ ასე იყო ჩვენ სამხრეთ მეზობელ სახელმწიფოს მიმართ. შეიძლება საერთაშორისო მდგომარეობა გამოიცვალოს შემდეგში, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აღმოსავლეთ სახელმწიფოს ისე არა აქვს გარკვეული საერთაშორისო მდგომარეობა, რომ სრულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან გვქონდეს შეთანხმება, და ამაზედ აშენება ფინანსიურ სისტემისა. ცუტად გაურკვეველი საგანი არის და რასაკვირველია აქ წაადგებ ის, ვისაც უფრო გარკვეული მდგომარეობა აქვს. თუ რამ მოხდა მერე ანგარიში—ეს დაატყდება თავზე. რასაკვირველია ერას, ვინც ინიციატივას კისრულობს ამ საერთო კავკასიის ბონების გამოცემაზე: სომხების უსიამოვნებამ, მეტი რომ არა ვსთქვათ, საზღვრების შესახებ, რომელიც ჯერაც არ გათავებული, რომელიც დასმულია და ვითომც უნდა გადასწყვეტოს კონფერენციამ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რამდენათ მოახერხებს ეს კონფერენცია ამ საკითხის გადაწყვეტას. ამ უსიამოვნებამ ნათლათ დამტკიცა, რომ ბონების მიცემა, ფულის ბეჭდვა სახელმწიფოში და ნახევრის, ან $^1/_3$-ის გაცემა იქითვენ, საიდანაც საფრთხე მოდის პირდაპირ სახმედრო მოქმედება, შეადგენს ხანდახან ანტი სახელმწიფოებრივ საქმეს და ალბათ ამითი იყო გამოწვეული, რომ კონფლიქტის გამწვავების დროს, ბონების მიცემა შეჩერდა და ამ შემთხვევაში რეალური პოლიტიკა ამას მოითხოვს. საქმე იმაში კი არ არის, რომ მარტო კონფლიქტის დროს შეჩერდეს დროებით ბონების მიცემა, რა გაწია ამით? თუ ვიგულისხმებთ საერთო სერიოზულ საწინააღმდეგო საქმეს მეზობელ სახელმწიფოსთან ჩვენი საზღვრების შესახებ მაშინ რასაკვირველია, მეზობელი სახელმწიფო მარტო 3-4 დღის განმავლობაში არ მოაბდენს ფინანსთა მობილიზაციას, არამედ წინ მოახდენს, და გამოვა, რომ ხანდახან ჩვენ თითონ ვამაგრებთ ფინანსებსთ იმას, ვინც ედავება, ან ძალიან სურს გამოედავოს ჩვენ საზღვრებს.

ეს იმის უარყოფა შეიძლება, რომ საერთოდ უხერხულია არა არსებულ კომისარიატის ბონების გამოცემის გაგრძელება, ამიტომ საფინანსო კომისიაში კიდეც იყო პროექტი ზოგიერთ წარწერების შეცვლის შესახებ, მაგრამ, ბოლოს ეი იმ თვალსაზრისით, რომ ქართული ბონების იდეა შეეინახოთ უკეთეს დროისათვის, ამითი ერეცა, ისე გაჩუენ საერთოდ ყველა მომხრენი ეხლავე ქართული ფულის გამოცემისა, რომ საბინისტროს და საფინანსო კომისიის დასტური მიეცეს, რომ დაწყოთ მოლაპარაკება საერთო ბონების გამოცემის შესახებ.

და ყველაზედ მეტი უფრო მაკარი არგუმენტი ამიერ-კავკასიის ბონების გაგრძელებისა ეს იყო, და როგორც იყო მაშინ, ისე ეხლაც არის.

აქ ალინიშნაკი კიდევ ტეხიური მხარე. კიდეკ რომ დადგეს პარლამენტში საკითხი, რომ უკეთესია გამოცეეთ ქართული ფული, ვიდრე ამიერ-კავკასიისა,—პრაქტიკულათ ეი არ მოხერხდება და გვეტყვიან კიდეკ, რომ ეს არ მოხერხდება და კიდეკაც დაგვ მუკიბენ იმას, რომ არ არის მომზადებული საჭირო ძალალი და საჭირო საბუნი. თქვენ იცით, რომ ფულს უნდა რაიმე ნიშანი სახელმწიფოსი, ან ლერი, ანდ, სუფათი დამტკიცებული სათანადო წესით, მერმე საჭიროა კლიშე, ისე გაკეთებული, რომ ყველა ლიტოგრაფიას არ შეეძლოს იმ ვვარად ფულის ნიშნის დაბეჭდვა, როგორც ეს წინად ხდებოდა (გაბაშელი—ეხლაც ხდება) კავკასიაში. და არც ერთი ასეთი რამე ამ საქმეში გაკეთებული არ არის. ამას დაწერილებით დადგიმტკიცებს სამინისტროს წარმომადგენელი, რომ ჩვენ პარლამენტს შეეშინდეს და უარჰყოს კანონ-პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ბონების შესახებ. აქ ჩვენ დაგვიმტკიცებენ, რომ ტეხნიკურად ეს ყოვლად შეუძლებელია, რომ ჯერ ღერები არ არიან დამტკიცებული,—იდეა მიღებულია, მაგრამ სურათი არ არის დამტკიცებული, კლიშეების შესახებ არაფერი არ არის გაკეთებული, ამას უნდა ხაზოვარ გარეგ გაკეთება. გავა რამდენიმე ხანი და ამ რამდენიმე ხანში ჩვენ ვიქნებით ბანკროტები და ამ ბანკროტობის შიშით გაბმათილებენ ყველა იმ მოსაზრებებს, რომელიც ექნებათ ქართული ბონების მომხრეებს. კლიშეს საკითხი, ტეხნიკური საკითხი, რომლისთვისაც ჯერ არაფერია გაკეთებული, სწვევტს და გადასწყვეტს კიდეც დღევანდელ საკითხს.

ჩვენ გვეტყვიან, თუ არ განაგრძობთ ძველი ფულის ბეჭდვას, ქართულ ბონებს ვერ დავბეჭდავთ, მასალა არა გვაქვს, რომ დავბეჭდოთ, და თუ ვერ დავბეჭდავთ სახელმწიფოს ხაზინა კოტორი გახდება და თუ ხაზინა კოტორი გახდება, ანარქია გაჩნდებაო და სხვა. და ამითი ყველას გააშეშებენ.

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც სხვა ბევრ უწყებებში ისე ფინანსთა სამინისტროშიც ჩვენ ვერ ვხედავთ საჭირო ინიციატივას ანუ საგნების გარკვევაში. ყოველ სამინისტროს უნდა ჰქონდეს პირველ ყოვლისა არა პოლიტიკურად უბრალო დღიური საჭიროების საქმეების ვაი-ვაგლახით გაძღოლის უნარი, არამედ პირველ ყოვლისა უნდა ხედავდეს მომუკიდებელ სახელმწიფოს პოლიტიკურ პერსპექტივებსაც. მე ვერ წარმომიდგენია, რომ მინისტრი, რომელსაც სწამს გულით და სულით სახელმწიფო,—რომ მას თავისი საქმიანობა არ ჰქონდეს შეწირული სახელმწიფოსთვის, რომ მას, როგორც პიროვნებას, როგორც კოლექტიურ მთავრობის წევრს, აქამდის ვერ მოეხერხებინოს, რომ ამ საქმეში მომზადებულიყოს.

ვსთქვათ, ქართული ბონები არ გამოვეცით, შევინახეთ უკეთეს დრომდის, ვსთქვათ, შეიძლება პირობები ადგრბეიჯანის და სომხის მთავრობის ათასჯერ უკეთესია: ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე; მიუხედავად ამისა, ხომ უნდა იყოს პერსპექტივა ქართული ბონის გამოცემისა, პერსპექტივა ქართული სახელმწიფოს ღონეობისა და მის სისტემისა? უნდა იყოს სახელმწიფოს სისტემა და ვერაფრით ვერ ახსნის იმას, რომ ამ საქმეში, ქართული ფულის დამზადების საქმეში ჯერ ჯერობით ტეხნიკურად არაფერი გაკეთებულა და უბრალო ტეხნიკურ მოუწყობლობით შეუძლიანთ გადაწყვიტონ და გადასწყვეტენ კიდეც იმ საკითხს, როგორც გადაწყვიტეს ამ რამდენიმე თვის წინეთ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, რომ კლიშე არ გვაქვსო. საერთოდ, საკითხი ამ კლიშესა ტ ყველა ამის შესახებ, რაც საჭიროა დამოუკიდებელ ფინანსთა სისტემისთვის, ეს საკითხი არის საკითხი ფინანსთა სამინისტროს მეთაურებისა ტ თუ გნებავთ მთელი მთავრობისა: და აი იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ ინიციატივას, ვერ ვხედავთ ამ საკითხის პერსპექტივას საფინანსო უწყებაში სწორედ ამისათვის ჩვენ უნდა ვუსაყვედურით მას, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა უბრალო ტეხნიკასთან, არამედ იმასთან, რომ არა სჩანს სათანადო ინიციატივა, საერთოდ ეროვნულ ფინანსების მოწყობაში და არა სჩანს საუბედოროდ, ყველა იმ უწყებებში, რომელთაც უხდებათ ამ ძირითად ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა—ბონებისა და ჯარისა.

ეს არ იქნება გადახვევა; აქ მე უნდა პარალელი გავიკეთო და ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

დღეს, როდესაც ვხედავთ პარადების დროს ჩვენ ჯარს, სანამ არ მიუახლოვდებით ვერ გაიგებთ, რომელ ჯართან გაქვს საქმე.—კავკავიდან მოსულ ბოლშევიკების ჯართან, თუ ქართულ ჯართან. ეს რისი, ან ვისი ბრალია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო სამინისტროს, ისიც ვერ მოუხერხებია, რომ ქუდი მაინც გამოეცვლა ქართული ჯარისთვის, რომ ქართული ჯარი გაირჩეს უბრალო რუსულ ჯარისგან. რომ მოხდეს შეტაკება სამხრეთით, ან და აღმოსავლეთით ყველა ჯარები, მთელი იქნებიან ერთნაირ რუსულ ფორმაში.

არამც თუ მინისტერი, მე არ ვიცი, რომ მოიპოვება ჩვენში ისეთი გენერალი, რომელ'აც ქუდი მაინც მიეცა ჯარისთვის, აძისთვისაც ენერგია, ფული და მხატვარი ვერ იშოვნეთ? ჩვენი ჯარისკაცები ჯერაც იმავე შინელით, იმავე ქუდით, იმავე წაღებით, იმავე რუსული კომანდით დადიან და შეგეშინდებათ ხან და ხან, რომ შეხვდით პარადებს,—ვაი თუ ეს ჯარი რუსული ჯარია და ისევ რუსული ჯარი ჩამოსულა!

ამგვარათვეა საკითხი ფინანსთა უწყებაში. ნუ თუ აქამდის მინისტრმა, ან მისმა თანაშემწემ ვერ მოახერხა,—მიუხედავად იმისა, რომ მისი დელეგაციები უცხოეთშიაც წავიდნენ, ზოგი უკრანაინაც, ზოგიც გერმანიაში ხელშეკრულობის გამო,—ნუ თუ აქამდის ვერ მოახერხა, რომ ქართულ ფულს სცემდეს. ნუ, თუ აქამდის შეუძლებელი გახდა, რომ ის ფული, რომელსაც სცემს სახელმწიფო,—იყოს ქართული ფული და ჩვენზე დამოკიდებული. ნუ თუ ვერ მოახერხა, რომ ამ საქმეში გაეკეთებინა რამე. დ აი, ამ მხრივ, ჩვენ შეიძლება დღეს არა გვაქვს საქმე ჩვენი მეზობლების იეიაატივასთან, მაგრამ მე პირადად არ მეგონა, რომ ასე მალე გადაწყდებოდა შეთანხმება ადერბეიჯანთან. იმიტომ, რომ მე წავიკითხე გაზეთი „აზერბეიჯანი", მგონი მთავრობის გაზეთია, სადაც პირდაპირ სწერია, რომ კონსტანტინოპოლში უკვე იბ ეჭდება ოსმალეთის მთავრობის დახმარებით, აზერბეიჯანის ქაღალდის ფულიო. უნდა მოგახსენოთ, რომ, როცა ეს წავიკითხე ცოტა არ იყოს გამეხარდა, რადგანაც მომაგონდა ის ისტორია, თუ როგორ ეითარდებოდა საქართველოს პოლიტიკა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდის. ვიფიქრე: გვეშველა ეხლი იქნება ადერბეჯანის მთავრობამ მაინც აიღოს ინიციატივა და ძალა უნებურად ჩვენ ქართული ფული გამოგვაცემინოს. მაგრამ, როგორც სჩანს, ან არ გავთავებული ეს შეკვეთის საკითხი კონსტანტინოპოლში, ან კიდევ სხვა მოსაზრებით, შეიძლება იმ მოსაზრებით, რომ ამ საერთო ფულის გამოცემა უფრო ჩვენთვის არ არის ხელსაყრელი, ვიდრე ჩვენი მეზობლებისთვის, ამიტომ მათ მაინც ხელი მოაწერეს ბონების გამოცემის გაგრძელებაზედ.

მე კი მგონია, თუ ადერბეიჯანის მთავრობამ უკვე მოახერხა, რომ მათი ქაღალდის ფული იბეჭდებოდეს კონსტანტინეპოლში, და საერთაშორისო კონფერენცია არ დასჯერებია ამ საკითხისოვისთვის, ჩვენმა მთავრობამ ის მაინც უნდა მოეხერხებისა, რომ კლიშეები ჰქონოდა მზად, რომ თუ არ მოხერხდა შეთანხმება, მაშინ არ ეყოფილიყავით იძულებულნი შეკვეთწოდით: „რაც გინდათ ინებეთ, ოღონდ გამოვცეთ ფული იმიტომ, რომ ფული საერთო არის, და თუ ვერ გამოვიცთ ბანკროტები ვიქნებით"...ო.

რაც შეეხება ერთად ერთ მოსაზრება, რომელიც შეიძლება საბუთად ჩაითვალოს ერთად ეს არის ის, რომ არა ღირს ქართული ფულის იდეის დახურვადება. მე ეს არა მწამს იმიტომ, რომ თუ ჩვენ დავახურვავეთ ამ ანარქიის დროს ისეთი რამე, რომელიც არის ვიით იდეა დამოუკიდებელ საქართველოსა, თუ ჩვენ დავახურვადავეთ ისეთი იდეა, როგორიც არის ჩვენი კანონმდებლობა პარლამენტით საკანონმდებლო ორგანო და კანონის გამოცემით, თუ კი ჩვენმა მთავრობამ მოაწყო სახელმწიფო კონტროლის შექმნა, თუ კი შემდეგ ვახურვადავეთ, ამ ანარქიის დროს, ისეთ გარდამწყვეტელ უკანასკნელ იდეას, როგორიც არის საქართველოს დამფუძნებელი კრება,—რა გახდა ეს ბონების საკითხი, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფული, რომ არ შეიძლებოდეს არას გზით ქართული ბონის „რაკეტი" გაწევა.

თუ დამოუკიდებლობის „რისკი„ გაწვიეთ და, ასე თუ ისე, ვარსებობთ, რა უნდა იყოს ეს ქართული ბონი, თუ ჩვენ ტერიტორია იქნება კარგად დაცული და ბაღების ხარივ არ იქნება წაგება, არამედ ეს საქმე იქნება საუკეთესოდ მოწყობილი და თვით სახელმწიფო აპარატიც. ასე თუ ისე, მოგვარებული, მაშინ რა გახდება ეს ქართული ბონი, რომ მან ისეთი განსაცდელი რამ აღმოგვიჩინოს, რომ შეიწიროს ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობა?

თუ საქართველოს სახელმწიფო გადუძღვა ამ რისკს და საერთაშორისო ქარტიაში გაიარა,—მე მგონია ქართული ბონა შესძლებს ყოფობას.

ფინანსთა სამინისტროს პოლიტიკა, თუ პოლიტიკა დაერქმევა იმას, რომ სამინისტრო მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ როგორმე დააკმაყოფილოს რიგში ყოფობილი კრედიტები და დიდძალი მოთხოვნილება და თუ, ამასაც ვერ შესძლებს ისინი მაინც დაკმაყოფილოს, ვისაც უფრო დიდი ძალა აქვს და ვინც უფრო მოითხოვს. ასეთი პოლიტიკა, რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ გვექნებოდა საქმე არა საერთაშორისო ბონების გაგრძელებასთან, არამედ ქართული ბონების გამოცემასთან.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტი წევრი გერონტი ქიქოძეს.

გერ. ქიქოძე (ერ. დემ.) ბატონებო. თუ რამდენად არა ნორმალურია ჩვენი ფინანსიური მეურნეობა და ფინანსიური პოლიტიკა სჩანს, სხვათა შორის, შემდეგ უბრალო ფაქტებიდან.

სანამ ამბერ-კავკასია და მასთან ერთად საქართველო შეადგენდა რუსეთის ნაწილს, პეტროგრადის ექსპედიცია უგზავნიდა ტფილისის ხაზინას ყოველ წლივ ათ მილიონ მანეთს და ეს ათი მილ. აკმაყოფილებდა მთელი კავკასიის მოთხოვნილებას.

ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში, ტფილისში არსებულმა პარლამენტმა სამჯერ მისცა მთავრობას სესესიონ უფლება.

პირველად ამბერ-კავკასიის პარლამენტმა ინვარში, თუ არა ცცდები 300 მილ. და ეს უფლება უკვე ამოწურა. ივლისში მეორეჯერ ხელახლად 280 მილ. უფლება. მესამეჯერ ეხლა 200 მ. მილ. მანეთი ვიძლევთ ამგვაგ ამ ათი თუ 11 თვით განმავლობაში პარლამენტმა მისცა 780 მილ. მანეთი საერთო უფლება.

ამ რეალს მილ. მანეთ ორი მესამედი თუ სამი მეოთხედი უეჭველად რჩება საქართველოს ტერიტორიაზე.

თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ რამდენად დატვირთულია ჩვენი ბაზარი ამ ქაღალდის ფულით ამ ტერიტორიაზე, რომელზედაც შეიძლებოდა 2 თუ 3 მილ. ფული შეოდიოდა ყოველ წლიურად. ეხლა თითქმის ნახევარი მილიარდი ფული ტრიალდება.

-რასაკვირველია, აღებ-მიცემობის ინტენსივობა საქართველოში იმდენად არ გაზრდიდა, რომ შესაძლებელი იყოს ამოდენა ფულს ნორმალურად დატრიალება.

შეიძლება აღებ მიცემობის ინტენსივობა რამდენჯერმე გაიზარდა, მაგრამ არა ასჯერ და ორასჯერ.

ეს გარემობა იწვევს არა ჩვეულებრივ, კატასტროფულ დაწევას ქაღალდის ფულისას და საშინელ გაძვირებას და აღებ-დარეკვას ეკონომიურ ცხოვრებისას. მართლაც, ფული არსებითად იგივე სა ინელია, დამოკიდებული, მოწოდებასა და მოთხოვნილების ურთიერთობაზე: მიწოდება 300, 400 ჯერ გაიზარდა და მოთხოვნილება კი სრულიად არ გაზრდილა ან შეიძლება 2—3-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ. თავისთავად ირკვევა ნორმალური პროპორცია დაშინლად ეცემა კურსი. უმთავრესად გაძვირება ცხოვრებისა საქართველოს სახელმწიფოში გამოწვეულია არა პურის და სხვა სანოვაგის გაძვირებით. როგორც მოგეხსენებათ პურის დამუშავების რაიონი გაიზარდა ბეგრად რუსეთის ჩამოშორების შემდეგ, რადგან იმატა მიწის რენტამ. თვით ამ პოლიტიკამ იქნება საქართველოში გამოიწვია მიწის რენტის გაზრდა. მიწის რენტის გაზრდამ თავის მხრით გამოიწვია მიწის დამუშავებულ რაიონების გაზრდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, პური საშინლად ძვირდება, ძვირდება იმიტომ, რომ საშინლად ეცემა ქაღალდის ფულის ფასი. ამგვარად ფინანსიური და სასურსათო პრობლემა ერთად არის გადახლართული და სანამ ფინანსიურ პრობლემას არ გადაწყვეტთ ვერ შეეძლებთ სასურსათო კრიზისის თავიდან აცილებას. რუსეთიდან და უცხოეთიდან რომ დიდძალი პური შემოვიტანოთ, ფასი მაინც არ დაიწევს მით უმეტეს, თუ მთავრობას ახალ და ახალ საემისიო უფლებას მივცემთ, პურის რაიონების გაზრდასთან ერთად დაეცემა, რასაკვირველია ქაღალდის ფულის ფასები. ამის გარდა როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, არ გვაქვს სხვა რამ შემოსავალი გარდა შინაურ შემოსავლის წყაროებისა. ჩვენ არ შეგვიძლიან ვიქონიოთ პასიური ბალანსი: იძულებულნი ვართ აუცილებლივ აქტიური ბალანსი ვიქონიოთ, ან ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომ პასიები დიდი არ იყოს. ჩვენ არა გვაქვს უცხოეთში დაბანდებული კაპიტალი, არც იმდენი ჩვენი ხალხი მუშაობს უცხოეთში, რომ იქიდან ფული შემოიტანონ.

ამიტომ ჩვენ ძალებულნი ვართ, რომ მთავარი მოთხოვნილება პურისა და სათბობ მასალისა დავაკმაყოფილოთ ჩვენი ეროვნული მეურნეობის შემწეობით. ეს დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენი ფინანსიური სიტუაცია მოვაწესრიგეთ.

როგორც მოგეხსენებათ, ბაზარი არა ჩვეულებრივად გაფუნთიალ ქაღალდის ფულით. ეს იწვევს ცხოვრების გაძვირებას, ინტელიგენციის და მუშა ხალხს გაჭირვებას. ფული გროვდება სოფელში, გადადის გლეხის ხელში და რადგანაც გლეხს არა აქვს ნდობა ჩვენი ფინანსიურ მეთაურებისადმი, რადგან იმას არა სჯერა, რომ ჩვენი პოლიტიკა საღია (ამას რასაკვირველია, ინსტიქტით ჰგრძნობს), ფულს ქოთნებსა და სკივრებში აგროვებს. ეს ფული მეურნეობისთვის სრულიად უსარგებლოა. როგორ შეიძლება ასეთ მდგომარეობიდან თავის დაღწევა? ფინანსთა მინისტრს კარგად ესმის, რომ საჭიროა ამ ფულისა მობილიზაცია, მაგრამ ჯერ ჯერობით არ გადადგმულა არავითარი რეალური ნაბიჯი ამ მხრივ. ფულის ამოწურვა შეიძლება გადასახადებით, მაგრამ ძველი გადასახადების ტარიფი იმდენად დაბალია, რომ თუნდაც ყველა ძველი გადასახადები გადაახდევინოთ, ეს წვეთი იქნება ზღვაში. საჭიროა, რომ ტარიფი ხუთჯერ, ათჯერ მაინც გადიდდეს.

ამისათვის საჭიროა მეტი გაბედულება, ვიდრე ჩვენ ფინანსთა მინისტრს გაჰნია. არ უნდა ეყოს ის შიში, რომ თუ გადასახადებს გავიდიდებთ, ამით გამოვიწვევთ ფულებიან უკმაყოფილებას და რომ ამის პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება ამა თუ იმ პარტიისა თუ დაწესებულებისათვის. მეორე ზომა, როგორც მოგეხსენებათ, შინ ური სესხია, მაგრამ შინაური სესხიც ვერ ხერხდება. იმიტომ, რომ არ არის ნდობა, რომ სახელმწიფოს მეურნეობა ნორმალური. ჯერ-ჯერობით ყოველ შემთხვევაში არც ამ მხრივ გადადგმულა რეალური ნაბიჯი. მესამე მნიშვნელოვანი ზომა ჩემის აზრით, ჩაბორთმეული მიწების გაყიდვა, რომელიც საჭიროებს პრინციპიულად აღიარა მთავრობა ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ მიწათა მოქმედების უწყების ძველი ცნობებით, საქართველოში შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებელია დაახლოვებით შვიდასი ათასი დესიატინა მიწის ჩამორთმევა, როცა მიწის ჩამორთმევის პროცესი სრულებით დამთავრდება. თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ გადაჭარბებულს ფასებს მიწისას, შეგვიძლიან სულ ადვილად, ნახევარიც რომ გავყოფოთ ამ მიწისა, რომ გავყვეთ იმ გზას, რომლითაც ფრანგის იაკობინელები მიდიოდნენ, რომელიც ხშირად მაგალითია ჩვენ რევოლუციისთვის. მივიღებთ 400 მილიონ მანეთს ნაღდ ფულ: ეს ძალიან დიდი შეღავათი იქნება ჩვენი დაკალიანებული ხაზინისათვის. რასაკვირველია, თუ უფასოდ დავარიგეთ, ჩვე ხაზინას არავითარი შეღავათი არ ექნება. ამ რავდენიმე დღის წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო სტანისლავ ვოლკის მოხსენება, როგორმელიც ამტკიცებდა, თუ რამდენად საშიშარია მიწის უფასოდ დარიგება და რამდენად მავნებელია თითონ გლეხებისათვის. როდესაც მიწა უფასოდ რიგდება, ან სოციალიზაცია ხდება, გლეხი ღებულობს მიწას იმისდა მიუხედავათ, აქვს თუ კაპიტალი, ინვენტარი, სამუშაო იარაღი თუ არა. და ღატაკი გლეხი, რომელმაც მიწა მიიღო, ხოლო კაპიტალი და ინვენტარი არა აქვს, იძულებული გახდება ბოლოს თავისი მიწა მიჰყიდოს შეძლებულ გლეხს. ამ გზით იმის მაგივრად, რომ ვასარგებლოდ ხაზინა, ვასარგებლებთ უშრიარეს ყოველსა ჩარჩებს. ამას მოწმობს ვოლკი, როგორც მოგახსენეთ, რომელმაც მოხსენება წაიკითხა ბოლშევიკური რუსეთის დედმამავლობის შესახებ. მეოთხე ზომა გაკვრით ჩემზე წინათ მოლაპარაკე ორატორმა აღნიშნა. ეს არის ვალიუტის შექმნა ან ყოველ შემთხვევაში ქართული ბონის გამოცემა: რაც შეეხება ქართულ ვალიუტის შექმნას, რასაკვირველია, ეს ისე ადვილი არ არის. ქართულ ფულს უნდა ჰქონდეს რეალური ფონდი და რეალურ ფონდად არ შეიძლება ჩაითვალოს ტყეებმაშული, საქმიროა ოქრო, ხოლო ოქროს დღევანდელ პირობებში ვერ ვიშოვნით იმიტომ, რომ ის ევროპადან თითქმის სრულიად წავიდა ამერიკაში და სანამ პოლიტიკურად და ეკონომიურად არ დავუახლოვდებთ ამერიკას, ოქროს სესხება ძნელია. ჩვენ დაახლოვებით დაგვჭირდება ოცი მილიონი ოქრო, რომ შეიქმნას ჩვენი საკუთარი ვალიუტა და ამ ფულის შოვნა ნორმალურ პირობებში ძნელი არ არის. მაგრამ დღეობით, სანამ არ გვყავს ამერიკასთან ეკონომიური და პოლიტიკური კონტაქტი, ძნელია ამ ფულის შოვნა. უფრო ადვილია, შედარებით, ქართულ ბონების გამოცემა. ძალიან დიდი შეცდომაა ჩემის აზრით ფინანსთა სამინისტროსი, რომ ამდენ ხანს, მას არ გადაუდგია ნაბიჯი იმისთვის, რომ შეიქმნა ქართული ბონი. იმიტომ, რომ ქართული ბონის შექმნას ეშინებოდა არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც აღნიშნა ბ. ვეშაპელმა, არამედ ფინანსიურიც. იმიტომ, რომ თუ კი ბონი გამოვიცით, შეიძლება მოვახდინეთ დევალვაცია ისე რომ ფულის პატრონმა ვერ იგრძნოს ეს. ეს თქვა ბ. ფინანსთა მინისტრს კარგად მოეხსენება: დევალვაციამ, რაზედაც ხშირად ყოფილა საფინანსო და საბიუჯეტო კომისიაში, ლაპარაკი შეიძლება გავანთავისუფლოს ჩვენი ფულის ბაზარი, იმზედ მეტი ტვირთისაგან, რომელიც დღეს ჯატასტროფიულ კრიზის იწვევს ჩვენ ფინანსთა მეურნეობაში. დღეს, რასაკვირველია, რადგანაც საჩქარო არის პარლამენტი იძულებულია მიიღოს წარმოდგენილი კანონ-პროექტი. მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ უნდა გაუწიოს ანგარიში ამ კრიზისს, რომელსაც ჩვენ განვიცდით და რომელიც თან და თან მწვავდება ხშირად მაგალითი არის ჩვენ რეალიზაციისთვის, გაბედულად გავყვეთ ამ მაგალითს, მოვახდინოთ რეფორმა. ამ მიწას გავყოფთ, მივიღებთ დიდ თანხას, — 400 მილიონ მანეთს, ეს ძალიან დიდი შეღავათი იქნება ჩვენ ძალიან დაკალიანებულ ხაზინისთვის. რასაკვირველია, თუ მიწის რეფორმას ისე მოვახდენთ, როგორც ვიცით, თუ მიწა დავარიგეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასოდ,—ჩვენ ფინანსებს არავითარი შეღავათი არ ექნება. დიდად მნიშვნელოვანი სტანინლოვ ვოლკის მოსსენებამ დამატეკიც თუ რამდენად საშიშარია მიწის უფასოთ დარიგება და რამდენად მავნებელია ის თითონ გლეხებისთვის. როდესაც მიწას უფასოთ დაურიგებენ, ან სოციალიზაცია მოხდება, გლეხი ღებულობს მიწას, იმის და მიუხედავად—აქვს მას კაპიტალი, აქვს მას ინვენტარი სამეშოო იარაღი თუ არა. მაგრამ ეკონომიურ პროცესში გადატკეკება, ეკონომიურ პროცესში დიფერენციაცია არ ჩერდება და ღატაკი გლეხი, რომელმაც მიწა მიიღო და კაპიტალი, ინვენტარი და იარაღი არ აქვს,—იძულებული იქნება თავის უსარგებლო მიწა მიჰყიდოს შეძლებულ გლეხს. უწინარეს ყოვლისა იმი მაგიგრად, რომ ვასარგებლოდ ხაზინა, ვასარგებლეთ ჩარჩეს. ამას მოწმობს ვოლკი, რომელმაც, როგორ მოგეხსენებათ. მოხსენება წაიკითხა საფინანსო მდკომარეობის შესახებ, მეოთხე ზომა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, გარდა ამ მიწის გაყიდვისა, რომელიც დიდ შეღავათს მისცემს ჩვენ ხაზინას, არის, რასაკვირველია, ის ზომა, რომელიც აღნიშნა ჩემს წინად მოლაპარაკე ორატორმა. ეს არის ქართულ ვალიუტის, ან ყოველ შემთხვევაში, ქართულ ბონის გამოცემა. რაც შეეხება ქართულ ვალიუტის შექმნას, ეს ისე ადვილი არ არის, ქართულ ფულს უნდა ჰქონდეს რეალური ფონდი და რეალურ ფონდად არ შეიძლება ჩაითვალოს ტყე, მამლუები,—საჯიროა ოქრო და ოქროს დღევანდელ პირობებში ვერ ვიშოვნით იმიტომ, რომ ევროპიდან სრულიად წავიდა ამერიკაში და სანამ ეკონომიურად და პოლიტიკურად არ შეუახლოვდებით ამერიკას, მანამ ოქროს გაჩენა ძნელია, ჩვენ დაახლოვებით დაგვჭირდება 20 მილიონი ოქრო, რომ შეიქმნას ჩვენი საკუთარი ვალიუტა და ამ ფულის შოვნა ნორმალურ პირობებში ძნელი არ არის. ჩვენზე, საქართველოზე უფრო ღატაკი სახელმწიფოები შოულობენ და სულ ხულობენ, მაგრამ დღეს-დღეობით, სანამ არ გვაქვს ამერიკასთან ეკონომიური და პოლიტიკური კონტაქტი, ძნელია ამ ფულის შოვნა, უფრო ადვილია შეღარებით ქართული ბონების გამოცემა. ძალიან დიდი შეცდომაა ჩემის აზრით ფინანსთა სამინისტროსი, რომ ამდენ ხანს,—ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში ივლისიდან დაწყებული დღევანდელ დღემდინ, მას არ გადაუდგია ნაბიჯები იმისთვის, რომ შეექმნა, ესე ვთქვათ, ქართული ბონა. ქართული ბონის შექმნას ექნებოდა ანა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც აღნიშნა ბ. ვეშაპელმა, არამედ ფინანსიურად დიდი მნიშვნელობა ექნება, იმიტომ, რომ თუ ქართული ბონა გამოვეცით, მაშინ შეიძლება მოვახდინოთ დევალვაცია, ფარული გაბათილება, ისე რომ ფულის პატრონობა ვერ კი იგრძნოს. ეს კარგად მოეხსენება ბატონ ფინანსთა მინისტრს. მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება ეს დევალვაცია, რაზედაც ზშირად ლაპარაკობდნენ საფინანსო კომისიაში, შეიძლება გავანთავისუფლოთ ჩვენი ბაზარი, ჩვენი ფინანთა ბაზარი ამ ზედ-მეტი ტვირთისაგან, რომელიც ეხლანდელ პირობებში, ეხლანდელ არეგ-დარეგაში, მე ვიტყვი კიდევ მეტს, თითქმის კატასტროფიულ კრიზისს იწვევს. ეს საკითხი დღეს. რასაკვირველია, რადგანაც სიჩქარო არის პარლამენტი იძულებული ფულის ეს კანონ-პროექტი, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ უნდა ანგარიში გაუწიოს იმ კრიზისს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, რომელიც თანდათან მეტვავდება და რომელიც შესაძლებელი და მოსალოდნელია გამოიწვევს ქაღალდის ფულის ფასის დაცემას და საქონლის ფასის მეტის მეტად გადადებას, სახელმწიფოში ცხოვრება გაძვირდება და ამასთან ერთად გაძლიერდება უკმაყოფილება განსაკუთრებით ქართველ მცხოვრებლებისა; ისეთი პო-

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკა საზიანო არის ჩვენთვის, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთვის. საჭიროა, რომ საფინანსო უწყებამ ამას ანგარიში გაუწიოთ და იმ გზით, რომელიც უფრო ადვილია,—შეიქნას საკუთარი ფული, რომლითაც ადვილად შეიძლება დაკავშირება დევალვაციასთან, ფარულ დევალვაციასთან.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრი გ. ყურული. როდესაც უსმენდი პატივცემულ ორატორებს, რომელნიც კრიტიკას უკეთებდნენ იმ ფინანსთა უწყების პოლიტიკას, რომელსაც სათავეში უდგავარ მე,—ერთგვარი შური დამებადა: რა ბედნიერი ხალხია ვინც ასე გვაკრიტიკებს. მათ, თურმე ესმენ ყველაზე კარგად იციან, წამალი ჯიბეში აქვთ, თუ როგორ განკურნონ ეს უწყება ავადმყოფობის დროს და ეს, და სწორედ ისინი არ არიან ხელძღვანელნი, ან არ გვეუბნებიან საიდუმლოს, რომელიც მათ ხელში აქვთ, რომ ვიხმაროდ ქვეყნის დასახმარებლად.

მაგრამ, საუბედუროდ, როგორც აქ პარლამენტში, მით უფრო საუბედუროდ საფინანსო და საბიუჯეტო კომისიაში, სადაც ამისთანა კრიტიკა გაისმის ხოლმე, იქაც არ თქმულა ისეთი რამ, რამ შეიძლებოდეს დარიგებად მიიღოს კაცმა, ჭკუა ისწავლოს.—ასეთი რამ არ გაგვიგონია, ყოველთვის ეს კრიტიკა გათავებულა ამ უბედურობის დასურათება და დახატვით.

ამ უბედურების თავიდან ასაცდენად მათ ისეთი ზომები არ გვიჩვენეს. მათ სთქვეს მხოლოდ, რომ ყველი ეს ხდება იმიტომ, რომ ფინანსთა უწყებას, ფინანსთა მინისტრს არ აქვს არავითარი გარკვეული აზრი, არავითარი გარკვეული საფინანსო. პოლიტიკაო.

აი, სწორედ როდესაც ამას ამტკიცებენ. მე აქ მეპადება შური, რომ ესე დამშვიდებულება არიან, ალბად ისინი ფიქრობენ, რომ თუ მინისტრი გამოიცვლება და მერე დადგება, მაშინ სრულიად მოისპობა და გაჩნდება ყოველი ისეთი საფინანსო პროგრამა და სისტემა, რომელსაც ორატორები ესე მშვენივრად ასურათებენ. მაგრამ ვაი რომ, ამის დამჯერებელი ცოტა არის. ვაი რომ ეს არავის სჯერა, გარდა ი ზოგიერთ მოღვაწეებისა, ვისაც მართლა ჰგონია, რომ იგი მომზადებული მინისტრია, რომ მას შეუძლიან უკუაგდოს ისეთი უბედურება, რომელიც ჯერ-ჯერობით თან სდევს ეკონომიურს და ფინანსიურ ცხოვრებას.

იმაზე ადგილი რა იქნება, როდესაც კრიტიკას აკეთებენ,—ლოდიკური დასკვნა გააკეთონ და სთქვან: „აი, თქვენ ვერ მიხვედრიხართ, ჩამოგვეცალენით, ჩვენ ვიცით წამალი, ჩვენ ვიხმართ მას და ხსნაც ამაში იქნებაო“.

ეს საერთო მოსაზრება უნდა მომეხსენებინა თქვენთვის ამ ზოგადი კრიტიკოსების წინააღმდეგ, რომელნიც მხოლოდ კრიტიკას წარმოსთქვამენ და არაფერს წამალს კი არ გვიჩვენებენ.

აქ ავიწყდებათ პატივცემულ პარლამენტის წევრებს, რომ საკანონმდებლო ინიციატივა მათ ხელში არის. და თუ ვინაცობა ჩვენ აქ უკან ჩამოვრჩით,—მაშინ დაგვძრახეთ, როდესაც თქვენ საღს, გონიერ პროგრამას ეკონომიურ-პოლიტიკურ სისტემისას აქ წარმოადგენთ და ჩვენ ვერ მივბვდებით. ჯერ ეს არ მომხდარა და სრული ზნეობრივი უფლება მაქვს ვსთქვა, რომ იმათაც, ვინც აქ ესე ჭკვიანად მეკერძოებულელნენ, იმათაც კი არ აქვთ წამალი და ტყუილად გვიჩვენებენ თავს ისე, თითქოს, მათ ჭ�დეთ რაიმე წამალი, მაგრამ აქ არ გვეუბნებიან.

ბ. ეგზაპელმა მოინდომა დღეს, რომ ჩვენ დაუბრუნდეთ ხელახლად ქართული ფულის გამოცემის საკითხს. მე, რასაკვირველია დღეს ამაზე ლაპარაკი ზედ-მეტად ეიმაჩნია. ამაზედ დიდ ხანს ვილაპარაკეთ. მოგეხსენებათ, რომ მთავრობის და ყველა ფრაქციის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს თავიანთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრი ამ საკითხის შესახებ და ბოლოს იმ აზრმა გაიტანა, რომ ჩვენთვის უფრო სახეირო არის, რომ ვიდრე შეეძლებდეთ ქართულ ბონის გამოცემას, მკვიდრ ნიადაგს დავადგეთ, სჯობია, რომ ამ ძველ გზით ვიაროთ და ზედმეტი უბედურება არ გამოვიწვიოთ. დღეს, ყოველ შემთხვევაში, მე ამას არ დაუბრუნდები.

მაგრამ ჩემ საპასუხო სიტყვაში მე მინდა ყურადღება მივაქციო ზოგიერთ მოსაზრებებს, რომლითაც მომმართეს ორმა ჩემზე წინ მოლაპარაკე ორატორმა.

სრულიად უნდა დავამშვიდო ბატონი ვეშაპელი, რომ თუმცა ისეთი ღრმა და დასაბუთებული პროგრამა, რომელიც მას ჰქონია და რომლითაც ჰსურს საქართველოს ფინანსიური და ეკონომიური გასაჭირადან გამოიყვანნა, ჩვენ არა გვაქვს, და ამას ვაღიარებ, რომ ამნაირი წამალი არ გვაქვს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, უბრალო საქმეს კი მივხვდებით, რომ სრულიად უბრალო საქმისთვის, ყოველ შემთხვევაში მომზადება იყო საჭირო. მე იმედი მქონდა, რომ ან დრო გამოიცვლებოდა ამ მოკლე ხანში, ან სხვა.

ერთხელ მე ოპტიმისტი დამიძახეს. ამას მე ვღებულობ. მე ასე უყურებ ფინანსიურ ღა ეკონომიურ საქმეს, იმიტომ, რომ რაც ხდება, ამ პირობებში სხვის მოხდენა ამ მხრივ არ შეიძლება. (ხმა: ფატალისტი!).

ამას კი ვიტყვი, რომ ეს სულ უბრალო საგანია, რომელსაც შეებრ ბ. ვეშაპელი. ამასთან რასაკვირველია დამოკიდებულება აქვს მთავრობას და საჭინისტროს. ძალიან კარგი იქნება თუ კი ბ. ვეშაპელი ისეთ პროტექციას გაგვიკეთებს, რომ ცოტა ადრე გადასწყდეს ეს საკითხი ისე, როგორც გადასწყდა ყირბის საკითხი, რომელზედაც ეროვნულ დემოკრატებს სრულიად გამორკვეული აზრი ჰქონდათ თავის დროზე წარმოდგენილი. ამაში შეიძლება დაუშვალლოთ, მაგრამ მე ვეტყვობ, რომ ამ მხრივ შეიძლებოდეს ქართულ ფულის გამოცემის დაჩქარება. ეს არ შეიძლება, თუმცა დიდი ხანია მინისტრს და საფინანსო უწყებას ეს ესურთ. უნდა მოგახსენონთ, რომ როდესაც უკანასკნელად იყო ლაპარაკი საფინანსო კომისიაში, რომ ახალი ემისია გავმართოთო, საფინანსო უწყების წარმომადგენელმა ჩემის პირით სთქვა, რომ ჩვენ დრო გვაქვს თუ შეგვიძლიან ქართული ბონები გამოვცეთ. შეგვიძლიან შევცვალოთ ზოგიერთი წარწერები. ესთქვით აგრეთვე, თუ როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ასე რომ თუ საბიუჯეტო საფინანსო კომისია ამას მიიღებდა ჩვენ შეგვეძლო ამ წინადადებით არ შევსულიყავით ამ მიწურულ დღეს, არამედ როდესაც პირველად აღძრა ეს საკითხი, ჩვენ სრული შეძლება გვქონდა გამოგვეცა ქართული ბონა. მაგრამ მაშინაც ესთქვი და ეხლაც ვაღიარებ, დაე, ზოგიერთი იდეალისტებისათვის ეს უდიდესი შეცდომა იყოს, მაგრამ დღესაც ვაღიარებ ჩემი ღრმა რწმენა არის, რომ ეს იქნებოდა დამღუპველი ნიბიჯი. საბიუჯეტო და საფინანსო კომისიამ; მაშინ დაადგინა, რომ ეხლა არ არის დრო საკუთარი ბონების გამოცემისა ღა იმიტომ მოხდა ეს, რომ არ მოვემზადენით დროზე ქართული ბონების გამოსაცემად, რადგანაც ეს იყო უკუგდებული და ჩვენ გვითხრეს, რომ შეიძლება მივმართოთ ამიერ-კავკასიის ბონებს. ეს ჩემი ღრმა რწმენაა. ამნაირ ნაბიჯის გადადგმა საღი ნაბიჯის გადადგმა იყო. მაგრამ ჩემი აზრის გარდა იყვნენ და არიან სხვებიც, ჩემზედ უფრო შეგნებულნი, ჩემზედ უფრო კარგად მომზადებულნი, რომელნიც იზიარებენ ამ აზრს და ამბობენ, რომ ჯერ-ჯერობით ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ. ეს უბრალო საპასუხოა.

მოგვახსენეს აქ, რომ კიდეც რომ გადასწყდეს ქართული ბონის გამოცემა ჩვენ ამას ვერ განვახორციელებთ, რადგან ხელთ არ გვაქვს არც სურათი და არც ღერბი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ბატონებო, ეს მართალი არ არის.

ბ. ქიქოძემ ბრძანა სხვათა შორის, რომ არამც თუ მარტო პროგრამა არ აქვს ფინანსთა მინისტრს, არამედ მშიშარი კაცი გამოდგაო. ასე რომ თან და თან ჩემი ფიზიონომია ირკვევა. დამავიწყდა მეთქვა, რომ დასურათება უფრო საგნე ყოფილიყო ბ. ეფიპანელმა ისიც კი სთქვა, რომ ბ. მინისტრს რომ სჯეროდეს ჩვენ დამოუკიდებლობის გაგრძელება ამ გზას დაადგებოდაო. ამავე დროს კი, არ სთქვა რა გზას უნდა დავდგომოდი. ასე რომ ისიც კი დამწამეს, თითქოს მე არ მწამს საქართველოს თავისუფლება. და ამას დაუმატა ბ. ქიქოძემ, რომ ამის გარდა ის მშიშარაც არისო. ეს ჩემი მშიშრობა, მისი თქმით, იმაში გამოიხატება, რომ გავლენა ვერ ვიქონე ვერც მთავრობაზე, ვერ მთავრობის და ვერც საპარლამენტო წრეებზე, რომ მალე გამეტარებია ის, რის გატარებაც ჩემის აზრით კარგი იქნებოდა.

ჩემის აზრით გაბედულობის გარდა, საჭიროა, რომ სხვა ღირსებაც ჰქონდეს ადამიანს. შეიძლება მე ამ ღირსების მოკლებული ვიყო, მაგრამ თუ ამისთანა ღირსება ვისმეს აქვს, უნდა სთქვას, რომ არიან ისეთი ობიექტიური პიროვნები, რომლის აგრე ერთი ხელის დაკვრით გადალახვა, ეს არის საქციელი თავხედ ადამიანისა და არა სახელმწიფოებრივი მოღვაწისა. (ტაში მარცხნივ)

არა ერთხელ უთქვამთ აქ, რომ ფინანსთა მინისტრს ისიც კი ვერ მოუგვარებია, რომ აქამდის ხარჯები აკარებინოსო. ბატონებო, 6 თვეა, რაც აქ ვმუშაობთ, მე, მართალია, ეს პატარა ხანაა იმისათვის, რომ საერთოდ ვინმე გახდეს დამწიფებულ სახელმწიფო მოღვაწედ, მაგრამ მე მგონი ამ ექვსი თვის განმავლობაში ყველა ჩვენგანს უნდა გაგეგო, რომ ხარჯის აკრება არ შედის ფინანსთა უწყებაში. საფინანსო უწყება ადგენს მხოლოდ ჯამს და რაოდენობას, რომ დააკანონოს ეს და როდესაც ეს კანონად არის მიღებული საბიუჯეტო საფინანსო უწყებას რჩება მხოლოდ მოგონება თავის ამხანგისაგან მთავრობისთვის, რომ საქმეს მოწესრიგება უნდა. მოგეხსენებათ, რომ იდეალი ყველა საფინანსო უწყებისა, იქნება ეს მონარქიული, დემოკრატიული რესპუბლიკა თუ სხვა, არის ის, რომ გარდა ამ უფლებისა, რომ მას შეეძლო განაწილება გადასახადებისა, მასვე ჰქონდეს უფლება ხარჯების აკრებისა, ეს ებაროს ფინანსთა მინისტრს. ეს ამ უფლებებს ჯერ ჯეროობით მოკლეებულია არამც თუ თქვენი ფინანსთა მინისტრი, არამედ თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფოების ფინანსთა მინისტრები, ვინაიდან ეს უდიდეს ხარჯს იწვევს. საფინანსო მეცნიერება აღნიშნავენ, რომ სანამ არ გადავა ეს უფლება საფინანსო უწყებაში, მანამდის ვერ მოიწყობა სათანადოდ აკრება გადასახადებისა. მაგრამ ეს უფლება თითქმის არავის არ განუხორციელებია. ამიტომ ინებეთ და ერთხელ და სამუდამოდ გამაცალეთ ის ბრალდება, რომ მე ვერ მომიხერხებია გადასახადების აკრება, რადგანაც იგი ჩემ ხელთ არ არის. და სწორედ იმიტომ შემოვიტანე ი ეხლა მიღებული კანონ პროექტი, რომ მომეცეს უფლება, როდესაც რომ მეორე უწყება ხარჯებს ჭკრეფენ გადასახადის ინსპექტორებს რევიზიის უფლება ჰქონდეთ. ამიტომ მე სრულიად უკუ ვიგდებ ამ ბრალდებას. მე მწამს რომ ეს ბრალდება არ იყო მოგონილი იგი ოთხ, ოთხ, რომ ეს მათ არ იცოდნენ არც ბატონმა გერონტი ქიქოძემ და არც იმ ორატორებმა, რომელმაც მიმართეს ამისთანა სამდურავით: „რა არის, რომ აქამდის ფული არ აგიკრეფიაო“. გადავიდეთ ეხლა შინაურ საქმეზე. წარსულ კრებაზე მოგახსენეთ, რომ ფინანსთა მინისტრს აქვს მხოლოდ ორი საშუალება, ორი საი საშუალება, რომ მიმართოს მას, როდესაც უნდა სახელმწიფო მეურნეობა ატაროს და აწარმოოს ნორმალურად. ეს არის სახელმწიფოს გადასახადების შემოსავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, გადასახადების აღება და თუ ეს არ გვყოფნის, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ისეთი ხარჯის გაწევა, რომლითაც სახელმწიფო თავის თავს ინახავს, ამ შემთხვევაში სესხს იღებს მაგალითად, თუ არის ომი, ან ამისთანა ამბავი, აი ეს სესხის აღება არის ერთი საშუალებათაგანი, რომელიც, მართალი არა სა-სიამოვნო მოვლენას მოსპობს, რომელიც იბადება დაუსრულებელ ბონის გამოცემით და ეს ბონების ბეჭდვა, რასაკვირველია, სულ პირველად აღონებს იმ ადამიანს, რომელსაც ფინანსთა მინისტრი ჰქვიან. ვინაიდან ის ხედავს ყველა შედეგებს, რომელიც მოსდევს ამ დაუსრულებელ ბეჭდვას. ფინანსთა მინისტრს არა ერთხელ ღღიარებია რა შედეგები მოჰყვება ამას, მაგრამ რაიც არ მოხდება, რის ბრალ, ბოლოს ყოველად შეუძლებელია, ეს არ ჩაეთვლება ფინანსთა მინისტრს დანაშაულად, რომ მან ამაზედ არ იფიქრა და თავის პროგრამაში და სისტემაში არ შეიტანა.

რომ ვიფიქრე საშინაო სესხზე ეს სჩანს ჩემი კანონ-პროექტიდან, რომელიც მე შემოვიტანე ამ საკითხის შესახებ ამ სახით, რომელთაც უფრო ადვილად შეიძლება გატარება ამ პირველ ნაბიჯისა, შინაურ სესხისა. მე მოგახსენებთ მოკლეთ თუ რატომაა ხაზინა იძულებული მიმართოს სესხის გამოცემას. ეს უკვე ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ აშნაირ სესხის, აღება მხოლოთ იმიტომ, რომ ყველა ეკონომიების მცოდნე ჩვენმა ბანკირებმა, ფინანსისტებმა გვითხრეს, —არ დამდგარა დრო, როდესაც შენ, ფინანსთა მინისტრო, შეგეძლოს მოგვმართო სხვა სესხით, ჩვენ ისეე ამ სახით მოგცემთ სესხსო. მეც დაუჯერე მათ, მჯერა, რომ მართალია და იმიტომ შინაურ სესხს მივმართე იმ სახით, როგორაც უკეთ სახელმწიფოები მმართავენ ხოლმე. მაგრამ ჯერ ჯერობით ეს პარლამენტში გადაწყვეტილი არ არის. საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ ეს კანონ-პროექტი, რომელიც მთავრობის მიერ უკვე მიღებულია, გადაეცემა საბიუჯეტო საფინანსო კომისიას.

მე სხვა ბრალდებას არაფერს ვიზიარებ აქ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯ.-საფინ. კომის. კანოპროექტი დიდხანს რჩება, სანამ საბოლოო დასკვნით გამოიტანდნენ აქ, პარლამენტში, ამიტომ მე მოვითხოვ ამისთანა მოწყალებას, რომ ამ პროექტის შესახებ, რომელმაც ამოსწურა მთელი რიგი და წესი იმ გადასახადებისა, როგორც პირდაპირი ისე არა პირდაპირი გადასახადებისა და რომლის შესახებ უკვე არის მთავრობისაგან დადგენილება, თითქმის ორი თვეა ჩემ უწყებაში ეს კანონ-პროექტი შემოშავებული და გადაცემული იყოს კომისიაში,—აი მოვითხოვ, რომ ამის შესახებ ბრალს ნუ დასდებენ იმ უწყებას, რომელმაც ძალიან დიდი შრომა დასდო ამ კანონ-პროექტის შემოშავებაზე. როდესაც ამას გაითვალისწინებთ, როდესაც დაინახავთ, რომ ყველფრის, რაც კი აქ დაასახელეთ, არც ერთი არ არის ისეთი, რომ უყურადღებოდ იყოს დატოვებული, მაშინ და მხოლოდ მაშინ ჩვენ ვიქნებით თავისუფალნი იმისთანა გამოსვლებისაგან, რომელნიც ვითომ კრიტიკას აკეთებენ, მაგრამ თითონაც არ იციან ამ კრიტიკას რა წამლით უშამლონ. ამიტომ სწორედ ჩვენ ვერავითარ შველას ვერ გვაძლევენ.

არც ერთი დაწესებულება ჩვენ სახელმწიფოში არ არის ისეთი, როგორიც ჩვენი საფინანსო დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლიან მართლა ისარგებლოს ყველა ამ მოღვაწეების კრიტიკებით, რომლებსაც იგი აკადრებს, რადგანაც ყველაზე დიდი და რთული საგანი არის საფინანსო საგანი (ვეშაპელი:— „მართალია") იმიტომ ის ადამიანი, რომელიც სათავეში არის უნდა იყოს დიდი მცოდნე, დიდი გამჭრიახი, დიდი გამოცდილი, (ვეშაპელი:—„მართალია") არ არის არც თქვენში, ბატონო ვეშაპელო და არც ჩვენში ისეთი პირი, რომ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი გაითვალისწინოთ, იმიტომ რომ, თუ ფინანსთა უწყების მეთაური, ხელმძღვანელი თითონ მტერი არ არის, სიხარულით უნდა ისმენდეს ყველა იმ კრიტიკას, რომელიც კეთდება. მე იმას მოგახსენებთ, თუ კრიტიკა ხან ხან არ არის, მართლა რომ საქმის სიყვარულით გამოწვეული ამნაირ კრიტიკით როგორ უნდა ისარგებლოს ფინანსთა მინისტრმა?

ბატონებო, ერთს კი გეტყვითო,—როდესაც გვაკრიტიკებთ ჭკუაც გვასწავლეთ, მაგრამ ჭკუის სწავლებისთვის უნდა ცოდნა და იმიტომ, ვინც გამოდის აქ, ტრიბუნაზე კრიტიკით, მე ვითხოვ, რომ იგი ცოდნით გამოვიდეს. (ვეშაპელი:—„მარტო ხატისოვის უნივერსიტეტში ხომ არ არის ცოდნა?..")

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? არავის. კამათი გათავებული გახლავთ. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ნიე ცინაძე, მომხსენებელი. მე ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ. არავითარი სერიოზული მოსაზრება არ მოუყვანიათ ბ. ვეშაპელს და ბ. ქიქოძეს იმის სასარგებლოდ, რომ ხელსაყრელი და მიზან შეწონილი იყოს ეხლანდელ პირობებში ქართულ ბონების გამოცემა. ერთად-ერთი მოსაზრება, რომელიც ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ მათი სიტყვებიდან,—ეს არის ის, რომ ეს ორატორები ქართულ ბონების ფეტიშიზმით არიან ავადმყოფნი და შეპყრობილნი. ოღონდ კი იყოს ქართული ბონა და როგორი „რისკიც" გნებავთ, ისეთ რისკს გასწევენ. მხოლოდ ასეთი დასკვნა შეგვეძლო გამოგვეყვანა ჩვენ მათი სიტყვებიდან. ისიც კი სთქვეს, რომ რათაც უნდა დაგვიჯდეს ქართულ ბონის დახურდავება მაინც უნდა გამოვცეთ იგიო. ჩვენ ამ „რისკს" ვერ გავსწევთ და მით მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. ჩვენ ვერ დავადგებით ამ გზას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლანდელ პირობებში უფრო მიზან შეწონილი იქნება ვიაროთ ამ ნაკადი გზით, რომელსაც აქამდისინ მივყვებოდით. ის მოსაზრება, რომელიც აქ იყო წამოყენებული ამ შემთხვევაში, უმთავრესად იყო გარემოება იმ მოსაზრებისა, რომელიც მიყავდათ მაშინ, როცა პირველ და მეორე ემისიიზე იყო ლაპარაკი. სწორედ მაშინაც ასეთი სიტყვები ვვესმოდა: მაგრამ ისინი მაშინ უფრო მეტი სისასტიკით იცავდნენ ქართულ ბონის იდეას, ვიდრე ეხლა. ეხლა კი, ასე თუ ისე თანახმანი არიან, რომ დღევანდელ პირობებში ჩვენთვის გამოსაცემი არ არის.

რასაკვირველია, აქ იყო გამოთქმული საერთო მოსაზრებანი, როგორც ერთიანი ჭეშმარიტება, მაგალითად, გერონტი ქიქოძეს მიერ. იყო ლაპარაკი, რომ საჭიროა ვიფიქროთ, ალბ-მიცემის ინტენფიკაციაზე. საჭიროა შეექმნათ საღი ფინანსიური ეკონომიური სისტემა და ეს თავის თავად ცხადია დაკავშირებულია საწარმოო ძალთა განვითარებაზეო და სხვა. (ქიქოძე: ეგ მოგონილია, „ერთობა"-დან არის ამოღებული, მე იგი არ მითქვამს) სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი, ბატონო ქიქოძე, რომ ეხლანდელი ალბ-მიცემობა დაკავშირებულია სამრეწველო საქმის მოგვარებაზე და საწარმოო ძალთა განვითარებაზე ტ სხვა. თუ ასეთი საერთო მოსაზრება მხედველობაში არ მივიღეთ... რასაკვირველია, არავითარი ისეთი სერიოზული მოსაზრება არ იყო ამ კანონ პროექტის წინააღმდეგ წამოყენებული ამ შემთხვევაში... (გაბაშვილი: სერიოზულიო? სერიოზული თქვენ მოიგონეთ) და ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ პარლამენტს შეუძლიან ამ პროექტის მიღება.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი პირველ მუხლს, მიღებულია. ვინ შეიკავა თავი? (ხმა: მემარჯვენეებმა შეიკავეს თავი) ნება მიბოძეთ გადავიდეთ შემდეგ შეკითხვაზე.

ეი ეს შეკითხვა დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატების მთავრობისა და სახელმწიფო კონტროლიორისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისა და სახელმწიფო კონტროლიორისადმი 30 მალ. მან. სალიკვიდაციო ფონდის შესახებ შეკითხვის წესრიგიდან ამოშლა.

გრიგოლ ვეშაპელი. (დ. ერ.-დ). ბატონებო! ეს შეკითხვა ჩემის ინიციატივით იყო წარმოდგენილი პარლამენტში 12 ოქტომბერს.

მოგახსენებთ, რომ პოლიტიკურ დაწესებულებაში და განსაკუთრებით პარლამენტში, ყოველი საკითხი, გინდ საკანონმდებლო, გინდ საინტერპელიაციო, შეფარდებული არის დროსა და გარემოებაზე.

რადგანაც 11 ოქტომბერი უკვე დიდი ხანია წავიდა, ეხლა 15 ნოემბერია და ამ ხანში დაიბადა სხვა და სხვა ისეთი ახალი გარემოებანი, რომელნიც 11 ოქტომბერს არ იყო, ამიტომ მე საჭიროდ ვსთვლი, რომ ეს შეკირხვა მოხსნილი იყოს სრულიად.

თავმჯდომარე. რეგლამენტის ძალით, შეკითხვის ავტორს ნება აქვს მოხსნას შეკითხვა, თუ კი წინააღმდეგნი არ იქნებიან. რაკი წინააღმდეგი არ სჩანს, ეს შეკითხვა იქნება უკან წაღებული.

შემდეგი შეკითხვა. პარლამენტის წევრი თარხანოვი.

შეკითხვა პარლამენტის წევრთა ლ. თუმანოვისა და ნ. თარხანოვისა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი სასამართლოს განუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა ბუდუ მდივანის და სხვათა სატუსალოში უბრალდებოდ მწყვდევის შესახებ.

Ник. Тарханов. (с.-р.). Граждане, члены парламента! Этотъ запросъ нашъ, внесенный почти 2 недѣли тому назадъ, былъ вызванъ тѣми исключительными событіями, которые имѣли мѣсто въ Тифлисскомъ Метехскомъ замкѣ, когда цѣлый годъ политическіе заключенные отчаявшись въ возможности, когда либо выйти изъ тюрьмы, или получить такое, или иное конкретное обвиненіе,—объявили голодовку. Съ тѣхъ поръ прошло немного времени, голодовку сняли. Кажется многіе изъ заключенныхъ, о которыхъ говорили въ запросѣ, получили удовлетвореніе, но отъ этого сегодняшній запросъ не теряетъ своего значенія. Наоборотъ, теперь намъ предсдавляется, что этотъ запросъ долженъ получить еще большее значеніе, ибо, въ связи съ объявленіемъ военнаго положенія, когда исключительное положеніе, исключительныя мѣры получаютъ свое логическое завершеніе, самъ вопросъ, о примѣненіи административныхъ арестовъ, внѣ судебныхъ арестовъ, пріобрѣтаетъ весьма серьезный характеръ. Намъ казалось, что въ республикѣ, демократической республикѣ, внешнее и внутреннее положеніе которой, вопреки всѣмъ опредѣленнымъ заявленіямъ, довольно прочно и твердо нѣтъ необходимости прибѣгать къ системѣ исключительныхъ мѣръ по управленію страной, намъ казалось, что если въ дѣйствительности и есть необходимость прибѣгать къ этимъ исключительнымъ мѣрамъ, то лишь при непремѣнномъ условіи номированіи этихъ мѣръ. Мы считаемъ, что если, что нибудь болѣе всего отражается отрицательно на государственномъ стрнительствѣ, то это— тѣ излишнія примѣненія исключительныхъ мѣръ, которыя за послѣднее время проявляются, какъ во всемъ правительствѣ въ цѣломъ, такъ въ особенности въ министерствѣ внутреннихъ дѣлъ.

Я, конечно, не буду касаться общей политики министерства внутреннихъ дѣлъ, преслѣдуя исключительно, вполнѣ опредѣленную задачу,—ввести въ нормальныя условія веденіе внѣсудебныхъ арестовъ. Если вы обратили вниманіе на то обязательное постановленіе, которое было доведено до всеобщаго свѣдѣнія послѣ объявленія военнаго положенія, то оказывается, что генералъ-губернатору предоставляется право произвольно налагать наказаніе даже въ тѣхъ случаяхъ, когда опредѣлено наказаніе судьями.

Такимъ образомъ оказывается, что теперь у насъ примѣнять внѣсудебные аресты могутъ на ряду съ министромъ внутреннихъ дѣлъ, на ряду съ начальникомъ милиціи, еще и генералъ-губернаторы. И одни и тѣ же лица рискуютъ сразу очутиться подъ нѣсколькими ударами и такой случай уже неоднократно былъ въ исторіи примѣненія внѣсудебныхъ арестовъ.

Вотъ по этимъ соображеніямъ намъ и представляется, что въ задачу парламента должно войти безусловно,—требовать, чтобы внѣсудебные аресты, исключительное положеніе и другія мѣры были бы строго нормированы чтобы личному произволу, личнымъ усмотрѣніямъ было бы дано какъ можно меньше простора. Когда мы вносили этотъ запросъ, и въ этомъ запросѣ одновременно обращались къ министру внутреннихъ дѣлъ и къ министру юстиціи, мы отнюдь не думали, внося этотъ запросъ, вмѣнять въ вину, мы отнюдь не думали, что событія, которыя имѣли мѣсто въ Метехскомъ замкѣ, или то широкое примѣненіе, которое имѣется у насъ могли бы быть вмѣнены въ вину министру юстиціи. Но мы полагаемъ, что, въ обязанность министра юстиціи, естественно, какъ высшаго органа правосудія, входитъ безусловно выработка этихъ мѣръ. Намъ казалось, что министръ юстиціи не можетъ не быть отвѣтственнымъ, когда въ странѣ вмѣсто законности, лица административныя, администрація насаждаетъ произволъ. Намъ казалось, что министръ юстиціи долженъ былъ бы самъ поднять, по своей инициативѣ этотъ вопросъ, вопросъ о нормированіи примѣненія этихъ исключительныхъ мѣръ. Дѣло въ томъ, что и сейчасъ, по нынѣшній день, на территоріи Грузіи, въ Тифлисѣ, въ частности въ Метехскомъ замкѣ и вообще, въ Тифлисскихъ тюрмахъ томятся безконечное число лицъ, которымъ не предъявлено обвиненіе. Эти лица сплошь да рядомъ сидятъ совершенно не чувствуя за собой вины. Эти лица, несмотря на категорическое требованіе предъявить имъ обвиненія, не могутъ получить обвиненія. Вотъ, намъ казалось, что вотъ эти условія, независимо отъ того конкретнаго случая, по которому былъ внесенъ запросъ, еще имѣется на лицо, такая категорія лицъ, имѣются лица, которые страдаютъ отъ примѣненія этого административнаго произвола, то обязанностью парламента безусловно является прежде всего категорическое требованіе отъ правительства или предъявить обвиненіе ко всѣмъ тѣмъ лицамъ, которые содержатся подъ стражею, или же предъявить какое нибудь конкретное обвиненіе, или же освободить ихъ. Но съ этимъ въ обязанность парламента при нынѣшнихъ условіяхъ безспорно входитъ и то, чтобы обязать правительство нормировать и выработать это основное положеніе. Это тѣмъ болѣе необходимо, что то основное положеніе, которое положено въ основаніе примѣненія внѣсудебныхъ арестовъ и исключительныхъ мѣръ, оно исключительно, цѣликомъ взято изъ стараго арсенала, изъ арсенала богатаго наслѣдства, которое было оставлено здѣсь.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Я утверждаю, что ни одно положеніе, ни одна исключительная мѣра, которые примѣняются до сихъ поръ, по сегодняшній день, не получали никакого смягченія въ зависимости съ тѣмъ новымъ запросомъ, съ новымъ чувствомъ законности и стремленія демократизаціи, которое проявляется въ широкихъ массахъ. И я думаю, что безспорно парламентъ долженъ поддержать этотъ запросъ. Вотъ поэтому соображенію я и полагаю, что независимо отъ того конкретнаго случая, по которому предъявляется запросъ, нашъ запросъ не теряетъ своего значенія и парламентъ долженъ безспорно въ этихъ предѣлахъ и въ этомъ направленіи сказать свое слово.

შალვა ალექსი მესხიშვილი, იუსტიციის მინისტრი. პარლამენტის წევრნო, როგორც შეკითხვის შინაარიდან სჩანს, თითქმის ყველა აქ ჩამოთვლილნი პირნი არიან დატუსაღებულნი ადმინისტრატიულ წესით. ამ გვარად იუსტიციის მინისტრის მოვალეობა იყო, რომ როგორც კანონიერების წარმომადგენელს, თვალყური ედევნა,—უფლება ჰქონდა თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრს ასე მოქცეულიყო. ეს ფორმალური მხარე გახლავთ ამ შეკითხვისა.

მართლა, ძველ წესზობილების დროს არსებობდა კანონი ადმინისტრატიულ წესით, დატუსაღების შესახებ. მართალია კერენსკის დროს მთავრობამ პირველათვე ეს კანონი უკუ აგდო. მაგრამ შემდეგ რევოლიუციის განვითარებაში იმ ანარქიის გამო, რომელშიაც რუსეთი იმყოფებოდა, ეგივე კერენსკის მთავრობა, რომლის სათავეში იდგნენ ის პირნი რომელნიც თანახმაგისთვის და-მის მეგობრებისთვის ცნობილნი არიან,—სწორეთ კერენსკის მთავრობამ გამოსცა ხელშეწერილ კანონი, რომელშაც მისცა უფლება შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ყველა იმ წრეების და იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ებრძვიან რევოლიუციას მონაპოვართ, ვინც ჰქმნიან ანარქიას,—ყველა ამ პირთ წინააღმდეგ სამინისტროს მიეღო ადმინისტრატიული ზომები და ადმინისტრატიულ წესით დაეტუსაღებინა ეს პირები. თუ ამ კანონს შეეხედავთ ასეთის ფორმალურის მხრივ,—დავინახავთ, რომ ეს ორი აგვისტოს კანონი, რომელიც ხელ მოწერილია ზარუდნის და კერენსკის მიერ, ამ ორ აგვისტოს კანონის ძალით, ამ კანონის ძალით, ამ კანონინთ რომელიც ეხლაც მოქმედობს,—შინაგან საქმეთა მინისტრ სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით უფლება აქვთ ყველა ის პირნი, ვინც წესიერებას არღვევს, ვინც ამხედრებს ერთ ნაწილს ერისას მეორე წინააღმდეგ, ვინც ებრძვის წესწყობილების დამყარებას სახელმწიფოში, ეს ეს პირები ადმინისტრატიული წესით ციხეში მოთავსონ. ამ გვარათ, რადგანაც შინაგან საქმეთა მინისტრს ეს უფლება ჰქონდა, მე, როგორც იუსტიციის მინისტრი, მის განკარგულებაში ვერ ჩავერევოდი, მაგრამ ეს ფორმალური განმარტება ისე გამოიყენეს თითქოს მე, როგორც იუსტიციის მინისტრი, ფორმალურად ვაყენებდე საკითხს და მსურდა ყველაფერი ეს მოვახვიო თავზე შინაგან საქმეთა მინისტრს, და ამით თავიდან ავიცილო პასუხისმგებლობა. რადგანაც მე გახლავართ სოლიდარული კანონიერის წევრი, მე საესებით ვიზიარებ ყველა იმ ზომებს, რომელიც მიღებულია და სოლიდარული ვარ შინაგან საქმეთა მინისტრთან. მხარს ეუჭერ მას.

მაგრამ მე მსურს არსებითად შევეხო იმ საკითხს, რომელიც წამოაყენა თარხანოვმა თავის შეკითხვაში. მის უმტეს, რომ პრინციპიალური საკითხი, რომელიც უნდა გადასწყდეს ჩვენ პარლამენტში გახლავთ შემდეგი: როდის დადგება ან დრო, როდესაც მოისპობა ადმინისტრატიული, სასამართლოს გარეშე, წესით... (ვეშაპელი: მეორე მოსკლის შემდეგ), ადმინისტრატიული წესით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატუსაღება, როდესაც ყველა ჩვენი მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება ... მხრივ, და მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით იქნება დატუსაღებული. მე მოგახსენებთ, რომ არც საქართველოს მთავრობაში, არც საქართველოს პარლამენტში არ მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელნიც მომხრენი იქნებიან ადმინისტრატიულ წესით დატუსაღებისა ნორმალურ პირობებში. (ხმა: მართალია).

ბატონებო, თუ თქვენ მოიგონეთო მტრებს, რომელნმც დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა გვეძრძვიან, როდესაც ესეთი მდგომარეობა არის შექმნილი, რომ ყოველ დღე სინდის აიეცხლოდა ვაჯპატონები პროვოკაციას ეწევიან, ცდილობენ აგვიგზარონ ახლად დაწუნებული საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, არამც თუ სიტყვით, არამედ საქმითაც, როდესაც ექვსი თვის განმავლობაში, ექვსი დღეც არ გვქონია თავისუფალი, რომ ამოგვესუნთქა თავისუფლად, როდესაც ეს ვაჯპატონები თავს არ ანებებენ თავიანთ დამნაგრეველ საქმეს,—ამისთანა პირობებში, მე გეკითხებით შეიძლება თუ არა მარტო სასამართლოს წესით მოქცევა ამ ვაჯპატონების წინააღმდეგ, მით უმეტეს, როცა სასამართლოს აპარატი ვერ არის სათანადოთ მოწყობილი? სასამართლოს მოხელე ბევრი ძველი დარჩა და სასტემატიურად საბოტაჟს ეწევა ჩვენ საქართველოს წინააღმდეგ. (ტაში, ყველა სკამებზე, გარდა დაშნაკელებისა). მე თქვენ გეკითხებით,—შეიძლება ეს თუ არა? რასაკვირველია, სახელმწიფოს შენების შესახებ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს. ერთი აზრი არის ამისთანა: პროვოკაცია, ხალხს აჯანყება, ერთი მეორეს წინააღმდეგ წასასინება, ერთი მეორეზე გადაკიდება, აჯანყება ნგრევა... ვისთვისაც არის ეს ხელსაყოფელი, დღავანდელ პირობებში ის, რასაკვირველია, მოითხოვს, რომ მხოლოდ და მარტო სასამართლოს წესით იყოს დატუსაღებული. მაგრამ, ვინც გულწრფელად ზრუნავს საქართველოზე, დამოუკიდებელ რესპუბლიკისთვის, ამათ სწამთ რომ პრინციპიალურად მომავალში ეს წესი მოსპობილი უნდა იყოვს, მაგრამ საშუალება არ არის რომ ეს მოვსპოთ და ჯერ-ჯერობით ეს ადმინისტრატიული წესი უნდა არსებობდეს. აქ კითხულობენ,—როდის იქნება მოსპობილი ადმინისტრატიული წესით დატუსაღება. მაშინ, პარლამენტის წევრნო, როდესაც ამის საშუალებას მოგვცემენ, მაშინ როდესაც მიანებებენ თავს ამ აგიტაციას, მაშინ როდესაც დაგვანებებენ თავს, ნებას მოგვცემენ ალმაშენებელი მუშაობა ვაწარმოოთ. მე პირდაპირ ვიტყვი,—იმათ, ვისაც შეკითხვა შემოაქვთ, ,ვისაც გულწრფელად უნდა, რომ წესიერება დამყარდეს, პიროვნების ხელუხლებლობის ერთგვარი გარანტია იყვეს მიცემული, ინმა ხელი უნდა შეუწყოს არა ჩვენ სახელმწიფოს დამხობას, არა წყლის აღღვრევას, არამედ მთელი თავისი ძალღონით ხელი უნდა შეუწყოს, რომ განმტკიცოს ჩვენი დამოუკიდებელი საქართველო. მხოლოდ მაშინ მე პირველი და მთელი საქართველოს მთავრობა პირველი შემოიტანს იმ წესს, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყვეს ყოველი მოქალაქის პიროვნება და როდესაც ადმინისტრატიული წესით დატუსაღება მოსპობილი იქნება. (მხურვალე ტაში, გარდა დაშნაკელებისა).

თავმჯდომარე: ვის ნებავს სიტყვა? ვნებავთ თუ არა განვაგრძოთ კრება? (ხმები: გავათოთ ეს საკითხი). სიტყვა ეკუთვნის ნინიძეს.

კირილე ნინიძე (სოც. დემ.) ბატონებო, პარლამეტის წევრნო! მე სავსებით ვეთანხმები შეკითხვის ავტორს, იმაში რომ ამ შეკითხვას დღემდის არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

თავის თავათ ცხადია, რომ ის საბუთი, რომელზედაც აშენებული იყო ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკითხვა დღეს, არ იყო სერიოზული საბუთი, არც პარლამენტმა ჩასთვალა ნ ასეთათ და მისი სისწრაფე უარჰყო.

რასაკვირველია, ის ადამიანები, რომელნიც სისტემატიურათ არღვევდნენ ყოველგვარ კანონებს, არამც თუ ძველ კანონებს, არამედ თვით დემოკრატიულ კანონებს, ისინი რომელნიც აწარმოებდნენ რუსეთში დამრღვევ პოლიტიკას, ანგრევდნენ საზოგადოდ ყოველგვარ საზოგადოებას, და რომელთა მეოხებით სისხლში ამოისვარა მთელი დემოკ[illegible]ატია, დარრმელიც აქაც განაგრძნობენ ასეთსავე მუშაობას,—თავის თავათ ცხადია, რომ ასეთი პირები სერიოზულად ვერ მოიმიზეზებდნენ ისეთ რამეს, როგორიც არის საშეელის მიღებლობა, თავის თავად ცხადია, ის ერთგვარი თამაში იყო, და შეკითხვის აიტორნი ამის სერიოზულად ვერ სასთვლაან. უმთავრესად ჩემის აზრით, ეს იყო დემონსტრაციის მოხდენა. ეს იყო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომლითაც ბატონ თარხანოვი და მისი მოაზრენი სცდილობენ ერთნაირი აგიტაცია გასწორონ თავის მიზნის მისაღწევად. ჰო, და, თუ ასე შეეხედეთ საკითხს, და თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რაც მოხდა ამ უკანასანელ დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ კვლავ ისეგეა, ის ორიენტაცია, რომელსაც ადგია ბ. თარხანოვი და მის თანამოაზრენი, რომ გზა იხსნება (ხმა: რუსეთში), რუსეთში, როგორც ისინი ჰფიქრობენ. ჰოდა, თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, თავისთავად ცხადია, რომ ამ შეკითხვას არ დაუკარგავს მნიშვნელობა, და ამ მხრივ სწორედ დღეს უნდა იყოს შემოტანილი.

მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ 7 ბოლშევიკს რომ მეტეხში სიმშილი არ გამოეცხადებინათ, თარხანოვი და მისი თანამოაზრენი თავისი შეკითხვას სხვა მოსაზრებით და სხვა საბუთებით ააშენებდნენ და მაინც შემოტანდნენ.

ფორმალურად იუსტიციის მინისტრმა უკვე გასცა პასუხი შეკითხვის ავტორს.

შეკითხვაში ხაზ გასმით იყო აღნიშნული კანონის დარღვევა, ალბად ის რომ დარღვეული არის კანონი, და დატუსალებული არის, ეს თუ ის პირი, სასამართლოს განუსჯელად. მთავრობას დაურღვევია კანონი, და ეს დარღვევა ხდება შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, და სწორედ იმიტომ სთხოვენ პარლამენტს, ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

აქ იუსტიციის მინისტრმა თქვენ გითხრათ, რომ არსებობს კანონი, 2 აგვისტოს კანონი, კერენსკის დროს გამოცემული, რომელიც საშუალებას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მან ამ პირების წინააღმდეგ მიიღოს ზომები. თავის თავად ცხადია, თუ ჩვენმა პარლამენტმა მიიღო დროებითი ეს კანონები, რომელიც რუსეთში იყო გამოცემული, მართალია დღევანდელ შეკითხველისთვის არ არის სავალდებულო ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, მაგრამ მიუღებელია ის, რომ ამ შეკითხვით მიმართავენ ამ პარლამენტს ისეთი პირები, რომელიც ყოველ დღე არღვევენ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, და დადგენილებას.

ბოდეტეია, მე მგონია ამ მხრივ ლაპარაკი. რაც ითქვა ისეც საკმაო იყო მარტო იმის დასამტკიცებლად, რომ ეს შეკითხვა არ არის წარმოდგენილი სერიოზულ ხასიათის მიზეზებით და ის არ არის შმამართული იმისადმი, რომ დანამტკიცის დემოკრატიული წესწყობილება, და პარლამენტის ტრადიცია. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ჯერ ჯერობით, პარლამენტში ანარქისტები არ შედიან და რამდენადაც ვიცით, ისინი, ვინც შედიან პარლამენტში სცნობენ პარლამენტს, პარლამენტარიზმს, და ყველა იმ კანონმდებლობას, რომელსაც პარლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზენტი ჰქმნის. მაგრამ, როდესაც ვიცით, რომ ბატ. თარხანოვი და მისი [illegible] ზრენი სრულიადაც არ სცნობენ არა თუ პარლამენტს, არამედ არ სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას... (ეფშაპელი: მაშ რას აკეთებენ? გაბაშვილი: აქ რათ შემოიყვანეთ?).

ბატონო გაბაშვილო, ჩვენ რომ პარლამენტარიზმს არ ვიცავდეთ, თავის თავად ცხადია, თქვენც არ შემოგიყვანდით. (სოციალ-დემოკრატების მხრით მხურვალე ტაში). ჰო და, მე მგონია, რომ როდესაც ისეთი მასალით აქ შემოდიან, ასეთი პიროვნებანი და ასეთი შეკითხვა შემოაქვთ,— მე მივცემ ნებას ჩემს თავს, და ვიტყვი: ეს არის ერთნაირი პოლიტიკური ავანტიურა, და სხვა არაფერი. (ვეშაპელი: აღრმავებენ რევოლიუციას). როდესაც ბატ. თარხანოვი და მისი თანამოაზრენი მიმართავენ სწორედ იმ პარლამენტს, რომლის კანონებს ისინი მუდამ ფეხ ქვეშ სთელავენ (ქართ. ს.-რები: ტყუილია!), მე მგონია ეს არ უნდა იყოს დასაშვები.

რაც შეეხება შეკითხვას არსებითად, მე მგონია, რომ ბ. თარხანოვი და [illegible] თანამოაზრენი ეკუთვნიან ეგრეედ წოდებულ მემარცხენე ეს-ერებსო. (ხმაურობა: ტყუილია! ხმა: მემარცხენენს!)

თავმჯდომარე. გთხოვთ უმორჩილესად ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ. ნუ უშლით ორატორს. (ხმაურობა!) უმორჩილესად გთხოვთ! კიდევ უმორჩილესად გთხოვთ ნუ უშლით! (ხმაურობა) კიდევ გთხოვთ.

კ. ნინიძე. მე არ ვიცი გულში რა უდევს ბ. თარხანოვს და იმის ფრთას, რომელიც მას გამოეყო და აქ იახლის—„ტყუილია"-ო მაგრამ მე ვემყარები და ვეხები იმ პროგრამას და დეკლარაციას, რომელსაც ვკითხულობ. თუ ეს პარტიას არ ეკუთვნის ყოველ შემთხვევაში ისინი თავს მემარცხენე ეს-ერებათ სთვლიან და მემარცხენე ესერები სწორედ აქ გაურბიან კანონების დარღვევას და თვით მემარცხენენი იღგნენ ტერორის ნიადაგზე. თავის თავად ცხადია, რომ პოლიტიკურ ბრძოლის დროს ტერორიც კი არის დასაშვები, ბ. თარხანოვო. ეს არის ბრძოლა და თუ ბ. თარხანოვს ჰგონია ესე და ამიტომ მისი თანამოაზრენი აფეთქებენ ქსენის ხიდს და ბელს გვიშლიან მუშაობაში, თუ იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენი მტრების აშკარად დახმარებით საშუალებას მისცემენ მათ, რომ დანგრიონ ჩვენი დამოუკიდებელ სახელმწიფო და ამავე დროს მოითხოვენ, რომ რაღაც ნიკოლოზის დროს გამოცემული კანონით ვიხელმძღვანელოთ და სასამართლოს გარეშე არ დავატყვევოთ ვინმე—ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩვენ გულუბრყვილოდ გვთვლიან (ეროვნულ-დემოკრატების მხრივ: ტაში). არც ისეთი გულუბრყვილონი ვართ.

შეიძლება ბ. თარხანოვს და მის თანამოაზრეებს, სახეში ჰყავთ ისეთი პირები, რომელნიც წარმოადგენენ რაიმე ფიზიოლოგიურებას, ჩვენ საზოგადოებაში, როგორც პოლიტიკური პიროვნება, მაგრამ მე მგონია, რომ თუ გრძნობაზე იქნება საქმე, ბ. თარხანოვი ვერ გვასწავლის, როგორი გრძნობა უნდა ჰქონდეს ყოველ ამხანაგებს ბუდუ მდივანზე და სხვაზე. ჩვენ მათთან გვიმუშავნია და ეს ყველანი ჩვენი ამხანაგები იყვნენ ერთ დროს, მაგრამ ის, რასაც ისინი სჩადიან ღღეს, მე მგონია, ვერ ჩაითვლება პოლიტიკურ მოღვაწეობად. მართალია, იმას არ გაპყვებიან გურიის ბლეები და საზოგადოდ, მოწინავე მუშები, არამედ განუვითარებელი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, მაგალითად, ჯავის ოსები და დუშეთის ოსები, რომლებიც მათის აზრით, წარმოადგენენ საუკეთესო ნიადაგს სოციალიზმის განსახორციელებლად. მე მგონია, ეს არის დიდი გაუგებრობა, რომლითაც პირადად ბ. ხდევანი სარგებლობს. ეი ამ შემთხვევაში, მე მგონია, ჩვენ მეტის მეტად ჯენტლემენურად მოგვექეცით, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიოსან სიტყვაზე გავანთავისუფლეთ საშა გეგეჭკორი და სხვა თავზე ხელაღებული პირები, რომელნიც ამის და მიუხედავად შემდეგ ხელმძღვანელობდნენ ისეთ გამოსვლებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დუშეთის მაზრაში და სხვაგან. თუ ასეთ პირებს კერძოდ ვინმე შეიბოლებს, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ არავინ არ იქნება, მაგრამ თუ კი ასეთი პირებიც ღირსნი არიან, ამ გვარ პოლიტიკურ გამოქმიმაგების,—ეს მე არ ვიცი. ამ შემთხვევაშა, მე მაგონდება ერთი რუსული თქმულება, მგონია ერთმა რუსის მწერალმა სთქვა, რომ „მთთხარი ვისი მეგობარი ხარ შენ და მაშინ გეტყვი ვინ ხარო“ (ტაში). აი ასეთ მეგობრის გამომზეურება უნდა თარხანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრატიულ წესით დატუსაღებასო, ჩვენ ვუპასუხებთ,—მაშინ, ბატონებო, რომელსაც ამის საშუალება გვეძლება, და როდესაც სრულიად აიოლვმეგბიან ისეთი პირები, რომელნიც ძირს უთხრიან ჩვენ ეროვნულ სახელმწიფოს, ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, და როდესაც ბატონი თარხანოვი გამოდის აქ და რიხით ლაპარაკობს,—ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ დასკვს პრესტიჟი დემოკრატიულ მთავრობისა. აქ ბრძანებენ, რომ „უწინ, თვითმპყრობელობის დროს იუსტიციის მინისტრს არ ჰქონდა იმდენი უფლება, რომ დაეტუსაღებინა კაცი, მისი სურვილისამებრ; ამისთვის იყო განსაკუთრებული, განსაზღვრული წესები და სხვა და სხვაო,—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში კი შინაგან საქმეთა მინისტრი უვადოთ, რამდენხანაც მას სურს, იმდენ ხანს ატუსაღებს სხვა და სხვა პირებსო.

ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონ თარხანოვს ჰგონია თითქოს ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ნორმალურ პოლიტიკაში, გვაქვს ჩამოყალიბებული უფლებრივი სახელმწიფო, წყნარი, მშვიდობიანი ცხოვრება, გამოკვეთილი წესწყობილება და არავითარი აღელვება არც შინ, არც გარეთ,—ერთი სიტყვით, როგორც კონსტიტუციონალურ ქვეყნებშია. ასე არ შეიძლება მსჯელობა. უნდა დაიყენოთ საკითხი,—შესაძლებელია თუ არა ადმინისტრატიულ წესით დატუსაღება? თქვენ არ უწევთ ანგარიშს რეალურ პირობებს, რომელშიაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება, რომელშიაც გვიხდება ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკის, ჩვენ ეროვნულ სახელმწიფოს აშენება. ამიტომ მოგახსენებ, რომ თვით კერენსკიმ და მისმა მთავრობამ, რომელმაც პირველადვე უარყო ადმინისტრატიული წესით დატუსაღება, ისინი აიძულა პოლიტიკურმა ცხოვრებამ მიეღო ისეთი ზომები, რომელნიც სცვლიან ორ აგვისტოს კანონს და სრულიად მართალია ბატონი თარხანოვი, როდესაც ლაპარაკობს, რომ „როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, ისე სამხედრო მინისტრს უფლება აქვთ მხოლოდ გამოარკვინონ ის წესი, რა წესიც უნდა მოხდეს მომავალში დატუსაღება. ამ კანონს მეორე მუხლში პირდაპირ სწერია: „მიეცეს უფლება დააპატიმრონ ისეთი პირები ვისი მოქმედებაც მავნე არის სახელმწიფოს დაცვისთვის და რეგოლიუციის მოსაპოვართა შესანარჩუნებლად“. და მეორე მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იმავე მინისტრებს ეძლევათ უფლება არამც თუ დააპატიმრონ ეს პირები, არამედ აიძულონ ჩნინი დასტოვონ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორია და გადაასახლონ სადაც სურთ. და თუ დაბრუნდნენ—მათ ისე მოეპყრნენ, როგორც არის კანონში გამოცხადებული. ეი თვით ეს კანონი, ხელმოწერილი კერენსკის მიერ და ცხოვრებაში შემოღებული. დიახ, ვინც პრაქტიკულად მოქმედობს, ვისაც უხდება ამისთანა ტალღების დროს დემოკრატიულ საქმეების გაძღოლა, ის არ დაერიდება ამისთანა ზომებს ისეთ შემთხვევებში.

მე მოგახსენებთ, რომ თუ გულწრფელათ გსურთ მსჯავარი დასდოთ საქართველოს მთავრობას, თქვენ მხოლოდ ერთ რამეში შეგიძლიანთ დასდოთ ბრალი. მხოლოდ იმაში, რომ საქართველოს მთავრობა ყოველთვის იყო ლმობიერი, მეტის მეტად ლმობიერი იმიტომ, რომ ლმობიერია თვით დემოკრატია, რომლის წარმომადგენელიც არის ეს მთავრობა. და ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ და როდესაც ასეთ მდგომარეობაში ვარდებიან, რომ ამ დემოკრატიას ძირს გამოუთხრიან, მაშინ პირდაპირ დამნაშავე იქნება მთავრობა, თუ სასტიკ ზომებს არ მიიღებს და ძირიან ფესვიანად არ ამოგდებს ამ ვაკბატონებს. აი ეს არის პოზიცია, რომელზედაც დგას დღეს საქართველოს მთავრობა.

კიდევ ერთი უკანასკნელი სიტყვა. დრო იცვლება და მე მგონია დრო კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ფსიქოლოგიაც იცვლება, მე მახსოვს, მგონია ამავე დარბაზში იყო, როდესაც დემოკრატიის წარმომადგენლები ბოლშევიკურ პროვოკაციურ გამოსვლის შემდეგ ლაპარაკობდნენ ამ დარბაზში საქართველოს დემოკრატიის ლიდერები. „მართალია ბოლშევიკები ჩვენ საწინააღმდეგო პოლიტიკას ეწევიან, მაგრამ კანონის გარეშე მათი გამოცხადება არ შეიძლება და ამიტომ ასეა თუ ისე ჯერ-ჯერობით მაინც ჩვენ შორის ურთიერთობა არ გაწყვეტილი და მეგობრული კავშირი უნდა შეინარჩუნოთ“.

და აი იმ მომენტში, როდესაც ესეთი ღრმა არ იყო ხაზი ჩვენსა და ბოლშევიკების შორის ბ. თარხანოვი, დღევანდელი შეკითხვის ავტორი თხოულობდა ამ სისხლით და მახვილით გაცსწორებოდით ამ ბოლშევიკებს. ეს გახლდათ მაშინ, როდესაც საზღვარი ჩვენ და ბოლშევიკების შორის არ იყო დიდი და ღრმა, როდესაც ჩვენ მოვითხოვდით ლმობიერებას, მაგრამ ამავე ზალაში დღევანდელი შეკითხვის ავტორი კი სხვას მოითხოვდა, და იმეორებდა კერენსკის სიტყვებს ცეცხლისა და მახვილის შესახებ.

არ ვიცი, რუსეთის კანონდებლობის რომელ ტომში სწერია სისხლით და მახვილით გასწორება, არ ვიცი რა კანონში სწერია, მაგრამ მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა ლმობიერი მთავრობა არის, ამას მე ხაზს უსვამ და წესიერების დასაცავლად შემოიღო დროებითი წესწყობილება რამდენიმე ბოლშევიკების დასაჭერად, მაშინ აქ შემოაქვთ ისეთი შეკითხვა, თითქოს მთელი ქვეყანა დავანგრიეთ და აუარებელ ბოროტებას ჩავდიგართ და ამით დემოკრატიულ წესწყობილებას ვარღვევთ. ეს აზრი, ბატონებო, თარხანოვის აზრი.

მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ:—საქართველოს მთავრობა ლმობიერი იყო, მაგრამ ლმობიერებას უნდა ჰქონდეს პოლიტიკაში საზღვარი და არავის არ მივცემთ ნებას თავის ნებაზე ითამაშონ. დ თუ ეხლა საჭიროება მოითხოვს სასტიკი ზომების მიღებას ეს მოხდება და ხდება სრული შეგნებით და ასეთი ზომები მომავალშიც მიღებული უნდა იქნეს. (ტაში)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის თარხანოვს.

ნივ. თარხანოვი. (სიტყვა წარმოთქმული რუსულად.)

ლეო შენგელაია. (ს.-რევ.) ბატონებო, ადმინისტრაციის მოქმედება არა ერთხელ ყოფილა მსჯელობის საგნად, როგორც პარლამენტში, ისე პრესაშიც. არა ერთხელ გამოუთქვამთ ის აზრი, რომ ჩვენში არსებული ადმინისტრატიული აპარატი არ არის დამაკმაყოფილებელი.

მართალია, ჩვენს ადმინისტრაციას ისე, როგორც მთელს ჩვენს რესპუბლიკას არსებობა და მოღვაწეობა უხდება მეტად მძიმე პირობებში.

დღეს ჩვენი ადმინისტრაციაც ასრულებს არა მარტო თავის ჩვეულებრივ მოვალეობას—ე. ი. წესრიგის დაცვას. ეს ებრძვის სპეკულიაციას, ეს ებრძვის აგრეთვე ანარქიას.

კიდევ მეტი. ჩვენ ვიცით შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაცია მილიციისა და მისი კომისრების სახით ფრონტზე იბრძოდა.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა ჩვენ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის მრავალი დეფექტები და შეცდომები, რომელებსაც ადგილი აქვს ჩვენს ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობაში. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ადმინისტრაცია ხშირად ძველი გზით მიდის. ადმინისტრაციის მრავალ აგენტებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ თუ რა განსხვავებაა ძველ ბოქაულსა და ახალ კომისარს შორის. ბატონებო, დემოკრატია, ფართო მასსა პრაქტიკის ხალხია, ის ყოველთვის მზარს დაუჭერს იმ წესწყობილებას, იმ რეჟიმს, რომლის უპირატესობას თვით ცხოვრებაში დაინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან აშკარაა, ჩვენ ჩვენი უანგარო მოღვაწეობით უნდა შეკავებულ ხალხს ახალი წესწყობილება. ეს კი შეუძლებელია ვიდრე ადმინისტრაციაში გამეფებული იქნება მეკრთამეობა და თვითნებობა.

უფლებრივ სახელმწიფოში ბინისა და პიროვნების ხელშეუხებლობა ელემენტარული ცნებაა. მრავალ ადმინისტრატორთათვის კი ის მხოლოდ ლითონი სიტყვაა.

ეს ალბად იმითაც აიხსნება, რომ ჩვენს დღევანდელ ადმინისტრაციაში ვხედავთ ძველი პოლიციის მოღვაწეებსაც, რაც უსათუოდ სცემს მთავრობის პრესტიჟს.

სამსახური მეგობრობა არ არისო, ამბობს რუსული ანდაზა. სამწუხაროდ, ჩვენს ადმინისტრაციაში ეს ასე არ ესმით. ჩვენ ვიცით მაგალითი, როდესაც ადმინისტრატორმა უკანონო მოქმედების და უღირსი მოღვაწეობის შემდეგ წარმატებაც კი მიიღო! ადგილობრივი ადმინისტრაცია უფრო შორს მიდის. ის ხშირად სრულებით არ უწევს ანგარიშს ცენტრალურ მთავრობას აწარმოებს. ხშირად სოფლის თუ მაზრის კომისია თავის თავს დიქტატორად სთვლის ეს კი შეუწყნარებელია. შეიძლება ჩვენ კიდევ შეურიგდეთ დემოკრატიის რომელიმე დამსახურებული ბელადის დიქტატურას, მაგრამ შეუძლებელია ჩვენებული მოქალაქე შეურიგდეს კაზუხოვებისა და თოლორდავების დიქტატურას... ჩვენი ფრაქციის აზრით საჭიროა ადმინისტრაციის სრული რეორგანიზაცია და კანტროლის გაძლიერება.

ჩვენ ვიცით მთავრობა ღებულობს ენერგიულ ზომებს ადმინისტრაციის გაჯანსაღებისათვის და ჩვენი სურვილია, რომ ეს მოხდეს რაც შეიძლება სასწრაფოდ.

შეკითხვა ეხება ჩვენებურ ბოლშევიკებს, რომლებმაც ციხეში სიმშილობა გამოაცხადეს.

ჩვენ კარგად ვიცნობთ ბოლშევიკების მოღვაწეობას როგორც რუსეთში ისე ჩვენში და უნდა ვსთქვათ შემდეგი: თუ რუსეთში კიდევ ჰქონდა რაიმე აზრი მათ გამოსვლებს ჩვენში კი მათი გამოსვლები სრულიად უაზროა. რუსეთში მათ მხარს უჭერენ საბჭოები, იქ ისინი ებრძოდნენ ეგრედ წოდებულ კოალიციონურ მთავრობას.

ჩვენში კი ბოლშევიკები ებრძვიან სოციალისტურ მთავრობას, ხოლო არც ერთი საბჭო მათ მხარს არ უჭერს. ბოლშევიკებმა კანონს გარეშე გამოაცხადეს სოც.-რევ, და სოც.-დემ. ისინი ათობით და ასობით ხვრეტენ საუკეთესო მებრძოლთ.

ასეთ ხალხს, ბატონებო, არა აქვთ ზნეობრივი უფლება ჩვენს მთავრობას სიმკაცრეში და უკანონო მოქმედებაში ბრალი დასდოს.

მაგრამ ყველა ეს მაინც არ იძლევა ზნეობრივსა და იურიდიულ უფლებას, რომ ჩვენც ასე მოვიქცეთ. სახელმწიფოებრივ საამშენებლო მუშაობაში ჩვენ არ ვბაძავთ ბოლშევიკებს, მით უმეტეს არ უნდა წავბაძოთ მათ ადმინისტრაციაში.

მთავრობა ვალდებულია, როგორც ბოლშევიკებს, ისე სხვა პატიმართ დაუყოვნებლივ ბრალდება წამოუყენოს და თუ ასეთი არ არის, ისინი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს...

ეს შეკითხვა საინტერესოა კიდევ ერთი მხრით. ეს შეკითხვა, თუ გნებავთ ერთგვარი დეკლარაცია არის, დიახ დეკლარაცია, რადგან იმ ჯგუფს, რომელმაც ის შემოიტანა, ჩვენს პარლამენტში ჯერ არ გამოუშკარავებია თავისი პოლიტიკური ფიზიონომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შეკითხვა ეკუთვნის იმ ჯგუფს, რომელიც თავს იყრის „ზნამია ნაროდა“ გარშემო.

მე დავალებული მაქვს განვაცხადო, რომ ეს ჯგუფი ჩვენში არის სრულიად უნიადაგო, ხოლო თვით პარლამენტში ის არის მხოლოდ შემთხვევითი.

ეს ჯგუფი ჩვენს წრეში ცნობილი იყო თვისი ზერელობითა და უპრინციპობით. ამის საკმაო საბუთებიც არის. თქვენ, ალბათ, გახსოვთ ეს ჯგუფი ერთ დროს სასტიკათ ებრძოდა ეროვნულ საბჭოებს, დღეს კი თვითონ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი არიან.

იმ დროს, როდესაც რუსეთმა ოსმალეთთან ზავი შეჰკრა და მას მათომი, ყარსი და არდაგანი გადასცა, ესენი გვიჩვენდენ რუსეთთან კავშირს და ოსმალეთთან ომს, ესე იგი იმ გზას, რომელმაც ბაქო და მისი პროლეტარიატი საშინელ კატასტროფამდი მიიყვანა.

ამ ჯგუფს არ გაუწყვეტია კავშირი რუსეთის პარტიულ ცენტრთან, ხოლო იმ დროს, როდესაც რუსეთში სოციალისტ-რევოლიუციონერები ხელი ხელ ჩაკიდებულნი იბრძვიან არამც თუ მენშევიკებთან, უბრალო პროგრესისტებთანაც კი, ესენი აქ თავისი მოღვაწეობის აღფა და ომეგათ სთვლიან სოციალისტურ მთავრობასთან ბრძოლას. მე არ ვიცი, შეიძლება ასეთი შეკითხვებით მათ სურთ ჩვენს დემოკრატიას რაიმე სამსახური გაუწიონ, მაგრამ ვფიქრობ, ის ჯგუფი, რომელმაც ჩვენი დემოკრატიის საშინელ განსაცდელის დროს თავის იდეურ ამხანაგებთან საერთო ენა ვერ გამონახა, ჩვენი რესპუბლიკის საკეთილდღეოთ არ იმუშავებს (ტაში).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს კირილე ნინიძეს.

კირილე ნინიძე. (ს. დ.) ბატონებო! მე ბოდიშს ვიხდი, რომ მეორედ გამოვდივარ ამ ტრიბუნაზე. ბატონ თარხანოვის სიტყვამ ცოტა მაინც გაუგებრობა შეიოიტანა. ის ჩვენ გვაბრალებს, ვითომ ჩვენ გაურბივართ ამ საკითხზე პირდაპირი პასუხის მიცემას. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვერ გავიგე იმის შეკითხვა.

პირველი,—როგორც იუსტიციის მინისტრმა ეს ხაზგასმით აღნიშნა,—ამბობს, რომ უნდა მოისპოს სასამართლოს წესის გარეშე დატუსაღებაო. აქ ერთნაირი ლოდიკა არის. მე მგონია, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ინგლისი, მაგალითად იქ ასეთ რამეს ვერ ნახავთ, როცა ნორმალური წყობილება არის. იურისტები ყველა იმ აზრისა არიან, რომ მართლა სასამართლოს წესის გარეშე დატუსაღება არ არის დასაშვები. ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ მე მივმართავ ბ. თარხანოვს და მოვახსენებ, რომ ჩვენ ვიმყოფებით ბრძოლის პროცესში, ჩვენ გვებრძვიან ის ნაძირალები, რომელთაც უნდათ რევოლიუციის მონაპოვარი ჩამოგვართვან. ამიტომ ამ დროს ვერ უარვყოფთ იმ წესს, ხელს ვერ ავიღებთ იმ წესზედ, რომელსაც ეწოდება სასამართლოს გარეშე დატუსაღება.

მეორე სიტყვაში ბატონი თარხანოვი უფრო დაიბნა. ის ამბობდა, რომ მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ სასამართლოს გარეშე იყოს დატუსაღება. უნდა არსებობდეს დატუსაღება, მაგრამ უნდა არსებობდეს აგრეთვე სამართლიანობა, გამოძიება, რომ უბრალოთ, უსამართლოთ არავინ ჩავარდეს ციხეშია. მე ძალიან ვწუხვარ, რომ იურისტი ასე ფიქრობს, ასე მსჯელობს სასამართლო წესის გარეშე დატუსაღებაზე. სწორეთ უსამართლოთ, სამართლიანობის გარეშე დატუსაღება არის მაშინ, როდესაც ვინმე მართლა სამართლიანათ არ იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატუსაღებული. სასამართლოს წესის გარანტიები სწორედ ამიტომ ეარსებობს, რომ ვინმე არ იყოს უსამართლოთ დატუსაღებული. ამისთვის არსებობენ ნაფიც-მსაჯულნი, აუარაბელი დამცველნი, შემდეგ მოწმენი, ჩვენების შემოწმება, შეკითხვაზე ჩვენება, გამოქვეყნება და სხვა. არსებობს ეროვანი გარანტიები, რომ ვინმე უსამართლოთ არ იქნეს დასჯილი. მაგრამ რევოლიუციონურ ხანაში ჩვენ ვიცით, რომ ასეთ წესს თუ მიეყვეთო,—ბევრი დამნაშავე დარჩება გამოუჩენელი და დაუსჯელი. იურიდიული დებულებანი სასამართლოს წესისა, მოითხოვენ, რომ უმჯობესია დამნაშავე იქნეს განთავისუფლებული, ვიდრე უდანაშაულო დასჯილი. ჩვენ რევოლიუციონურ ხანაში, პირიქით გადავებრუნეთ უკუღმართად და დავწერეთ: უმჯობესია იყოს დასჯული უდანაშაულო, ვიდრე დამნაშავე დადიოდეს თავისუფლად და არ-ლევედს წესიერებას. ჩვენ სასჯელში ასეთი პრინციპიალური განსხვავება გვაქვს, ადმინისტრატიული წესით და სასამართლოს წესის შორის. მე მგონია იურისტმა თარხანოვმა ეს უნდა იცოდეს. შესაძლებელია, რომ ხდებოდეს ბევრ უდანაშაულო პირების დასჯა, მაგრამ ეს დგება ბრძოლის პროცესში, ასალგამავათ იმ პირებისა, რომელნიც არლევედენ რევოლიუციონურ წესიერებას. ეს უნდა დაინსოვნოთ ბატონო თარხანოვო.

რაც შეეხება ბრალდების მეორე ნაწილს, თითქოს მე ცილის წამება ჩავიდინე, დავაბრალე ის, რაც არ უთქვამს თარხანოვს. ამაზე უნდა იცოდეს ბატონ თარხანოვმა, რომ ცილის წამება ეწოდება ამას, თუ თქვენ განზრახ ვისმეს დაადანაღლებთ კონკრეტიულ დანაშაულობას. მე კი ძალიან შორს ვარ, რომ დამებრალებინა ქსნის ხიდის აფეთქება ბატონ-თარხანოვისა და მის ჯგუფისთვის.

იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენი მთავრობა ლმობიერია მაგრამ არც იმდენად ლმობიერია, რომ თუ ბატონი თარხანოვი მაგალითად რამეში დამნაშავეა, ის თავისუფალი იყოს. თავის თავად ცხადია, მე ამას ვერ ვიტყოდი. მხოლოდ ვსთქვი, თუ რა განწყობილება აქვს იმ ჯგუფს, რომელმაც აქ შეკითხვა შემოიტანა იმ წერეტებთან, მე შემიძლიან ხაზ გასმით აღვნიშნო და კიდეც განვაცხადო ბატონ თარხანოვის საყურადღებოთ, რომ მის ჯგუფში ზნირად ხდება ასეთი გამოსვლები, რომ ორ არშინიანი ანწლაგები იწყება „ზნაიია ნაროდა“-ში—„არიქა უშველეთ, საქართველოს მთავრობა ესე ეკცევა ლტოლვილებს არ უშვებს, ხოცავსო და-სხვა. დღეს „ზნამია ნაროდა“ ამბობს, რომ ისეთი დრო დადგა, რომ რეპრესიები არ არის საჭიროო. რატომ? იმიტომ რომ ინგლისელები მოდიან ბათუმში. შეიძლება დაშნაკელები ცდილობენ, როგორც წინათ ვარანცოვ დაშკოვს ასიამოვნებდნენ, ეხლა ინგლისელები ასიამოვნონ. ამიტომ არის, რომ... (დავითხანნავი: ჩხენკელი ბერლინშია), ჩხენკელი რა შუაშია, მე მოგახსენეთ. „ზნამია ტრუდა“-ზე. და მე არ ვიცი, რა შუაშია ჩხენკელი.

ყველა კანონები, რომელნიც პარლამენტმა გამოსცა, და სხვათაშორის ყველა სამხედრო წესები, ეს რისთვის, გამოსცა იმისთვის, რომ დემოკრატიული წესწყობილება დიმყარებინა. მე ვამბობდი ამას და ეხლაც, ვამბობ რომ არავითარი სურვილი არ მქონია, ისეთი აბსურდი მეთქვა, რომ თარხანოვმა ეს ჩაიდინა მეთქი. ესე რომ ყოფილიყო, თავის თავად ცხადია, მას დაატუსაღებდნენ.

კიდეც ერთი რამ უნდა აღვნიშნო. ბატონი თარხანოვი მეტად შორს მიდის, ადმინისტრატიულ წესს დაგმობაში. მან სთქვა, კარჩიკიანზე, მაგრამ ჩვენ კარჩიკიანზე არ მოგახსენებთ; კარჩიკიანი კერძო პიროვნებაა, მაგრამ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო იყო იმის თქმა, რომ ჩვენი მთავრობა, პირადათ ისე განუკითხავად მოქმედობს, და უფრო შორს მიდის, ვიდრე ძველი მთავრობა. ეს არ ატუსაღებდა ადმინისტრატიულ წესით. ძალიან საბუნებაროა, რომ ბატონი თარხნინი ციხეში არა მჯდარა. გამოცდილებით მაინც ეცოდინებოდა, რომ ეს ისე არ არის. მე ყოველ შემთხვევაში ეს ბრალდება, რომელსაც ის აყენებს არ მეხება და კატეგორიულად ვაცხადებ რომ ის იმისი გამოგონილია პირდაპირ. მე ის არ მითქვამს, და ვერც ვიტყოდი, რომ პირიდათ ის არის დამნაშავე: ასეთი ფაქტები საუბედუროდ არა გვაქს, თორემ მე დღესაც წავიდოდი შინაგაა-საქმეთა მინისტრთან, და განვაცხადებდი, რომ თარხნოვი და მის ამხანაგები დაიტუსაღებინათ. მე ეს საბუთი არა მაქვს. მე არ მცხვენინან ამისი. ჩვენში ასეთი გამწვავებული მდგომარეობაა, იმდენი მტერი გვახვევია, არა ნამდვილი მტერი, არამედ სოციალისტურ სამოსელში გახვეული მტერი, რომელიც უფრო საშიშია. ასეთი მოქმედობისა მე არა მცხვენინან. მე ვამბობ,—ასეთ არაფერს არ ვფიქრობდი და არც მიფიქრია. მე გადაჭრით ვამბობ, რომ მოქმედება, რომელსაც აწარმოებენ თარხნოვი და მისი ჯგუფი, მიმართულია აშკარად ჩვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ეს შეკითხვა სწორედ ამ ხასიათისა არის.

ეი ეი მინდოდა მე მეთქვა და სხვა არაფერი.

იოსებ მაჭავარიანი. (ე.-დ.) მე არ მინდოდა ლაპარაკი, მაგრამ ვინაიდან თარხანიანეს ამ ტრიბუნაზე მოელანდა. რომ ვითომ მე ადგილიდან ვუპასუხე, სინამდვილეთ გარდაუქცევ ამ სიზმარს.

ისეთი პასუხი ვასცეს თარხანიანეს იუსტიტიის მინისტრმა და მარცხენა სექტორის წარმომადგენელმა ნინიძემ, რომ იმის შეკითხვიდან ალარაფერი დარჩა.

მიუხედავად ამისა თარხანიანემ სადღესასწაულო მედიდურებით განაცხადა, რომ მასზედ ასეთმა პასუხმა არავითარი შთაბეჭდილება და გავლენა არ მოახდინა.

მეტად სამწუხაროა, რომ თარხანიანეს ვერც გონების და ვერც ზნეობის საბუთები სრულებით ვერავითარ შთაბეჭდილებას და გავლენას ვერ ახდენენ.

მაგრამ, და გაეწყობა, ეს მისი საქმეა.

მხოლოდ აღსანიშნავი ის არის, რომ თარხანიანეცი და მისი თანამოაზრენი ამბიდრდებიან ხოლმე ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, როგორც კი ჩვენი მთავრობა ციხეში უკრავს ხოლმე თავს საქართველოს მტრებს. ასეთი ზომა მიიჩნიათ შეცდომად დღესაც და გაჰკვირიან, რომ მთავრობამ დაარღვია კანონი, ვინაიდან ბოლშევიკები ადმინისტრატიული წესით იქმნენ დატუსაღებულნი და დღემდე მთავრობას არ წაუყენებია მათთვის სასამართლოს წესით არავითარი ბრალდებაო.

ბრალდება კი ნათლად არის წამოყენებული.

ამბოხება დუშეთის, ამბოხება ჯავის ხეობის, საჩხერის და ლეჩხუმის, ბიდების აფეთქება და მრავალი ორგანიზაციები, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დაამხონ საქართველოს თავისუფლება და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა, (ადგილიდან: ოსმალებთან ვინ კრავდა ხელშეკრულებას?)

ი. მაჭავარიანი: ეს თქვენ ჯერ ვორონცოვს, მერე ოსმალეთს კამაც კამაც უყრიდით ხელს ჩყენს წინააღმდეგ.

ყოველნაირი ასეთი მოღალატეობა და გამეცემლობა ავალებს ჩვენს მთავრობას იხმაროს ყოველნაირი ზომა მოღალატეობის წინააღმდეგ. და ამ მხრივ ჩვენი მთავრობა ეხლა დგება ისეთ სიმაღლეზე, რომ თარხანიანეცების ასეთი შეკითხვები მას ვერც შესწვდებიან და ვერც ვერაფერს დააკლებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გარემობა, რომ დღესვე სასამართლოს წესით მთავრობას არ წაუყენებია ბრალდება ზოგიერთ პოლშევიკებისათვის, კიდევაც რომ ჩავთვალოთ შეცდომათ, მაინც საგულისხმოა, რომ თარხანიანცები ყოველთვის ახმაურდებიან ხოლმე ასეთ შეცდომის სამხილად და არასოდეს სიტყვასაც არ დასძრავენ ხოლმე მაშინ, როდესაც ჩვენი მთავრობა მართლა შეცდომას სჩადის და არ ატუსაღებს და არ სჯის ის მოღალატეთ და საქართველოს გამცემელთ, რომელთაც ბლომად მოუყრიათ თავი „ორიზონში“, „აშბატავორში“, და სხვა და სხვა „ზნამიებში“ და ეწევიან ყოველნაირ აგიტაციას და აღვირ ახსნილ პროვოკაციას საქართველოს რესპუბლიკის და მის მთავრობის წინააღმდეგ.

თარხანიანცი არ ცხრება. ტფილისის ქალაქის სამმართველოში ის ებრძვის ჩვენს მთავრობას და მის მფრინავ რაზმებს, რათა დაიცვას სპეკულიანტები, და აქ ებრძვის იმავე მთავრობას, რათა დაიცვას ბოლშევიკები, ის ბოლშევიკები, რომელთაც თარხანიანცის პარტია—ესერები რუსეთში გამოაცხადეს კანონგარეშე.

ამისთანა თავის მოღვაწეობას თარხანიანი კრიტიკას უძახის.

ბ-ნო თარხანიანცო! კრიტიკაც არის და კრიტიკაც. არის კრიტიკა ნაკარნახევი სიყვარულით, კრიტიკაც ამდშენებელი და არის კრიტიკაც მეორენაირი —კრიტიკა სიძულვილის გესლით აღსავსე, კრიტიკა გამბრწყინელი და დამნგრეველი.

ასეთ გესლიან და საქართველოს მნგრეველ კრიტიკის ნებას ჩვენ არ მოგცემთ. (ტაში).

თავმჯდომარე. არის წინადადება შეგწყვეტოთ კრება (ხმები: მოვესწოთ კამათი, შეგწყვეტოთ, გადავდოთ) მე წერილობითი მაქვს შემოტანილი ერთი წინადადება, რომ გადავდოთ კრება. კენჭს უყრი ამ წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ კრება შეგწყვეტოთ? გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინ არის წინააღმდეგი? კრება გრძელდება. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს რცხილაძეს.

გრიგოლ რცხილაძე (ს. ფ) ბატონებო, ამ შეკითხვის აზრი, ამ შეკითხვის ბნიშვნელობა ჩემთვის თვალსაჩინოდ შეიქმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვისმინე მეორე სიტყვა შემკითხველისა. შემკითხველი საბჭოს წევრი თარხანოვის უყურებს საკითხს ამგვარად. თუ შეგიძლიან ბრალი დამდე, ინებეთ დამდეთ ბრალი, მიმეცით სამართალში, სამართალს არ გავფარებავარ, თუ არა და ხელს ნუ გაანძრევთო. აი ამ პასუხიდან გამოირკვა, ჩემის ფიქრით, ნამდვილი აზრი შეკითხვისა.

მე არ მეგულება არც მთავრობის შემადგენლობაში, არც პარლამენტის წევრთა შორის არც ერთი ისეთი პირი, რომელიც მსურველიც არ იყოს, რომ საქართველოში ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, რომელშიაც სრულიად არ ექნება ადგილი ადმინისტრაციულ წესით დატუსაღებას. ეს ჩვენი საერთო სურვილი არის, მაგრამ სურვილს, აზრებს ესაჭიროება შეიქმნას შესაფერი პირობები.

შეკითხვის აზრი ჩვენთვის. მაშინ შეიქმნა თვალსაჩინო, როდესაც თარხანოვმა აქ მეორეთ აიღო სიტყვა. სწორედ ისე თუ დავაყენებთ საკითხს, როგორც თარხანოვი ამბობს, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რომ ვერასოდეს ვერ ვეღირსებით იმ დროს, როცა ჩვენში ადმინისტრატიული წესით დატუსაღება ადგილი არ ექნება. ვინ არის დამნაშავე? ვისი ბრალია, რომ დღეს მთავრობას უხდება ადმინისტრატიულ წესის მიმართვა? ვისი ბრალია, განა ჩვენი პარლამენტისა? განა ჩვენი მთავრობისა?! სრულიადაც არა. ის სწორედ იმათი ბრალია, ვინც ძირს უთხრიან სახელმწიფოს წესწყობილებას.

განა თარხანოვმა არ იცის, რომ ჩვენს ახლათ შექმნილ, ჯერ კიდევ აღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენებლობის პროცესში მყოფ საქართველოს მრავალი მტერი ჰყავს, ფარულიც და აშკარაც? ხომ იცის. განა ბატონ თარხნოვმა არ იცის, რომ მისი მოვალეობაა საქართველოს რესპუბლიკის მტრები თითით გვიჩვენოს,—აი ეს არის მტერი. ეს დაიშავა, ეს ჩაიდინა, ეს არის მტერი საქართველოს რესპუბლიკისა. ვისზეა დამოკიდებული, რომ მოისპოს ეს ანორმალური პირობები ჩვენ ცხოვრებაში? ვისზეა დამოკიდებული? ვის შეუძლიან მოსპოს ეს მდგომარეობა? ალაგმოს ის ძალები, რომელიც მეშაობენ, რათა ძირი განმოუთხარონ საქართველოს თავისუფლებას? ვისზეა დამოკიდებული? თუ დამოკიდებულობა მხოლოდ მთავრობაზე, შეიძლება ბრალი მთავრობას დასდოთ, თუ დამოკიდებლობაა იმაზე, ვისი სახელითაც დდევანდელი შეკითხვა შემოტანილია, მაშინ ვამბობ, ბრალი მათ ედებათ. სამართალში კი არ უნდა მისცენ, არამედ პირდაპირ ადმინისტრატიულ წესით უნდა დაატუსაღონ· აი, იმით ედებათ, ვინც შეკითხვა შემოიტანეს.

ჩვენ გაქვთ ხელში პრესა, თქვენ გაქვთ ხელმძღვანელობა ხალხისა, ხალხი თქვენ შემოგეკერით, როდესაც იმისთანა მოქმედებას იცავთ, რომელიც მიმართულია საქართველოს არსებობის ძირის გამოსათხრელად, მაშინ თქვენ უფლება არ გაქვთ, რომ სთქვათ, რომ თქვენს გარდა სხვა ვინმეა დამნაშავე. იმ განმარტებიდან, რომელიც მოვისმინე იუსტიციის მინისტრისაგან, დაინახავდით, რომ თქვენ შეკითხვას ეშნებოდა რაიმე საფუძველი, რომ მთავრობას ფორმალურად დაერღვია რაიმე კანონი. თუ მთავრობას კანონის წესით ნება აქვს, რომ დატუსაღება მოახდინოს, თქვენ არ შეგიძლიან დაინახოთ რაიმე უკანონობა მთავრობის მოქმედებაში, რომ ასე ატუსაღებს. თუ თვით ეს წესები არ მოგწონთ, უნდა დააყენოთ საკითხი ესე,—რა არის ის მიზეზი, რომ მთავრობა ადმინისტრატიულ წესებს მიმართავს. შეიძლება მთავრობა არ არის იმის მიზეზი, იმის მიზეზი უნდა· მოაწეროს ძალაუნებურად იმ წრეებს, რომელთაც საშუალო შეკითხვები შემოაქვთ. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენს მთავრობას პოლიტიკა სწორედ აქვს აღებული. ჩვენ ამ მხრივ, სრულს ნდობას უცხადებთ მთავრობას. ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა თავის ადმინისტრატიულ აპარატს სწორედ ისე ამუშავებს, რომ იმას შეუძლიან ადმინისტრატიული ძალა გამოიყენოს დამოუკიდებლობის წესარჩენად, გამოიყენოს იმისთვის, რომ შეჰქმნას ნორმალური პირობები ჩვენი ცხოვრებისა. და იმიტომ, მე ვფიქრობ, ამისთანა შეკითხვაზე შეიძლება პასუხი გავცეთ იმით, რომ უკან შესაბრუნებელი ბრალდება უნდა იკისრონ იმათ, ვინც ქმნის ასეთ ატმოსფერას ტ ვინც უარყოფს და ძირს უთხრის ჩვენს დამოუკიდებლობას.

თავმჯდომარე. წინადადება გახლავთ კამათი შეეწყვიტოთ. კენჭს ეყრი ამ წინადადებას. კამათი შეწყვეტილია. (მიმართავს მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ ფორმულა.

მდივანი. (კითხულობს).

სოც.-დემოკრ. ფრაქციის ფორმულა.

მოისმინა რა შეკითხვა პარლამენტის წევრების: თარხნოვისა და თუმანოვის და განმარტება მთავრობისა ამ შეკითხვაზე, პარლამენტი სავსებით კმაყოფილია ამ განმარტებით და გადადის მორიგ საკითხზე.

მეორე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოც.-რეგოლიუციონერ. ფრაქციის ფორმულა.

საქართველოს პარლამენტმა მოისმინა რა ლ. თუმანოვის და ნ. თარხანოვის შეკითხვა პატიმართა შიმშილობის და შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ სასამართლოს დაუკითხავად დატუსაღების შესახებ დაადგინა: 1) განთავისუფლებულ იქნეს ყველა ადმინისტრატიულ წესით დაპატიმრებულნი, ან და წაყენებულ ექნეს მათ დაუყოვნებლივ კონკრეტული ბრალდება და მიცემულ იქნან სამართალში. 2) მიენდოს იუსტიციის მინისტრს მთავრობის სხვა და სხვა ორგანიზაციების მიერ საჩქარო შემთხვევაში სასამართლოს დაუკითხავად დატუსაღების მოსაწესრიგებლად წესების შემუშავება და პარლამენტში შემოსატანად, და გადადის მორიგ საკითხზე.

თავმჯდომარე. ეროთი ფორმულა არის სოციალ-დემოკრატებისა, მეორე ფორმულა ესერებისა. (გობეჩია: რომელი ფრაქციისა, შემარცხენენი თუ მემარჯვენენი?) პირველი რეზოლიუცია, რომელიც მოგახსენეთ, გახლავთ შემოტანილი შეკითხვის ავტორისაგან. (ნიკოლაძე: დასაწყისში ეს არ სწერია?) უკაცრავათ—მოგახსენებთ, ხელი არ აწერია ამ ესერების შეკითხვას. მე ძალიან თვალსაჩინოდ მომაჩნია, რომ ის ფრაქცია, რომელმაც შემოიტანა არ შეეფერა იმ მეორე ფრაქციას, რომელიც არის. (ნიკოლაძე: სახელი ერთია. ვეშაპელი: მეტრიკა მოკითხეთ!) თუ ეს საეჭვოა, მე კიდეე ვიმეორებ, ვისგან გახლავთ შემოტანილი, ეს გახლავთ შემოტანილი იმისგან, ვინც მოაწერა ხელი ამ შეკითხვას, ესე იგი თარხანოვისაგან და მისი ჯგუფისაგან. კმარა ეს განმარტება თუ არა? რაშია ბატონებო საქმე. (მიმართავს გობეჩიას) თუ რამე საწინააღმდეგო გახლავთ, თუ გნებავთ სიტყვა აიღეთ. მობრძანდით, შენი ჯერიმე, მობრძანდით. თუ რეგლამენტის მუხლი იცით, რომელიმე მუხლის ძალით სიტყვა აიღეთ. მე მოგეცემთ სიტყვას. სიტყვა ინებეთ. მე განწარტებას კიდე ვიმეორებ. ბატონი თარხანოვი არ უარყოფს, რომ მისი და მისი ჯგუფის მიერ არის შემოტანილი ეს შეკითხვა თუმცა სახელწოდება ესერებისა ერთი არის. (იოსებ გობეჩია სიტყვას თხოულობს რეზოლიუციის შესახებ) რეზოლიუციის შესახებ სიტყვას ვეტანსოდეს ვერ მოგეცემთ, რადგანაც რეგლამენტით არ გვაქვს ეს უფლება. კონკრეტულად, რომ რაიმე იყოს დიდი სიამოვნებით მოგეცემთ სიტყვას. და რეგლამენტს დარღვევაზე ამ კაფედრაზე მობრძანდით. კენჭს ეყრი ამ ფორმულებს. პირველი გახლავს რეზოლიუცია, რომელიც შემოიტანეს სოციალ-დემოკრატებმა. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? წინააღმდეგი არის თარხანოვი. ეხლა მე კენჭს ეყრი მეორეს, რომელიც შემოტანილია იმ პირთა მიერ, რომელიც არ უარყოფენ, რომელიც ამბობენ, რომ რეზოლიუცია მათ ეკუთვნის, თარხანოვის და მისი ჯგუფისა ვინ არის წინააღმდეგი? უარყოფილია.

აქ გახლავთ კიდეე ერთი შეკითხვა, შემოტანილი დავითხანიანის მიერ.

შეკითხვის ავტორი მოიითხოვს, რომ უკან იქმნეს წაღებული. გთხოვთ წაიკითხოთ.

დავითხანიანის სიტყვის მოხსნა.

მდივანი (კითხულობს) **საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს**. რამდენიმე ჩემგნით დამოუკიდებელ საბუთების გამო გთხოვთ მოხსნათ ჩემი შეკითხვა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებისადმი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების საწინააღმეგო ზომების შესახებ.

პარლამენტის წევრი დავითხანიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. რაკი წინააღმდეგი არავინ არის—შეკითხვის ავტორი ამ შეკითხვას უკან წაიღებს.

გთხოვთ წაიკითხოთ განცხადება.

მდივანი (კითხულობს) ს.-დ. **ფრაქციის განცხადებას**. ამით ვაუწყებთ პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ ნაცვლად ს. ელიაძისა იურიდიულ კომისიაში იგზავნება ი. ფირცხალაიშვილი.

თავმჯდომარე. ეხლა კრებას ვხურავ.

კრება იხურება 4 საათ. 45 წ.

[illegible]